გაზეთი ზევრის, „ვერსიის“ ერთი

ვერსია

№18 (774) 18 - 19 თებერვალი, 2013 წელი

ორშაბათი ოთხშაბათი პარასკევი

მერაბიშვილ-ადეიშვილსა და რუსულ „ფე-ეს-ბე“-ს შორის შუამავალი ვალერი ხაბურძანია იყო?!

გვ. 8

მუსლიმ სულიერ ლიდერთა საბჭოს — „შურას“ გადაწყვეტილებით, შს ყოფილ მოადგილე გია ლორთქიფანიძესა და სხვა ექსმაღალჩინოსნებზე შურისძიების აქტი საქართველოს ტერიტორიაზე არ განხორციელდება

ეკა ბესელია ირმა ნადირაშვილს პოლიტიკურ კორუფციაში ადანაშაულებს?!

„გივი თარგამაძემ, მაგ უსინდისო რევოლუციონერმა, გამოიყვანოს თუნდაც ერთი პოლიტპატიმარი და ათქმევინოს, რომ ამ საქმეში ფული გადამიხადა!“

გვ. 5

დიმიტრი ლორთქიფანიძე „ნაციონალებმა“ „დააავერბოვკეს“?

ვისი ფინანსური მხარდაჭერით აპირებს ნაძალადევის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას და მართლა შედგა თუ არა ფარული გარიგება დიმიტრი ლორთქიფანიძესა და გიგი წერეთელს შორის

გვ. 3

თბილისში, უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, ილორის ტაძრის ანალოგი შენდება

20 გვერდი 40 თეთრი

50 ათას პედაგოგს სკოლიდან გათავისუფლება ემუქრება?!

რას უმალავს განათლების სამინისტრო ივანიშვილს და რა სკანდალური კონცეფცია მოამზადა გია დვალის კომისიამ

გვ. 11

ნინო ბურჯანაძემ პოლიტპატიმრებთან შეხვედრა გამართა

გვ. 3

დიტო გელოვანი

გიგი სახლის პატარა მიშასახლისი

ის, რაც ხდებოდა წინა კვირაში

გვ. 2

მაია ორჯონიკიძე ახალ ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს

რატომ დაიჭირეს პოეტ იზა ორჯონიკიძის შვილიშვილი

გვ. 4

თბილისის ბაზრებსა და სუპერმარკეტებში, საქონლის ნაცვლად, ვირის ხორცი იყიდება?!

გვ. 13

რა მიზნით აცხადებს თავდაცვის სამინისტრო კვების ახალ ტენდერს

რა სიახლეებია ჯარისკაცებისა და პატიმართა კვების რაციონში

გვ. 9

დიტო გელოვანი

დროა, ყველა მოწესრიგდეს. მწვავეებო: დასხედით დღის პალატის თქვენს მხარეს და დაელოდეთ, როდის შემოგიტანენ ბანოს და „მონოპოლიას“. ქრონიკულებო: თქვენი ადგილები დაიკავეთ, საცაა „წითელი ჯვრის“ კოლოფიდან თავსატეხებს ამოგილაგებენ. ელის: მიდი შენს ადგილზე კედელთან, ასწიე ხელები, მოირგე ლურსმნები და გაითბე ლაჯები საკუთარი შარდით. პიტ: აწიე თავი მოსამართი თოჯინასავით. სქანლონ: აფათურე დახეთქილი ხელები მაგიდაზე, ააწყვე გამოგონილი ყუმბარა გამოგონილი სამყაროს ასაფეთქებლად. ჰარდინგ: დაიწყე ლაქლაქი, მტრედებივით ხელები იქნიე ცოტა ხანს ჰაერში, მერე კი იღლიებში ამოიჩარე – ზრდასრულ კაცს არ შეშვენის ლამაზი ხელების ასე საჯაროდ ქნევა. სეფელტ: იწუწუნე, კბილი მტკივა და თმა მცვივაო. ყველამ: ჩაისუნთქეთ... ახლა, ამოისუნთქეთ... სრული წესრიგი დაიცავით...

(კენ კიზი, „გუგულის ბუდე ზე სხვა გადაფრინდა“)

გიგი სახლის პატარა მიშასახლისი

დროა, ყველას თავისი ადგილი მიეჩინოს. „ნაცებო“: ჩამოჯექით პარაშასთან და დაელოდეთ, როდის შემოგიტანენ საბრალდებო დასკვნას. გიგი: მორჩი ბლატაობას. ჩიორა: გეყოფა კოტრიალი. გოკა: თვალებიდან არ გადმოვარდე. გივი: დაამთქნარე. მალაშხია: გაიზმორე. პეტრე: სად დაიკარგე, შე კაცო? დარჩიაშვილო: დაგიბლაგვდა სამართებელი. ნუგზარ: აბა, ახლა, დააღე პირი და თქვი „ა“. ჭია: სულ წახვედი ხელიდან. ხაბაზი: სარკეში ჩაიხედე. სერგო: ხელი მოისვი. ქლიბი: მდინარის პირას ჩამოჯექი და ატირდი. მიშა: როგორც კი რამეს იტყვი, ეგრევე დავიგინები და შეგეწერება. ყველამ: ჩაისუნთქეთ და აღარ ამოისუნთქოთ... თავისუფლების ჰაერი დაიმახსოვრეთ...

„ოცნების“ ჩაშლილი და ჩატარებული ყრილობები, ფულე-მულე, სააკაშვილი უსუფაშვილის ტისკებში და იქვე ქლიბი, ცემა-ტყეპა, გადატანა-გადმოტანა, კონსტიტუცია-შმონსტიტუცია (ანუ – შმონი კონსტიტუციაში), გამიშვი-დამაკავე, მიდი-მოვდივარ და კიდევ ბევრი სხვა რამ, რა თქმა უნდა, საინტერესოც იყო და აქტუალურიც, თუმცა ეგეთები გვინახავს და კიდევ ბევრს ვნახავთ. გასული კვირის მთავარი მოვლენა და ამბავი უგულავას მისვლა-არმისვლა იყო და არა იმიტომ, რომ რაღაც... უბრალოდ, ეს იწილობიწილო ლამის ყოფნა-არყოფნის საკითხად იქცა და ეგ არის, ყველაზე უკეთ რომ წარმოაჩენს ჩვენი ეპოქის მოკრძალებულ ხიბლსა და ნაციონალურ თავისებურებას.

ბავშვი რომ გაჯიუტდება, ტუჩებს რომ გამობურცავს, ლოყებს გაბერავს და თვალები ცრემლით რომ აევსება... მთლად ეგრე არ ყოფილა, მაგრამ ბევრიც არ დააკლდა, საბოლოოდ კი, ისე მოხდა, რომ მაინც საკუთარი ფეხით გამოცხადდა პოლიციაში და საკუთარი პირით მოყვა ის, რაც საკუთარი თვალით იხილა. რა თქმა უნდა, ინტერპრეტაციაც საკუთარი იყო – „ძალა მათ ხელშია, სიმართლე კი – არა“.

ასე იყო თუ ისე, ბოლო-ბოლო, უგულავა მაინც გამოცხადდა დაკითხვაზე. თავიდანვე ცხადი იყო, რომ გამოცხადდებოდა (ლექსებსაც იტყოდა ლენინზე), მაგრამ თავად პროცესი იყო საინტერესო – „არ მივალ“; „თავად მეახლონ“; „მე რა, მაგათი ისა ვარ?“ სასამართლომ გადაწყვიტოსო და – გადაწყვიტა. გადაწყვეტდა, მა რას იზამდა, მაგრამ დავიჯერო, აწი ეგრე იქნება? – თუ ვინმეს დაიბარებენ და არ მივა, ყველას მისვლა-არმისვლის თაობაზე სასამართლო უნდა გაიმართოს? რამე ისეთი უნდა ჩავიდინო, პოლიციაში რომ დამიბარონ. არ წავალ და ვნახავ, რა მოხდება.

ახლა, უგულავა თავს გამარჯვებულად მიიჩნევს და კმაყოფილია – ინიციატივა აიღო, ნიუსები შექმნა, წამებულის იმიჯი მოირგო და მართალია, ბოლოს მაინც მივიდა, მაგრამ ხომ გახსოვთ ის ცნობილი დიალოგი „სოფლის აშიკიდან“ – „ვლანძღე, ვაგინე, სულ ტალახში ვაგორავე“; „სად ნახე ამ სიცხეში ტალახი?“; „ტალახში თუ არა, მტვერში ხომ კარგად ამოვგანგლე!“

კმაყოფილია გიგა ნასარიძეც, მან ხომ გამოძიებას უნდობლობა გამოუცხადა – „არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალი ხიდი – საქართველოს“ ხელმძღვანელი გიგა ნასარიძე 8 თებერვალს, ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარ ინციდენტზე მიმდინარე გამოძიებას უნდობლობას უცხადებს. როგორც დღეს გამართულ ბრიფინგზე ნასარიძემ განაცხადა, უსამართლობაა, როცა არეულობის მთავარ მონაწილეს მელორ ვაჩნაძეს 100-ლარიანი ჯარიმის გადახდის შემდეგ ათავისუფლებენ“.

პრინციპში, კმაყოფილი უნდა იყოს რიჩარდ ნორლანდიც, რადგან ფიქრობს, რომ „ყველასთვის გაკვეთილი იყო პარასკევის ძალადობა, რადგან არავის უნდა, საქართველოს პოლიტიკა საშიში მიმართულებით, წარსულში წავიდეს“.

წარსულში ალბათ, იმას გულისხმობდა, 7 ნოემბერსა და 26 მაისს მკვლელებს პასუხს რომ არავინ სთხოვდა, ახლა კი, დააკავეს სერგო რატიანის ფიზიკურ შეურაცხყოფაში ბრალდებული, დააკავეს ჩიორა თაქთაქიშვილის ფიზიკურ შეურაცხყოფაში ბრალდებული და არ არის გამორიცხული, დააკავონ ქალბატონი, რომელმაც გასულ კვირაში სააკაშვილის მანქანის მიმართულებით კვერცხი ისროლა.

დარწმუნებული ვარ, ამ ათიოდე წლის წინ, იგივე ქალბატონს სააკაშვილის მანქანისთვის ვარდიც ექნება ნასროლი. სააკაშვილს მაშინ ვარდად აღიქვამდა, ახლა კვერცხად აღიქვამს.

ნასარიძე, სააკაშვილი, რატიანი და ის ქალბატონი, ყველანი უგულავას ამბავს მოვაყოლე

– სიტყვამ მოიტანა და რადგან დრომ თავად გიგი უგულავა მოიტანა, აქვე მოძმე სააგენტოსთვის მერიიდან მიწოდებულ ნიუსსაც გაახლებთ და მცირე კომენტარსაც დავურთავ – „თბილისის მერმა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა დაათვალიერა. როგორც „ინტერპრესნიუსს“ დედაქალაქის მერიიდან აცნობეს, ავჭალაში, ყოფილი ბავშვთა პანსიონის ბაზაზე, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს“.

ჩემი კომენტარი კი ის არის, რომ სულაც არ გამოვრიცხავ, აღნიშნული ნიუსი დაშიფრულ სიტყვებს შეიცავს, კერძოდ, „ავჭალა“ არის ფლორიდა, „ყოფილი ბავშვთა პანსიონი“ – რომელიმე მილიარდერის ყოფილი სახლი, ხოლო „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო ცენტრის მშენებლობა“ – სააკაშვილის ან თავად უგულავას სრა–სასახლის მშენებლობა.

აბა, მომღერლებს ალპინისტებად რომ გააფორმებ და მსახიობებს – მძღოლებად, სხვა რაღა უნდა იფიქრო? იმიტომ არის, გინდა თუ არა, ევროპული ორიენტაცია კონსტიტუციაში უნდა ჩაიწეროსო და ყველანი ეჭვის თვალით ვუყურებთ ამ საკონსტიტუციო ცვლილებას. ყველანი რა... – უმრავლესობა, თუმცა მინდა გითხრათ, რომ – უხარისხო, უპასუხისმგებლო, გაუნათლებელი, ჰომოფობი და ქსენოფობი უმრავლესობა. საბედნიეროდ, არსებობს „სამოქალაქო საზოგადოება“, რომელიც არის მთელი საზოგადოების მამოძრავებელი ძალა. ისინი მიიჩნევენ, რომ „საქართველოს საგარეო პოლიტიკურ არჩევანში სრული სიცხადის შესატანად კარგი იქნება, თუ საქართველოს საკანონმდებლო ორგანო მოახდენს ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის უცვლელობის უზრუნველყოფას რაც შეიძლება მაღალი დონის საკანონმდებლო აქტით“.

მე სსრკ კონსტიტუცია მახსოვს... ისეთი რამეები ეწერა – ვაი, საყვარელო, მაგრამ რად გინდა? არც არაფრად! საერთოდ კი, ხშირად ხდება, სათაური კარგია ხოლმე, შინაარსი კი – ყოვლად უვარგისი. ზემოაღნიშნულ განცხადებაზე ხელმომწერთა სათაურ-სახელწოდებებს წარმოგიდგენთ: სიდა (სამოქალაქო განვითარების სააგენტო); საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი (GFSIS); საქართველოს ატლანტიკური საბჭო; საქართველოს დემოკრატიული ინიციატივა (GDI), სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტი (GISS); სტრატეგიისა და განვითარების ინსტიტუტი; პოლიტიკის ანალიზის ცენტრი (TCPA); ახალი ეკონომიკური სკოლა; კოალიცია ევროპული საქართველოსთვის; რელიგიათა კვლევის ცენტრი; ქართველ თავადაზნაურთა საზოგადოება; ქართველთა და საქართველოში მცხოვრებ ეროვნულ უმცირესობათა ინტერესებისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ასოციაცია; ცოდნის ფონდი; სუფთა პოლიტიკა; გეოპოლიტიკური კვლევების საერთაშორისო ცენტრი და დემოკრატიისა და უსაფრთხოების ინსტიტუტი (IDS).

ამდენი სკოლა, ამდენი ინსტიტუტი, ცენტრი, ფონდი ინიციატივა... შედეგი კი... შედეგი – არავითარი. ჭუკჭუკებენ და არიან თავისთვის. აი, მედიაექსპერტების მთელი ჯგრო ვანო მერაბიშვილს რომ აადგა – ფოტორეპორტიორები გამოუშვითო. იჭუკჭუკეს, იჭუკჭუკეს და მგონი, სწორედ მაშინ შეიქმნა ლეგენდარული სიტყვა „კოჰაბიტაცია“.

წარმოგიდგენთ კოჰაბიტაციის მაგალითს, რომელიც სერგო რატიანმა წარმოადგინა – „ჩიორა თაქთაქიშვილს 8 თებერვლის აქციაზე ვინმე მამალაძის ხელით ურტყამდნენ უმრავლესობის დეპუტატი ეკა ბესელია და ნანა კაკაბაძე“. საუბარია, მამალაძის, კაკაბაძისა და ბესელიას კოჰაბიტაციაზე.

ხოლო ეს ორი ნიუსი არის გაუგებრობის საუკეთესო მაგალითი: 1. „პარლამენტის ბიუროს დარბაზისთვის მაგიდა იტალიაში შეუკვეთეს“ და 2. „მიხეილ სააკაშვილი – სანამ ესენი სკამების ამბავს არკვევდნენ, გავიდა ზამთარი“.

ამ სააკაშვილისა გამკვირვებია. ზამთარი არ გასულა და – გავიდაო, პრეზიდენტობის ვადა გაუვიდა და – არ გამსვლიაო.

არ ვიცი, რატომ (არადა, ძალიანაც კარგად ვიცი), ძალიან დამაინტერესა მოძმე ყირგიზეთიდან მოსულმა ცნობამ: „ყირგიზეთის სასამართლომ ქვეყნის ყოფილ პრეზიდენტს, ყურმანბეკ ბაკიევს, თანამდებობის ბოროტად გამოყენების გამო, 24 წლით თავისუფლების აღკვეთა დაუსწრებლად მიუსაჯა. ამის შესახებ „როიტერი“ იუწყება. სააგენტოს ინფორმაციით, სასამართლომ ასევე გაასამართლა ბაკიევის ძმა, რომელსაც მკვლელობის ბრალდებით სამუდამო პატიმრობა მიუსაჯა“.

აი, წავიკითხე თუ არა ეს სტრიქონები, ღრმად ჩავფიქრდი და ერთ დასკვნამდე მივედი. ჩვენს კონსტიტუციაში საქართველოს ევროპული ორიენტაციის შესახებ აუცილებლად უნდა ჩაიწეროს, ოღონდ ცოტა მოგვიანებით – ასე, სამი-ოთხი თვის შემდეგ. მანამდე კი, თუნდაც პრეამბულაში და თუნდაც, სპეციალურად შექმნილ მუხლში, შავით თეთრზე, ჩაიწერება, რომ საქართველოს პოლიტიკური ორიენტაცია არის პროყირგიზული.

სამ-ოთხ თვეში ბევრი რამის მოსწრება შეიძლება.

ჯერ მისალმება არ მქონდა დამთავრებული და გოკა გაბაშვილი უკვე გამომეპასუხა: „ჩვენთვის მნიშვნელოვანია და არაერთხელ ვთქვით ეს, რომ კონსტიტუციით იყოს გარანტირებული საგარეო პოლიტიკური კურსის უცვლელობა, კონსტიტუციით იყოს გარანტირებული ქვეყნის დეცენტრალიზაცია, ანუ ის საკითხები, რომელიც ქვეყნისთვისაა მნიშვნელოვანი ჩვენი აზრით. გარდა ამისა, მოლაპარაკებების დროს მნიშვნელოვანია კლიმატი. მნიშვნელოვანია, რომ იმ გაუგებარ ზეწოლაზე, გაუგებარ რიტორიკაზე, სიძულვილის ენაზე, კარგი იქნება, თუ უმრავლესობა ერთხელ დაჯდება და მოითათბირებს, რომ ამით ქვეყანას კარგს არაფერს უკეთებენ“.

გოკა წინააღმდეგია – ბაბა-იაგა პროწივ!

სამ-ოთხ თვეში ბევრი რამის მოსწრება შეიძლება-მეთქი და, შეიძლება ითქვას, „ქართული ოცნების“ ყრილობაზე, რომელიც ფილარმონიაში გაიმართა, სწორედ ბოლო სამი-ოთხი თვის შედეგები შეჯამდა. ერთ-ერთი შედეგი თავად ფილარმონიაა – ოთხი თვის წინ „ქართულ ოცნებას“ ფილარმონიაში არავინ მიასუნინებდა. მეორე შედეგს თავად ბიძინა ივანიშვილის სიტყვებში ამოიკითხავთ: „მთავრობა 24 საათის განმავლობაში, თავდაუზოგავად მუშაობს და ამ მუშაობის შედეგებს მოსახლეობა უახლოეს მომავალში იგრძნობს. ჩვენ შევამცირეთ მილიონობით ლარის ხარჯი. საერთოდ ავკრძალეთ ფუფუნებისთვის სახელმწიფოს ფულის ხარჯვა“.

ცოტა არ იყოს და, საკამათოა, განსაკუთრებით კი ეს – „მთავრობა 24 საათის განმავლობაში თავდაუზოგავად მუშაობს...“

მახსოვს, ამ რამდენიმე კვირის წინ, ნონა ყანდიაშვილმა, როდესაც უსაყვედურეს, რა ამბავია ამხელა პრემიებიო, ეგრევე თავი მოისტახანოვა – 24 საათი ვშრომობთო. მას შემდეგ, რამდენჯერაც სახელმწიფო კანცელარიასთან გავივლი, იმდენჯერ ფანჯრებს ავხედავ ხოლმე და, მართლაც, მთელი ღამის განმავლობაში შუქი ანთია. არ ვიცი – ანთებული დარჩათ, არ ვიცი – სპეციალურად დატოვეს. ზურაბ გაჩეჩილაძემ, იგივე შონზომ ფრაქცია ნაციონალურ მოძრაობა დატოვა

ჩემს ბავშვობაში იყო წიგნების ასეთი სერია – „ლელოს“ ბიბლიოთკა“. მქონდა სტენლი მეტიუზის „35 წელი მარჯვენა ფრთაზე“, ანდრო ჟორდანიას „ფიქრები ქართულ ფეხბურთზე“ და მქონდა „რამდენიმე ეპიზოდი სპორტული ცხოვრებიდან“. ერთი ნიუსის სახით წარმოგიდგენთ ერთ ეპიზოდს მედროვეთა ცხოვრებიდან:

„თბილისის საკრებულოს ფრაქცია ნაციონალურ მოძრაობა კიდევ ერთმა წევრმა — ზურაბ გაჩეჩილაძემ, იგივე შონზომ დატოვა. ამის შესახებ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე ფრაქცია „თავისუფლების“ თავმჯდომარე ირაკლი შიხიაშვილმა განაცხადა. მისი თქმით, ეს გადაწყვეტილება ზურა გაჩეჩილაძემ დამოუკიდებლად მიიღო და უკვე შეუერთდა ფრაქცია „თავისუფლებას“. შიხიაშვილი ამბობს, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ რღვევა გრძელდება და გაგრძელდება, ვიდრე ხალხი არ მიიღებს იმას, რის გამოც გააკეთა არჩევანი. რაც შეეხება კითხვას, თავად ზურა გაჩეჩილაძემ რატომ არ გააკეთა ეს განცხადება, შიხიაშვილის ინფორმაციით, ის თბილისში არ იმყოფება, ერთ კვირაში ჩამოვა თბილისში და თვითონ გამოეხმაურება ამ ფაქტს. რაც შეეხება მიზეზს, რის გამოც დატოვა ფრაქცია ზურა გაჩეჩილაძემ, შიხიაშვილი ამბობს, რომ მიზეზი არის ის მოვლენები, რომელიც ვითარდება ბოლო დროს, ხოლო მთავარი მასტიმულირებელი იყო 8 თებერვალი“.

7 ნოემბერი გაატარა, 6 მაისი გაატარა, 15 ივნისი გაატარა, 26 მაისი გაატარა, კი დრო გაატარა და 8 თებერვალი აღმოჩნდა „მასტიმულირებელი“. არადა, მეგონა, შონზო პირსისხლიან ნანა კაკაბაძესა და ცხვირსისხლიან ჩიორა თაქთაქიშვილს რომ დაინახავს, უფრო მეტად გაუძლიერდება იმის რწმენა, რომ „არა არს მოციქული გარდა სააკაშვილისა და მერაბიშვილია ქვეყნის ხერხემალი“.

შევცდი...

ამ 25 წლის წინ, როდესაც ვინმე ახსენებდა ვალერია ნოვოდვორსკაიას, თვალწინ მაშინვე ახალგაზრდა, ლამაზი და ჭკვიანი ქალი წარმომიდგებოდა ხოლმე. შევცდი. ყველას გვყავს ნანახი ნოვოდვორსკაია. ვისაც არ ჰყავს ნანახი ნოვოდვორსკაია, ბაყაყი მაინც ექნება ნანახი. ნანახი გექნებათ „ეშმაკის ადვოკატი“, გასულ კვირაში კი აი, რა თქვა ჩოყლაყის ადვოკატმა: „

„თქვენს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობა სახიფათოდ მიმაჩნია. რამდენადაც მომაკვდავმა ზვიად გამსახურდიამ თქვენი თავი მე ჩამაბარა და თქვენზე ზრუნვა დამავალა, როგორც ძველ დისიდენტსა და რუსეთის მიერ თავისი უბედური, ყოფილი კოლონიებისთვის დაგებული ხაფანგების კარგ მცოდნეს, უბრალოდ გაფრთხილებთ, რომ ძალიან ცუდი დრო დაგიდგებათ, თუ დაუშვებთ „ქართული ოცნების“, უფრო სწორად, რუსეთის იმპერიის ოცნებების ასრულებასა და უკანონობას... ეროვნულ ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტის შემდეგ რატომ არ გამოხვედით საკუთარი სურვილით თქვენი პატარა ქვეყნის მთავარ მოედანზე?! რატომ არ თქვით, რომ აღარ გინდათ, გქონდეთ ასეთი პარლამენტი? იმიტომ, რომ თუ პარლამენტი უკანონობას აღვივებს, ეს პარლამენტი არ არის, ეს ქურდული ქოხმახია. თქვენ რა, თავად არ იცით, როგორ მოიქცეთ ასეთ შემთხვევებში? რომ უნდა მოითხოვოთ ამ პარლამენტის დათხოვნა?“

წადი, რა, ალო, მარტენსი ნახე, ჩიორას კოჭი გაუგორე... „ზვიად გამსახურდიამ თქვენი თავი მე ჩამაბარა და თქვენზე ზრუნვა დამავალა...“ – ჩვენში დარჩეს და, ეს სიტყვები კი ჰგავს სიმართლეს.

რა თქმა უნდა, სერგო რატიანთან მიმართებაში კობა დავითაშვილი აბსოლუტურად მართალი იყო, მაგრამ სერგო რატიანთან ყველაზე შხამიანი მორიელიც კი მართალი იქნება. კობა დავითაშვილი მართალია, როდესაც საკუთარი გუნდის არაგუნდურობაზე საუბრობს, მაგრამ კოჰაბიტაციამ არ იცის ჩემიანი და შენიანი.

კოჰაბიტაცია და, ჯანდაბა, მაგათ თავს! ამ სახლობანას თამაშში რაღაც ძალიან აგვიანდება სამართალს და ჯერჯერობით, არც „ნა ვერწელე“ ჩანს. რავი... თუ სამართალი იმ ასტეროიდზე იჯდა, დედამიწას 27 ათას კილომეტრზე რომ ჩაუარა, ცუდად ყოფილა ჩვენი საქმე და ბარემ, ისიც ვიკითხოთ, როგორ იქნება გივი თარგამაძის საქმე? მოსკოვის პოლიციამ გივი თარგამაძეზე ფედერალური ძებნა ხომ ოფიციალურად გამოაცხადა!

ვიღაც ნაცმაცუნამ თქვა, ვამაყობ ეს ცნობილი რევოლუციონერი ჩემი მეგობარი და თანამედროვე რომ არისო... ჩე გევარას ხელები ჰავანაში, რევოლუციის მუზეუმში, სპირტით სავსე ქილაში ინახება... იქნებ, ის დღეც დადგეს, როდესაც მიხეილ სააკაშვილის სახელობის კოჰაბიტაციის მუზეუმში საპატიო ადგილს დაიკავებს არყით სავსე ქილაში ჩაწყობილი გივი თარგამაძის ტუჩები!

გაითვალისწინეთ, რომ გივის ცუდი სიმთვრალე აქვს.

ცუდი კი არა და, ნახეთ, რა მაგარი დებილობა ამოვიკითხე გასულ კვირაში: „ვალერი გელბახიანი პოლიტიკიდან წავიდა და საადვოკატო საქმიანობას შეუდგა, — ამის შესახებ გელბახიანმა ჟურნალისტებთან საუბრის დროს განაცხადა. მისი თქმით, მზად არის, იურიდიული მომსახურება გაუწიოს ყველა კლიენტს პროფესიულ დონეზე. მისივე თქმით, პოლიტიკიდან წასვლის გადაწყვეტილება მიიღო იმიტომ, რომ „ორი საჩხერელი არ უნდა დაუპირისპირდეს ერთმანეთს“, — აცხადებს ვალერი გელბახიანი“.

წყალბურთი გამიგია, ხელბურთი გამიგია, ფეხბურთი და, თქვენ წარმოიდგინეთ, მოტობურთიც კი გამიგია, მაგრამ ორი საჩხერელი რომ უპირისპირდებოდეს ერთმანეთს, ასეთი რამ ჯერ არ გამიგია.

კ.ს. (კოჰაბიტაციის სამყაროში) ღმერთმანი, კომიქსების სამყაროა. ბრტყელი, შავად მოხაზული ფიგურები რაღაც ტუტუცურ, უაზრო ამბავში გზის გაგნებას ცდილობენ, ალბათ, მართლა სასაცილო ამბავში, ფიგურები ცოცხალი ადამიანები რომ არ იყვნენ...

(კენ კიზი, „გუგულის ბუდე ზე სხვა გადაფრინდა“)

დიმიტრი ლორთქიფანიძე „ნაციონალებმა“ „დაავერბოვკეს“?

ვისი ფინანსური მხარდაჭერით აპირებს ნაძალადევის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას და მართლა შედგა თუ არა ფარული გარიგება დიმიტრი ლორთქიფანიძესა და გიგი წერეთელს შორის

ნათია აბაშიძე

„ნაციონალები“ პიარსტრატეგიას ცვლიან — ჯერ ერთი, ყოფილმა მმართველმა გუნდმა, როგორც ირაკლი კაკაბაძე სოციალურ ქსელ „ფეისბუქში“ ავრცელებს, ახალი ლობისტური კომპანია დაიქირავა, რომელიც შეეცდება, აშშ-ს კონგრესს საქართველოსთვის დახმარებების გამოყოფა შეაწყვეტინოს. მეორე და მთავარი: კულუარებში, პრინციპში, უკვე ღიად ამბობენ, რომ სააკაშვილის პოლიტიკური და-ძმები ისეთ პერსონებზე „ნადირობენ“, რომელთა მიმართაც საზოგადოების ნდობის ხარისხი მეტ-ნაკლებად მაღალია.

რას ნიშნავს „ნადირობა“? რას და, როგორც „ვერსიას“ უთხრეს, „ნაციონალები“ ცდილობენ, ე.ნ. სიმპათიური პოლიტიკოსები, რომლებიც პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ, გარკვეულწილად, ცაიტნოტში აღმოჩნდნენ, „გააცოცხლონ“ და 27 აპრილისთვის დანიშნულ შუალედური არჩევნებში კენჭი აყრევინონ. ცნობისთვის: შუალედური არჩევნები სამ — ნაძალადევის, ბაღდათისა და სამტრედიის საარჩევნო ოლქში გაიმართება...

რაც შეეხება „გაცოცხლებას“, როგორც „ვერსიის“ წყაროები ამბობენ, ცაიტნოტში მყოფ პოლიტიკოსებს „ნაციონალები“ ფინანსებითა და სხვა საარჩევნო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფენ, ოღონდ ეს „ურთიერთობა“ მკაცრად გასაიდუმლოებული იქნება. ამ ფარული გარიგებით, რეანიმირებული პოლიტიკოსები, თურმე, ვალდებულებას აიღებენ, გამარჯვების, ესე იგი, პარლამენტში მოხვედრის შემთხვევაში, „ნაციონალური“ უმცირესობის საპარლამენტო თეზისებს გაიზიარებენ ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, მიშას დაკრულზე იცეკვებენ.

ბუნებრივია, ხელაღებით ვერ ვიტყვით, რომ ინფორმატორთა მიერ მოწოდებული ზემოხსენებული ვერსია, აპრიორი, გამართლდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, მაინც შესანიშნავი სტრატეგიაა — ჩიორა თაქთაქიშვილის, გოკა გაბაშვილისა და სხვა „ნაციონალთა“ მხრიდან იმის მტკიცება, რომ ახალი ხელისუფლება ქვეყანას კატასტროფისკენ მიაქანებს, ცოტა არ იყოს, დაუჯერებელია, მაგრამ წარმოიდგინეთ, მსგავსი განცხადება რომელიმე ისეთმა პოლიტიკურმა პერსონამ რომ გააკეთოს, რომელსაც ხალხი ენდობა, ამას როგორი რეაქცია მოჰყვება. ასეთ პერსონათა რიცხვში კი, როგორც ამბობენ, შესაძლოა, დიმიტრი ლორთქიფანიძე ვიხილოთ.

ბატონი დიმიტრი, არჩევნების შემდეგ, ფართო საზოგადოების წინაშე, პრაქტიკულად, ორჯერ წარსდგა: ერთხელ მაშინ, როცა სახალხო დამცველობისთვის იბრძოდა და მეორედ, ახლახან, როცა სოციალურ ქსელ „ფეისბუქის“ საკუთარ გვერდზე „ციხის კადრების“ ავტორთან დაკავშირებით, გარკვეული კითხვებით მთავარ პროკურორს, არჩილ კბილაშვილს მიმართა.

სხვათა შორის, ამ შეკითხვებს მინი-სკანდალი მოჰყვა — დიმიტრი ლორთქიფანიძეს ჟურნალისტურ კავშირ „ობიექტივის“ ხელმძღვანელმა ირმა ინაშვილმა უპასუხა. ისე, ჩვენთვის რომ ვთქვათ, ცოტა გაუგებარია, ამ შეკითხვებმა ირმა ინაშვილი რატომ გააბრაზა. ამასთან, ბურუსითაა მოცული, რატომ დაინტერესდა დიმიტრი ლორთქიფანიძე „ციხის საქმით“, მაგრამ ეს, ალბათ, ცალკე საუბრის თემაა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ციხის სკანდალით“ ბატონმა ლორთქიფანიძემ, როგორც ცაიტნოტში მყოფმა პოლიტიკურმა პერსონამ, „გაცოცხლება“ სცადა...

რაც შეეხება მთავარ პოლიტიკურ ინტრიგას, კულუარებიდან გამოჟონილი ხმებით, „ნაციონალებმა“, ზემოხსენებული სცენარის გათვალისწინებით, მიზანში დიმიტრი ლორთქიფანიძე ამოიღეს. ამავე კულუარული ხმით, მასთან მოლაპარაკებებს „ნაციონალი“ გიგი წერეთელი მართავდა, რომელიც, თურმე, ლორთქიფანიძის ნათესავია, თუმცა „ვერსიასთან“ საუბრისას, ბატონი დიმიტრი გიგი წერეთელთან ნათესაურ კავშირს უარყოფს და ამბობს, რომ ვიღაცას შეიძლება, ყოფილ სახალხო დამცველ გიორგი ტუღუშში შეეშალა.

კულუარული ხმების მიხედვით, გიგი წერეთელმა დიმიტრი ლორთქიფანიძეს შესთავაზა, რომ შუალედურ არჩევნებში კენჭი ნაძალადევში იყაროს. ამასთან, წერეთელს, თურმე, უთქვამს, რომ თუ ამ წინადადებას დათანხმდება, ლორთქიფანიძე პრეზიდენტის სპეციალური მილიონიანი ფონდიდან, რომელიც მედიისა და სამოქალაქო საზოგადოების განვითარებისთვის პირველი ოქტომბრის არჩევნების შემდეგ შეიქმნა, გარკვეულ, არცთუ მცირე თანხას მიიღებს. სამაგიეროდ, როგორც აღვნიშნეთ, არჩევნების მოგების შემთხვევაში, საკანონმდებლო ორგანოში „ნაციონალთა“ პოზიციებს გაამაგრებს, თუმცა დამოუკიდებელი დეპუტატის სტატუსს შეინარჩუნებს.

მართალია, კულუარებში ამბობენ, რომ „ნაციონალების“ მხრიდან დიმიტრი ლორთქიფანიძის „დავერბოვკების“ ოპერაცია წარმატებით დასრულდა, მაგრამ თავად ლორთქიფანიძე „ვერსიასთან“ საუბრისას ყველაფერს ხელაღებით უარყოფს.

„— სიმართლე გითხრათ, ნაძალადევის რაიონში ჩემ მაჟორიტარობასთან დაკავშირებით, ინფორმაცია არ მაქვს. შესაბამისად, ვერაფერს დაგიდასტურებთ.

— **„ვერსიის“ წყაროს თქმითვე, „ნაციონალებმა“ გადაგიბირეს და შუალედურ არჩევნებში მონაწილეობას მათი ფარული მხარდაჭერით მიიღებთ...**

— ესეც ანეკდოტების სფეროდანაა...“

ვერსიანიუსი

დავით ბაქრაძის თქმით, ძირითად კონსტიტუციურ საკითხებზე შეთანხმება შედგა

საპარლამენტო უმცირესობის ლიდერის, დავით ბაქრაძის განცხადებით, საპარლამენტო უმცირესობასა და უმრავლესობას შორის ძირითად კონსტიტუციურ საკითხებთან დაკავშირებით შეთანხმება შედგა.

ამის შესახებ ბაქრაძემ მასა და პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილს შორის მიმდინარე მოლაპარაკებების კომენტირებისას აღნიშნა.

„მოლაპარაკების პროცესი გრძელდება, საკითხების დიდ ნაწილთან დაკავშირებით, პრინციპულად შევთანხმდით. რაც შეხება დარჩენილ საკითხებს, საპარალამენტო უმცირესობის მხრიდან იქნება კონსტრუქციული პოზიცია იმისთვის, რომ საბოლოო შეთანხმება შედგეს და ეს შეთანხმება იყოს ისეთი, რაც ქართულ საზოგადოებასა და ქვეყანას გამოადგება“, — განაცხადა ბაქრაძემ.

შეგახსენებთ, რომ უმცირესობასა და უმრავლესობას შორის მოლაპარაკებები პრეზიდენტსა და დავით უსუფაშვილს შორის დაიწყო. საკონსტიტუციო ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხებზე უსუფაშვილი და ბაქრაძე პარტიების სხვა წევრებთან ერთად მსჯელობენ.

„პირველი“

ნინო ბურჯანაძემ პოლიტპატიმრებთან შეხვედრა გამართა

15 თებერვალს სასტუმრო „ძველ თბილისში“ „დემოკრატიული მოძრაობის“ თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე და პარტიის მთავარი საბჭოს წევრები პოლიტპატიმრებს შეხვდნენ. შეხვედრაზე ხაზი გაესვა პოლიტპატიმრისა და პოლიტიკური დევნილის სტატუსის მქონე ადამიანების სრული სამართლებრივი რეაბილიტაციის აუცილებლობას.

მიმოხილულ იქნა ქვეყანაში შექმნილი პოლიტიკური მდგომარეობა და აღინიშნა, რომ დაუყოვნებლივ, ობიექტურად უნდა იქნას გამოძიებული 2011 წლის მაისის მოვლენები და აუცილებლად უნდა წარსდგეს მართლმსაჯულების წინაშე ყველა ის პირი, რომელმაც დაგეგმა და განახორციელა 26 მაისის სისხლიანი სადამსჯელო სპეცოპერაცია.

ყოფილმა პატიმრებმა ხაზი გაუსვეს, რომ დღეს იმ ორგანიზაციის მხრიდან პოლიტიკურ დევნაზე საუბარი, რომელმაც ქვეყანაში ჩამოაყალიბა მოძალადე რეჟიმი და ათასობით ადამიანი უსამართლოდ გამოგვამწყვდია ციხეში, ცინიკურია.

ამასთან, აღინიშნა, რომ დემოკრატიული მოძრაობა გმობს ნებისმიერი სახის ძალადობას და სწორედ ძალადობისა და უსამართლობის წინააღმდეგ იბრძოდა.

დამსწრე საზოგადოებამ პოზიტიურად შეაფასა მთავრობის ინიციატივა სპეციალური კომისიის შექმნის თაობაზე, რომელიც განიხილავს რეჟიმის მიერ რეპრესირებული თანამოქალაქეების საჩივრებს და იმედი გამოთქვა, რომ აღნიშნული კომისია უმოკლეს ვადაში შეუდგება მუშაობას ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის მიზნით.

პოლიტპატიმარმა გია სალუქვაძემ აღნიშნა, რომ აუცილებელია, თითოეული პოლიტპატიმრის საქმე მთავარი პროკურატურის ცენტრალურმა აპარატმა გამოიძიოს, ხოლო მასზე პროცესუალური ზედამხედველობა განახორციელოს მთავარმა პროკურორმა, ვინაიდან სისტემაში სხვადასხვა საპასუხისმგებლო თანამდებობას, სამწუხაროდ, დღემდე იკავებენ ის ადამიანები, რომლებიც უშუალოდ, ასრულებდნენ ხელისუფლების უკანონო, პოლიტიკურ დაკვეთებს.

შეხვედრას, ასევე, ესწრებოდნენ დემოკრატიული მოძრაობის ის წევრები, რომლებიც წლების განმავლობაში ნაციონალური რეჟიმის მსხვერპლნი იყვნენ და რეჟიმის პირობებში, სასჯელი უკანონოდ, პოლიტიკური ნიშნით, ამნისტიის მიღებამდე მოიხადეს. როგორც განაცხადეს, ყველა მათგანმა უკვე მიმართა საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიას მათთვის პოლიტპატიმრის სტატუსის მინიჭების თაობაზე.

გამოითქვა მოსაზრება, რომ პოლიტპატიმრებისგან უნდა შეიქმნას შიდაპარტიული ჯგუფი, რომელიც კოორდინაციას გაუწევს როგორც პოლიტპატიმრისა და პოლიტიკური დევნილის სტატუსის მქონე, ასევე, სტატუსის არმქონე დემოკრატიული მოძრაობის პოლიტიკურად რეპრესირებულ წევრებს, ვინაიდან უფრო ეფექტურად და ორგანიზებულად წარიმართოს ბრძოლა მათი კანონიერი უფლებების აღდგენისთვის. ჯგუფს პოლიტპატიმარი გია სალუქვაძე უხელმძღვანელებს.

დემოკრატიული მოძრაობის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ თანაპარტიელებს მადლობა გადაუხადა რეჟიმის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისთვის, რაც მათ საკუთარი სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ოჯახების უსაფრთხოების რისკის ფასად გასწიეს და აღნიშნა, რომ სამშობლოს გადარჩენისთვის სწორედ ამ თავდაუზოგავმა ბრძოლამ გადატეხა რეჟიმი და უზრუნველყო ქვეყანაში პირველი ოქტომბრის მშვიდობიანი ცვლილებები.

ბურჯანაძემ, ასევე, აღნიშნა, რომ დემოკრატიული მოძრაობა ბოლომდე გააგრძელებს ბრძოლას სამართლიანობის აღდგენისთვის, ქვეყანაში დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერებისა და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის.

„ჩვენ, ყველანი ერთად, აუცილებლად მივაღწევთ, რომ ის ადამიანები, რომლებმაც დაგეგმეს და მონაწილეობა მიიღეს, როგორც ჩვენი პარტიის დისკრედიტაციაში, ასევე ჩვენი თანაპარტიელებისა და თანამოქალაქეების უკანონო მასობრივ დაპატიმრებებში, აუცილებლად აგებენ პასუხს დამოუკიდებელი სასამართლოს წინაშე, კანონის სრული სიმკაცრით. ჩვენ არ გვინდა რევანში, ჩვენი ამოცანაა, ქვეყანაში აღარ არსებობდეს დაუსჯელობის სინდრომი და უზრუნველყოფილ იქნას კანონის უზენაესობის პრინციპი. მხოლოდ ესაა იმის გარანტია, რომ ჩვენი სამშობლო და ჩვენი თანამოქალაქეები აღარასოდეს გახდნენ უსამართლობისა და თავგასულ ხელისუფალთა მსხვერპლნი. მხოლოდ ამ პრინციპებით შეიქმნება თავისუფალი, დემოკრატიული და ძლიერი საქართველო“, — განაცხადა ნინო ბურჯანაძემ.

შეხვედრაზე პარტიის წევრებმა და პოლიტპატიმრებმა ერთობლივი განცხადება მიიღეს:

„დემოკრატიული მოძრაობა დაარსების დღიდან ყველაზე მეტად განიცდიდა პოლიტიკურ დევნას, ხოლო 2011 წლის 26 მაისის შემდეგ, სწორედ ჩვენ აღმოვჩნდით განსაკუთრებით რეპრესირებულნი რეჟიმის მხრიდან. მიუხედავად იმისა, რომ დემოკრატიული მოძრაობის ასეულობით წევრმა და მხარდამჭერმა, სხვადასხვა დროს, უკანონოდ გამოიარა რეჟიმის საპყრობილეები, არასოდეს განგვისხვავებია ერთმანეთისგან ჩვენი და სხვისი პატიმარი და ჩვენი შესაძლებლობების ფარგლებში, ყოველთვის ერთნაირად ვიბრძოდით ყველა უკანონო პატიმრის ინტერესების დასაცავად.

დემოკრატიული მოძრაობა მიესალმება ახალი ხელისუფლების მიერ ქვეყანაში სამართლიანობის აღდგენის პროცესის დაწყებას, საქართველოს პარლამენტის მიერ პოლიტიკურ პატიმრებად და პოლიტიკურ დევნილებად ცნობილი და ამნისტიის კანონის საფუძველზე მსჯავრდებულების გათავისუფლებას და მოუწოდებს შესაბამის ორგანოებს, დროულად იქნას შემუშავებული საკანონმდებლო აქტი, რომელიც შესაძლებელს გახდის პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებულთა სრულ რეაბილიტაციას, მათთვის დამსახურებული კომპენსაციის გადახდასა და ღირსების აღდგენას.

დემოკრატიული მოძრაობა მოუთმენლად ელის საქართველოს უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტისა და ხელისუფლების შესაბამის გადაწყვეტილებებს, რომ უმოკლეს ვადებში აღდგეს სამართლიანობა, პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიენიჭოს იმ პირებსაც, რომლებიც წლების განმავლობაში, ცნობილნი იყვნენ ამ სტატუსის მატარებლებად ადგილობრივი და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ, მაგრამ 2012 წლის 28 დეკემბრის კანონის „ამნისტიის შესახებ“ მიღებამდე, სხვადასხვა ფორმით გათავისუფლდნენ პატიმრობიდან. ამას ელიან თავად უკანონოდ დასჯილნი, მათი ოჯახის წევრები და მთელი ქართული საზოგადოება. სწორედ ეს იქნება კიდევ ერთი, უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი სააკაშვილის ძალადობრივი რეჟიმის დასასრულისკენ“, — ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოში H1N1 ვირუსით კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა



სავარაუდოდ, H1N1 ვირუსით საქართველოში კიდევ ერთი ადამიანი გარდაიცვალა. ახალგაზრდა მამაკაცი 2 დღის წინ, თბილისში, ზუგდიდის ერთ-ერთი კლინიკიდან გადმოიყვანეს და ინგოროყვას სახელობის კლინიკაში გარდაიცვალა.

დაავადებათა კონტროლის ცენტრში პაციენტის გარდაცვალების მიზეზის ლაბორატორიული დასკვნა კი რამდენიმე დღეში გახდება ცნობილი.

საქართველოში ლაბორატორიულად დადასტურებულია H1N1 ვირუსით დაავადების 123 შემთხვევა, აქედან ოთხი ლეტალური შედეგით დასრულდა.

„თბილისში, ბოლო ორი კვირის განმავლობაში, მომართვიანობა 6 ათასამდე იყო, წინა თვეში კი — 10 ათასამდე, რაც იმას ნიშნავს, რომ ათეულ ათასობით მოქალაქემ გადაიტანა H1N1 გრიპის ვირუსი. სამწუხაროდ, რამდენიმეს გაურთულდა და ფატალურად დამთავრდა. მეხუთე შემთხვევაც, სავარაუდოდ, H1N1 ვირუსი იყო“, — აღნიშნა დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ პაატა იმნაძემ.

სპეციალისტები საზოგადოებას მოუწოდებენ, ხალხმრავალი თავშეყრის ადგილებში ყოფნას მოერიდონ და რაიმე სახის გართულებისას აუცილებლად მიმართონ ექიმს.

„მედიანიუსი“

გია ხუხაშვილის თქმით, გახმაურებულ საქმეებზე გამოძიება ვერ დაჩქარდება

ექსპერტ გია ხუხაშვილის თქმით, რთულია, წინა ხელისუფლების მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის ყოფილ მაღალჩინოსნებს პასუხი აგებინო, როდესაც სასამართლო ჯერ კიდევ მათ მიერ იმართება.

ექსპერტი უსაფუძვლოდ მიიჩნევს პოლიტიკოსთა და საზოგადოების ნაწილის კრიტიკას იმის შესახებ, რომ სამართლიანობის აღდგენის დაპირების ასრულება ჭიანურდება და გამოძიებამ კონკრეტული შედეგები ამ დრომდე ვერ დადო.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას, ხუხაშვილმა აღნიშნა, გახმაურებული საქმეების გაჭიანურებას სხვა ობიექტური მიზეზებიც აქვს. ერთ-ერთი ფაქტორია საერთაშორისო საზოგადოების ინტერესი და რეაქცია ასეთი საქმეებისადმი.

„რაც ყველაზე მთავარია, ახალი ხელისუფლება არ ჰგავს წინა ხელისუფლებას, რომელიც ძაფით კერავდა საქმეებს. საქმის კანონიერად გამოძიებას დრო სჭირდება, მით უმეტეს, როდესაც საქმე ხანდაზმულია და მაფიოზური კლანის მიერ ჩადენილ დანაშაულებს ეხება. ასეთ საქმეებზე აჩქარება არ შეიძლება, ყველაფერი კანონიერად უნდა გაკეთდეს, თუმცა რამდენიმე საქმეზე, რომელიც გამოძიებამ სასამართლოს წარუდგინა, სასამართლომ პროკურატურის შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა და ყოფილი მაღალჩინოსნები გამოუშვა. დღეს არსებული სასამართლოს პირობებში, ძნელია, ობიექტური განაჩენები იქნას გამოტანილი. მე ასევე არ დავეთანხმები კრიტიკას იმის შესახებ, რომ გამოძიება საერთაშორისო საზოგადოების აზრის პოლიტიკური მძევალი გახდა. ეს ასე არ არის. მთავარია, საერთაშორისო საზოგადოებას სრულყოფილი მასალები მიაწოდონ თითოეული საქმის შესახებ. თანაც უკვე გადაწყდა, რომ გახმაურებულ საქმეებში უცხოელი ექსპერტები ჩაერთვებიან და საერთაშორისო ორგანიზაციებს დეტალური ინფორმაცია ექნებათ, რამდენად ობიექტურად მიდის გამოძიება“, — განაცხადა გია ხუხაშვილმა.

„მედიანიუსი“

მაია ორჯონიკიძე ახალ ხელისუფლებას პოლიტიკურ დევნაში ადანაშაულებს

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

14 თებერვალს, პოეტ იზა ორჯონიკიძის პუბლიცისტი და მხატვარი, საზოგადოებისთვის ანტისახელისუფლო განწყობით ცნობილი ქალიშვილის, მაია ორჯონიკიძის, ასევე, მხატვარი შვილი ცოტნე მამულაშვილი ყაჩაღობის მუხლით დააკავეს. მაია ორჯონიკიძემ „ვერსიას“ ის სარეკომენდაციო წერილი გადასცა, რომელიც სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ცნობილმა ადამიანებმა მოსამართლეს წარუდგინეს: „ჩვენთვის მიუღებელია ცოტნეს მიმართ განხორციელებული აღმკვეთი ღონისძიება, რადგან გვჯერა, მისნაირი ადამიანები არ უნდა იყვნენ გისოსებსმიღმა. ის ჩვენს საზოგადოებას სჭირდება. გთხოვთ, აღნიშნული საქმის მიუკერძოებლად გამოძიებას, რათა ცოტნე მამულაშვილი დაუბრუნდეს ოჯახს, მეგობრებსა და საკუთარ საქმიანობას. რეკომენდაციას ვაძლევთ და თავდებში ვუდგებით ცოტნე მამულაშვილს: ოთარ კობერიძე, გია ბუღაძე, ლელა გაფრინდაშვილი, ლაშა ბაქრაძე, გია ნოდია, ზაზა ხუციშვილი, რევაზ ჩანტლაძე, ირაკლი ოჩიაური, დეფი გოგიბედაშვილი“. მიუხედავად ამისა, საქალაქო სასამართლომ მამულაშვილს გირაო მაინც არ შეუფარდა და 5 აპრილს ჩანიშნულ სასამართლომდე საკანში დარჩება. ახალი ხელისუფლებისადმი ოპოზიციურად განწყობილი ქალბატონი ამ დაკავებას პოლიტიკურს უწოდებს და მიაჩნია, რომ ივანიშვილის რეჟიმმა შვილი გასაჩუმებლად დაუჭირა.

რატომ დაიჭირეს პოეტ იზა ორჯონიკიძის შვილიშვილი

— ამ ხელისუფლებაზე, როგორც არჩევნებამდე, ისე, არჩევნების შემდეგ არაერთხელ გამოვსულვარ ტელედებატებში და ჩემი აზრი გამომითქვამს. ბოლო დებატები გოგი ხოშტარიასთან, „მაესტროს“ ეთერში, ორშაბათს, 11 თებერვალს მქონდა და ხმამაღლა ვთქვი, რომ 26 მაისის აქცია თავისი არსით, ანტისახელმწიფოებრივი იყო და მის დაშლას ვეთანხმებოდი. ამაზე ხოშტარიამ მიპასუხა, იქ ხალხი დახოცეს და აქციის დაშლას როგორ ამართლებო. ვუთხარი, პროცესს ვაფასებ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, მკვლელობის ფაქტები არ გამოვიძიოთ და ის ადამიანები უმკაცრესად არ დავსაჯოთ, ვინც დამნაშავეა-მეთქი. ის ჩემს პოზიციას შეგნებულად აყალბებდა. მეორე წუთას კი, 8 თებერვალს მომხდარ აქციაზე დავიწყეთ საუბარი და, დაახლოებით, იგივე თქვა, აქციას მხარს ვუჭერდი, მაგრამ არ მომეწონა, ჩიორა თაქთაქიშვილს ცხვირი რომ გაუტეხესო.

— ამ ეთერს რატომ ახსენებთ, რა კავშირშია 14 თებერვალს განვითარებულ მოვლენებთან?

— ეს დღე, ალბათ, პიკი იყო, თორემ მაინცდამაინც ამ ეთერს არაფერს ვუკავშირებ. უბრალოდ, ამ ხელისუფლებას ჩემი მისამართით ბევრი რამ დაუგროვდა და ანგარიშსწორება ახლა გადაწყვიტა. მათ იმ ხალხის გაჩუმება სურთ, ვინც სხვაგვარად აზროვნებს, ამ დროს, თავად ადანაშაულებდნენ სააკაშვილის ხელისუფლებას იგივეში. არის კიდევ ერთი ფრაზა, რაც ძალიან მენიშნა — გოგი ხოშტარიამ თქვა, ჩემი შვილი უდანაშაულოდ იყო დაჭერილი, აბა, ერთი, თქვენი შვილი დაიჭირონ, მერე, როგორ იფიქრებთო. იმას კი არ ვამბობ, რომ ეს ამბავი, კონკრეტულად, ამ ფრაზისა და კონკრეტულად, ამ ეთერის გამო მოხდა, უბრალოდ, ფაქტია: ცოტნე 2 დღეში დაიჭირეს. ჩემი სოციალური აქტივობა ძალიან უსიამოვნო, ხელისშემშლელი და გამაღიზიანებელი აღმოჩნდა ამ ხელისუფლებისთვის და საჭიროდ ჩათვალა, რაღაცნაირად გამაჩეროს!

— შვილის დაჭერის ყველა სხვა მოტივს გამორიცხავთ?

— გამოვრიცხავ, რადგან ვიცი, ჩემი გაზრდილი შვილი რისი გამკეთებელია და რისი — არა. დედაჩემი, პოეტი იზა ორჯონიკიძეა. დედისერთა შვილი მყავს, რომელიც მხატვრობის, პოეზიის, მუსიკის გარემოშია გაზრდილი და ის, თურმე, დღისით, მზისით, შევარდა გლდანის რომელიღაც ვალუტის გადამცვლელ ჯიხურში 600 ლარის გამო?! — როგორ გეკადრებათ! ცოტნე ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში მხატვრად მუშაობდა, იყო ექსპერტი ნატო-ს საინფორმაციო ცენტრში, ასევე — პედაგოგი სამხატვრო აკადემიაში და კომპიუტერულ გრაფიკას ასწავლიდა სტუდენტებს, მუშაობდა არქიტექტორად მერიის ფონდში. ადამიანს სულ სხვა ინტერესები აქვს და რა შეხება უნდა ჰქონდეს კრიმინალთან?! ცოტნე თავის სამშობლოზე შეყვარებული კაცია, 25 წიგნის მხატვარი, ღირსეული ადამიანი, რომელიც აგვისტოს ომის დროს საომრად პირველი გაიქცა და ახლა, ესენი მიმტკიცებენ, რომ სადღაც შევარდა ერთი საცოდავი „ბუტკის“ დასაყაჩაღებლად?! ამას მე კი არა, ის ადამიანებიც არ დაიჯერებენ, ვინც მას პირადად არ იცნობს.

— რითი ამტკიცებთ, რომ მისი დაკავება პოლიტიკურია?

— თეორიულად, შეიძლება ყველაფერი წარმოიდგინო, მაგრამ არის რაღაცები, რაც, მინიმუმ, უნდა გაითვალისწინო, როცა რაღაც საქმეს კერავ! სააკაშვილი ამათთან, საერთოდ, მონაგონია. ყველა მანკიერება, რაც წინ ხელისუფლებას ჰქონდა და არ მოგვწონდა, ამ ხელისუფლებამ გადმოიღო, ოღონდ, სამწუხაროდ, მისი ღირსებები არ გადმოუღიათ. აი, მათგან კარგს რომ არაფერს ველი, უფრო სწორად, საერთოდ რომ არ ველი და ხმამაღლა ვლაპარაკობ, ამიტომაც ზის ჩემი შვილი წინასწარი დაკავების იზოლატორში!

— ვიცი, რომ მასთან რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია შევიდა. თავად ცოტნეს პოზიცია როგორია?

— ჩემი შვილი ძალიან მშვიდადაა, როგორც ყველა მართალი და უდანაშაულო კაცი! მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას კი ახდენდნენ, აღიარე დანაშაულიო, მაგრამ რა ვაღიარო, როცა იქაც არ ვყოფილვარო, ამბობს ცოტნე. გამოძიებისა და ჩემი შვილის ინტერესებიდან გამომდინარე, სხვა დეტალებზე ჯერ არ ვისაუბრებ, მაგრამ ვიცი, ცოტნეს თავი ღირსეულად უჭირავს ისე, როგორც საკუთარ სიმართლეში დარწმუნებულ კაცს შეეფერება. დღეს იგი არაერთი არასამთავრობო ორგანიზაციის მონიტორინგის ქვეშ იმყოფება, ეს საქმე გახმაურებულია და ივანიშვილის მთავრობას ძალიან გაუჭირდება ჩემი შვილის კრიმინალად გასაღება! ე.ი. კაცი ივანიშვილის ხელისუფლებამდე იყო ხელოვანი და უცბად გახდა კრიმინალი? რა შეიძლება დედისთვის ყველაზე მძიმე იყოს — შვილის დაჭერა, რასაც წელსქვევით დარტყმას ვეძახი. ივანიშვილის საქართველოში ჩახალიანები და რუსის აგენტები გარეთ უნდა იყვნენ, ცოტნეები კი ციხეში ისხდნენ?! დავუშვათ, მე დედა ვარ და რაღაც მელანდება, მაგრამ ეს იმ ასეულობით მხარდამჭერსაც ელანდება, ვინც ამ დაკავებასთან დაკავშირებით თავის პოზიციას გამოხატავს?!

> **„ივანიშვილის საქართველოში ჩახალიანები და რუსის აგენტები გარეთ უნდა იყვნენ, ცოტნეები კი ციხეში ისხდნენ?!“**

— თქვენს გარდა, კიდევ ბევრს აქვს ახალ ხელისუფლებაზე განსხვავებული აზრი, მაგრამ ანგარიშსწორება, მაინცდამაინც, თქვენს მიმართ რატომ ხდება?

— სამაგიეროდ, ყველას არ მიუწვდება ხელი მასობრივ მედიასაშუალებებამდე, მე კი ამას ხშირად ვაკეთებ და საკუთარი პოზიციის ხმამაღლა გამოხატვას არც ახლა მოვერიდები — ქვეყნის საგარეო კურსს, რასაც წინა ხელისუფლება უნაკლოდ ატარებდა, საფრთხე ემუქრება! ცხადია, კურსის შეცვლა ერთ დღეში არ ხდება, არც დღევანდელი ხელისუფლებაა იმდენად სულელი, ამის დეკლარირება მოახდინოს, რადგან ჩვენი კურსი ევროპისკენ შემთხვევითი არაა. ეს მცოცავი პროცესია, რომელიც სიტყვით კი არა, საქმით გაფიქრებინებს, რომ საქართველო საგარეო ვექტორს იცვლის. მაგალითად, ივანიშვილი ყარსი-ახალქალაქის რკინიგზის მშენებლობის შეჩერებასა და აფხაზეთის რკინიგზის რეაბილიტაციაზე საუბრობს.

— აფხაზეთის რკინიგზის გახსნას, მოწინააღმდეგეზე მეტი მომხრე ჰყავს...

— გარდა ამისა, თურმე, სომხური სახელმწიფო იმის მაგალითი ყოფილა, როგორი ურთიერთობა უნდა გვქონდეს რუსეთთან, ამ დროს, სომხეთს დასავლეთში ინტეგრაციის სურვილი არასოდეს გამოუთქვამს. კურსის ცვლილებაზე პირდაპირ მიუთითებს ვააგნ ჩახალიანის ციხიდან გამოშვებაც. ეს ადამიანი ჯავახეთში, პრაქტიკულად, იგივე პერსონაა, რაც იყო არძინბა აფხაზეთში და კოკოითი — შიდა ქართლში.

— ჩახალიანის როლს ზედმეტად ხომ არ ზრდით?

— ჯერჯერობით, ჩახალიანი ერთი კერძო პირია, მაგრამ რუსეთის სამსახურები მისგან პერსონას შექმნიან. მარტივად რომ ვთქვათ, საუბარი სხვა რამეზეა — ციხიდან საქართველოში მესამე ეთნოკონფლიქტის პოტენციური გამღვივებელი გამოუშვეს! ენერგოშანტაჟისტი რუსეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს ალტერნატიული ენერგოდერეფნის შექმნას, რომელმაც საქართველოზე, კონკრეტულად, ჯავახეთზე უნდა გაიაროს. ჩახალიანის გამოშვება კი ამ გეგმის პირველი ეტაპია.

— ესე იგი, ამტკიცებთ, რომ ივანიშვილმა შეგნებულად გამოუშვა ჩახალიანი ციხიდან, რათა პუტინის გეგმიდან ჯავახეთის ჯაჭვი არ ამოვარდეს და რაკი ამ ყველაფერს ხმამაღლა ამბობთ, შვილი ამიტომ დაგიჭირეს?

— ის, რასაც ვამბობ, პრეზიდენტმა თავად თქვა, როცა ჩახალიანი გამოუშვეს, მაგრამ პრეზიდენტს შვილს ხომ ვერ დაუჭერდნენ, შეიძლება, ძალიანაც უნდათ, მაგრამ ამას მაინც ვერ იზამენ! დღეს შემიძლია, ერთი რამ ვთქვა — არავის არაფერს ვაბრალებ, ყველაფერს, რასაც ვამბობ, პრემიერი თავისი პირით აცხადებს. იმის გონება მაქვს, მოცემულობა დავინახო, გავაანალიზო და ამის მერე, დასკვნები გამოვიტანო. ამ გადასახედიდან, როცა მარტო მე კი არა, უამრავი ადამიანი ხედავს, რომ ეს ხელისუფლება, მოსვლის დღიდან, ძალიან მცდარ ნაბიჯებს დგამს, ამაზე თვალს ვერ დავხუჭავ. თავს კი იკლავენ, დემოკრატიული სახელმწიფო ვართო, მაგრამ რაშიც წინა ხელისუფლებას ადანაშაულებდნენ, ახლა იგივესა და კიდევ უარესს თავად სჩადიან! დიახ, არაერთი შეცდომა დაუშვა წინა ხელისუფლებამაც, მაგრამ ბევრიც გაკეთდა — პრაქტიკულად, ქართული თანამედროვე სახელმწიფოს ფუნდამენტი ჩადო მიხეილ სააკაშვილმა და ამის არდანახვა არ შეიძლება! სამწუხაროდ, რუსეთთან მიმართებაში, იმ პოზიციებს უკვე ვკარგავთ, რაც დიდი წვალებით მოვიპოვეთ, ამიტომ ამ გადასახედიდან, ახალ ხელისუფლებას ძალიან არ მოსწონს საზოგადოების ის წარმომადგენლები, რომლებიც ყველაფერ ამაზე ღიად და ხმამაღლა ლაპარაკობენ. შესაბამისად, მათ გაჩუმებას ყველა საშუალებით ცდილობენ! რასაკვირველია, ეს ჩემზე ანგარიშსწორების ბინძური მეთოდებია და საწინააღმდეგოში ვერავინ დამარწმუნებს. ჩემს გაჩერებაზე რომაა საუბარი, მე, რა, ტერორისტი ვარ თუ ჩემგან ვინმეს ფიზიკური ლიკვიდაციის საფრთხე ემუქრება?! კანონმორჩილი მოქალაქე ვარ და, ვალდებულებებთან ერთად, მაქვს ჩემი უფლებები, როგორც ყველას — სიტყვისა და აზრის გამოხატვის თავისუფლება, რასაც სრულად ვიყენებ და მომავალშიც გამოვიყენებ.

— სასამართლომ თქვენს შვილს 5 აპრილამდე პატიმრობა შეუფარდა...

— მას იმდენად მძიმე მუხლი წაუყენეს — ყაჩაღობა, რომ თავდებით ან გირაოთი გამოშვება ძალიან საეჭვო იყო. რა იქნება, ამაზე საუბარი არ მინდა, ახლა იმაზეა საუბარი, აქამდე რა მოხდა. უბრალოდ, ჩემი შვილისთვის ასეთი მძიმე მუხლი არ უნდა წაეყენებინათ და ხელოვნურად არ უნდა შეექმნათ მოსამართლისთვის სურათი, რომ ცოტნე მძიმე დამნაშავეა, რაც სიმართლეს არ შეესაბამება!

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

„ნაციონალური“ რიტორიკა შეცვლილია — ახლა 2010 წელს მიღებული საკანონმდებლო ცვლილების პაკეტის ამოქმედებას სააკაშვილის დეპუტატები ითხოვენ. სააკაშვილ-ივანიშვილი კი თავიანთი პარტიული შეკრებებიდან ერთმანეთს მხოლოდ მსუბუქ პოლიტიკურ მინიშნებებს უგზავნიან. სამაგიეროდ, არ ცხრება აჟიოტაჟი პოლიტპატიმრების თემაზე... პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე ეკა ბესელია ოპონენტების ბრალდებებს პასუხობს.

ეკა ბესელია ირმა ნადირაშვილს პოლიტიკურ კორუფციაში ადანაშაულებს?!

„გივი თარგამაძემ, მაგ უსინდისო რევოლუციონერმა, გამოიყვანოს თუნდაც ერთი პოლიტპატიმარი და ათქმევინოს, რომ ამ საქმეში ფული გადამიხადა!“

— არ ვიცი, მოლაპარაკებების დროს რა ხდებოდა და ვერც „ნაციონალების“ უეცარ შემობრუნებას ავხსნი. ბევრი მოლაპარაკე „თავი“ ჰყავთ და ამ თემებზე თავად იჭიკჭიკონ. მე ის ვიცი, ჩვენ რა გვინდა: დამახინჯებული, დაჩეხილი, ერთ კაცზე მორგებული კონსტიტუცია, რაღაცნაირად, უნდა გასწორდეს, რომ აპრილში სააკაშვილმა ხალხი „მეორედ მოსვლით“ ვეღარ შეაშინოს. როგორც ვიცი, სააკაშვილმა თავად დააყენა წინადადება, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ ასამოქმედებელი კონსტიტუციური ჩანაწერი უფრო ადრე ამოქმედდეს. ახლა სწორედ ეს სქემა იხილება და ამაზე მუშაობა, მგონი, ღირს.

— ესე იგი, არ იცით, რა მოხდა მოლაპარაკებების დროს ანუ საპარლამენტო „ოცნება“ საქმის კურსში არაა, რაზე ისაუბრეს ტეტ ა ტეტ, პრეზიდენტმა და პარლამენტის თავმჯდომარემ?

— ვიცი, რომ შემხვედრი წინადადება ჩვენც გვაქვს. ამ ეტაპზე, უმრავლესობიდან მომლაპარაკებელი პარლამენტის თავმჯდომარეა, უმცირესობიდან — დავით ბაქრაძე. ეს ორი დათო ერთმანეთთან ისედაც სულ ლაპარაკობდა, უსუფაშვილს არ შეუწყვეტია საუბარი უმცირესობასთან, მაგრამ 8 თებერვალმა სხვა იმპულსი გააჩინა. ხალხს აქვს განცდა, რომ სამართლიანობის აღდგენის პროცესი ცოტა გახანგრძლივდა. ცალკე მსჯელობის თემაა მოქალაქე მამალაძე, რომელიც პასუხისგებაში თაქთაქიშვილისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტზეა მიცემული, მაგრამ დეპუტატ სერგო რატიანს რატომ უნდა გადაუსვას გამოძიებამ თავზე ხელი, როცა მოქალაქეებს წიხლებსა და მუშტებს ურტყამდა?! მესმის, დეპუტატობა განსაკუთრებული სტატუსია, მაგრამ როცა შენ მოქალაქეებს სცემ და ურტყამ, განსაკუთრებული პასუხიც უნდა მოგეთხოვოს! არ მესმის ბატონი ბაქრაძისა, რომელმაც გაამართლა რატიანის საქციელი და თქვა, სიტყვიერ შეურაცხყოფაზე ნერვები აეშალა და ამიტომ დაარტყა კოლეგა დავითაშვილსო.

— აკი, დავითაშვილის ლოყა და თაქთაქიშვილის ცხვირი ერთნაირად უნდა იყოს დაცულიო. ახლა დავითაშვილს ამართლებთ?

— საჯარო მოხელეს მეტი პასუხისმგებლობა აქვს. კი, ბატონო, კობას სიტყვები, გაგიჭეჭყავ თავსო, მეც არ მომეწონა, მაგრამ კობამ იქვე თქვა, მოვალ, გაგიჭეჭყავ თავს და ციხეში ჩავჯდებიო ანუ მან, როგორც იურისტმა, ძალიან კარგად იცის, რომ ეს ქმედება დასჯადია. ყველაფერი ეს, რა თქმა უნდა, მეც არ მომწონს, მაგრამ ისიც გავითვალისწინოთ, რომ კობაც მსხვერპლია და მას შეიძლება, ემოციურობის მეტი მიზეზი ჰქონდეს, ვიდრე — რატიანს და მაინტერესებს, აქვს თუ არა სერგო რატიანს ხელშეუხებლობის გარანტია? რა ვქნათ, კობა სიტყვიერი შეურაცხყოფისთვის დავსაჯოთ?

— დასჯას თავი რომ დავანებოთ, მომხდარში დამნაშავე დავითაშვილიცაა თუ არა?

— რატიანის დანაშაულზე ვინ ილაპარაკა? ამას მე კი ვამბობ, მაგრამ საინტერესოა, რას ფიქრობს გამოძიება!

— მერე, ჰკითხეთ გამოძიებას. ბოლოს და ბოლოს, ხელისუფლებაში ხართ და პასუხის მიღება არ გაგიჭირდებათ. ისე, ახლა გამახსენდა: საგამოძიებო სტრუქტურებს ციხის ცნობილ კადრებთან დაკავშირებით, ხათუნა კალმახელიძეც არ დაუკითხავთ...

— ციხის კადრებზე გამოძიება მიმდინარეობს, ადეიშვილსა და სხვა პირებს სწორედ ამ თემაზე აქვთ ბრალი წაყენებული, მაგრამ მინდა, კბილაშვილს ვთხოვო, ხალხს მეტი ინფორმაცია მიაწოდოს, რა ეტაპზეა გამოძიება. იმასაც შევახსენებ, რომ ამ დროს, სწორედ ხათუნა კალმახელიძე იყო პირველი პირი, რომელსაც პირდაპირი შეხება ჰქონდა ციხესთან. შეიძლება, გამოძიებასთან რაღაც კითხვები მეც მაქვს, მაგრამ არ მგონია, სამართლიანობის აღდგენა კოჭლია, უბრალოდ, ეს ძალიან ფრთხილი პროცესია. სამართლიანობის დაჩქარება ისევე არ შეიძლება, როგორც — დაგვიანება. მესმის, პროკურატურაში ბევრი საქმეა შესული, მაგრამ უკვე დაგროვდა კითხვები და მივმართავ პროკურატურას — რამდენიმე მნიშვნელოვან საქმეზე ხალხს მეტი ინფორმაცია მიაწოდოს!

— თქვენ რა კითხვები დაგიგროვდათ?

— რატომ არ იკითხება ქალბატონი კალმახელიძე ციხეებში პატიმართა წამების ფაქტებზე, რატომ არ აქვს საზოგადოებას დეტალური ინფორმაცია რამდენიმე გახმაურებული მკვლელობის თაობაზე, რომელთა გამოძიება უკვე დასასრულსაა მიახლოებული? რობაქიძის საქმეზე, როგორც ვიცი, გამოძიება დასრულდა და ამის შესახებ საზოგადოებას მეტი ინფორმაცია უნდა მიაწოდონ. გამოსაძიებელია 6 მაისის, 15 ივნისის საქმეები. მერიაში არსებული უამრავი კორუფციული სქემა უგულავასთანაა დაკავშირებული, მაგრამ ჯერ პროცესი წინ ვერ მიდის. კითხვები მაქვს გივი თარგამაძესთან დაკავშირებითაც — ეს არის კაცი, რომელიც სხვა ქვეყნების ტერიტორიებზე რევოლუციების მოწყობაში ფიგურირებს. იქნებ, ეს საკითხიც გაირკვეს.

— იმედია, გივი თარგამაძის სხვა ქვეყნისთვის გადაცემასაც არ ითხოვთ.

— არა, რა თქმა უნდა, საქართველოს მოქალაქის გადაცემა სხვა ქვეყნისთვის არ შეიძლება. გივის „შენარჩუნებაზე“ კი არ ვზრუნავ, უბრალოდ, ცნობილი ფრაზის მერე, ყველა ჩვენგანისთვის სული რომ უნდა ამოეხადა, მან რაც უნდა თქვას და ილაპარაკოს, მგონი, ფასი აღარ აქვს, თუმცა ხმას ისედაც იშვიათად იღებს...

ვინმეს მოეწონება თუ არა, მინდა, პოლიტპატიმრების თემასაც გამოვეხმაურო. როცა პოლიტპატიმრების საქმეზე მუშაობა დავიწყე, ძალიან კარგად მესმოდა, რასაც ვეჭიდებოდი — ის ადამიანი ვარ, რომლის შვილი და ძმა პოლიტპატიმრები იყვნენ... ნაციონალურ მოძრაობაში რამდენ ადამიანსაც ეძინა, ყველამ გამოიღვიძა და მათი აგრესია ჩემს წინააღმდეგ წამოვიდა. ყველას ესმის, რას ნიშნავს პოლიტიკურად, როცა პრეზიდენტს უდებ დოკუმენტს, სადაც პოლიტიკური ნიშნით დევნილ-დაპატიმრებულ 215 პირზეა საუბარი. ვიცოდი, „ნაციონალების“ ერთიანან აფეთქებას გამოიწვევდა, თან მათ პოლიციაში ჯერ კიდევ ჰყავთ კადრები და კარგად ვაცნობიერებდი, მათგან დარტყმას მივიღებდი, თუმცა პოლიტპატიმრების აღიარებით სააკაშვილის დემოკრატიის საბოლოო გამანადგურებელი ვარ და ამიტომ, მთელი ეს ლაფისსროლა და ყველაზე უზნეო ცილისწამებაც, ვფიქრობ, ღირდა.

რაც შეეხება თავად კომისიას: ჯერ ერთი, ამ თემაზე მხოლოდ ნანა კაკბაძე არ მუშაობდა და კომისიის სხვა წევრთა როლის დაკნინება არ შეიძლება, თან კომისია გადაწყვეტილებას არ იღებდა: მის მერე საკითხს კომიტეტი განიხილავდა, მერე — პარლამენტი და ბოლოს, დასკვნას ხელი პარლამენტის თავმჯდომარემ მოაწერა. ვინც ამბობს, რომ პოლიტპატიმრების მიმართ ანგარება მამოძრავებდა, პირდაპირ ვაცხადებ, მას ეს დაავალეს, შესაძლოა, ფულიც გადაუხადეს და ისე ალაპარაკებენ.

— ვის გულისხმობთ?

— არ გამოვრიცხავ, ეს იყოს ნადირაშვილი, რომელსაც ავალებენ ლაპარაკს და ამ ტექსტებს უწერენ, თანხასაც უხდიან!

— ისე, თქვენ და ირმა ნადირაშვილი ერთმანეთს ძალიან ერჩით. რატომ?

— ნადირაშვილი როგორ უნდა მერჩოდეს?! უბრალოდ, დავალება აქვს მიღებული. ჯერ კიდევ მაშინ, როცა ჟურნალისტიკაში იყო, ხალხს ტყუილით წამლავდა. მერე, ამას პრეზიდენტის სასახლიდან აკეთებდა და ბარემ, ისიც გაგვაგებინოს, როგორ დაინიშნა მისი და სოციალური მომზადების სააგენტოში ან მისი მეუღლე — გამგებლად?

— სხვათა შორის, ნეპოტისტურ ბრალდებებს ნადირაშვილი თქვენც გიყენებთ...

— საჯარო სამსახურში ჩემი ოჯახის ერთი წევრიც არ მუშაობს! ამოიღონ ჩემი დოსიე და ნახონ, ეს სიმართლეა თუ არა. ამიტომ ნადირაშვილი დაწერილი ტექსტებით რას ილაპარაკებს, აბსოლუტური ტყუილია და ნაკლებად მაინტერესებს! ვინც ანგარებაზე ლაპარაკობს, ის უზნეო, უწესო, გაყიდული ადამიანია. თუ ეს მისი აზრია, ე.ი. ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა იქცეოდეს ადამიანი პატიოსნად ან თუ მას ავალებენ, ე.ი. აქეთაა ანგარებიანი. მორჩა, ესაა ჩემი პასუხი!

სხვათა შორის, ვიცი, რომ სისტემაში არის ჯგუფი, მათ შორის, მოქმედი პროკურორცაა, სახელი და გვარიც ვიცი და მას პირდაპირ ჰქონდა დავალებული, სხვადასხვა ადგილას მიზანმიმართულად გაევრცელებინა, რომ პოლიტპატიმრების სია ანგარებით იყო შედგენილი.

— დაასახელეთ ეს პროკურორი და რატომ მუშაობს ის დღემდე სისტემაში?

— მისი გვარი გადაცემული მაქვს... არჩილ კბილაშვილთან ამაზე არ მისაუბრია, მაგრამ უწყებაში ეს გვარი იციან. მან, ვინც ამ ხმებს ავრცელებს, გამოიყვანოს თუნდაც ერთი პოლიტპატიმარი, რომელიც იტყვის, რომ სიაში ანგარების გამო მოხვდა. ირმა ნადირაშვილმა და გივი თარგამაძემ, განსაკუთრებით თარგამაძემ, მაგ უსინდისო რევოლუციონერმა, რომელსაც როცა ხულიგნობას აბრალებდნენ, სხვათა შორის, მე ვიცავდი, გამოიყვანოს თუნდაც ერთი პოლიტპატიმარი და ათქმევინოს, რომ ვინმემ ამ საქმეში ფული გადაახდევინა. დავით საყვარელიძე კი, საერთოდ, ხმას ნუ ამოიღებს!

— საყვარელიძემ თქვენი კომიტეტი რატომ დატოვა?

— კაცს ინტერესთა აშკარა კონფლიქტი აქვს: მთავარი პროკურორის მოადგილე იყო, ახლა ქვეყანაში ამდენი პოლიტპატიმარია, რაც პირდაპირ მას ეხება. აბა, საკუთარ თავს განაჩენს თავად ხომ არ გამოუტანს?! შესაბამისად, თავს ასე იცავს! ნაციონალური მოძრაობაც იცავს თავს, ნადირაშვილი კი იცავს სააკაშვილს!

— სააკაშვილი კი ელაპარაკება ივანიშვილს და ამ ფონზე, გამაგებინებთ, მეორე-მესამე რიგის ლიდერები ერთმანეთს ფასადისთვის ეომებით?

— ეს სხვა თემაა და ამაზე პოლიტპატიმრების საკითხზე ბრალდებულები ნუ დამელაპარაკებიან. სააკაშვილს კი უკვე იმდენი „ეტკინა“ ამ 190 პოლიტპატიმრით, რომ არასოდეს დაავიწყდება ეს თემა და ამას არასოდეს მაპატიებს. ისიც ვიცი, სააკაშვილს დღეს ყველაზე მეტად ნერვებს მე ვუშლი.

ზურაბ აბაშიძე: „ამ ეტაპზე, საბჭოთა ოკუპაციის დროს მიყენებული ზარალისა და ანაბრების დაბრუნების საკითხის დაყენება არარეალურად მეჩვენება“

რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში პრემიერ-მინისტრის სპეციალურ წარმომადგენელს, ზურაბ აბაშიძეს რუსეთთან მოლაპარაკებების ამ ეტაპზე, საბჭოთა ოკუპაციის დროს მიყენებული ზარალის კომპენსირებისა და ანაბრების დაბრუნების საკითხის დაყენება არარეალისტურად მიაჩნია.

ამის შესახებ აბაშიძემ „პირველს“ არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატების“ ღია წერილის კომენტირებისას განუცხადა, რომლის თანახმადაც რუსეთთან მოლაპარაკებების დროს ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაციისა და დევნილთა უსაფრთხო დაბრუნების პარალელურად, ქართულმა მხარემ აღნიშნული საკითხები უნდა დააყენოს.

„ამ ეტაპზე საბჭოთა ოკუპაციის დროს მიყენებული ზარალისა და ანაბრების დაბრუნების საკითხის დაყენება რუსეთთან მოლაპარაკებებში დღის წესრიგში არ დგას. დღეს ეს არარეალურად მეჩვენება. შესაძლოა, აღნიშნული საკითხები მოლაპარაკებების რაღაც ეტაპზე დადგეს. 1 მარტის შეხვედრისთვის მონიშნული გვაქვს ისეთი თემები, როგორიცაა სავაჭრო, სატრანსპორტო, კულტურული ურთიერთობების აღდგენა“, — განაცხადა აბაშიძემ.

მისივე თქმით, ის „ახალგაზრდა ადვოკატების“ ღია წერილს აუცილებლად პირადად უპასუხებს.

ზურაბ აბაშიძისა და რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის, გრიგორი კარასინის შეხვედრა 1 მარტსაა დაგეგმილი. ამჯერად, შეხვედრა არა ჟენევაში, არამედ ევროპის რომელიმე სხვა ქალაქში გაიმართება. შეხვედრის ადგილი რამდენიმე დღეში დაზუსტდება.

„პირველი“

სომხური მედიის ცნობით, ერდოღანი ივანიშვილს გაქართულებული სომხური ეკლესიების აღდგენას დაჰპირდა

„ერდოღანი ივანიშვილს გაქართულებული სომხური ეკლესიების აღდგენას დაჰპირდა“, — ამ სათაურით სტატიას სომხური საინფორმაციო სააგენტო „ნოვოსტი არმენიი“ აქვეყნებს. სტატიაში საუბარია საქართველოს დელეგაციის თურქეთში ვიზიტზე, სადაც ქართული მხარის ცნობით, ოშკისა და იშხანის რესტავრაციასთან დაკავშირებით შეთანხმება მოხერხდა.

„სომეხმა სპეციალისტებმა არაერთხელ განაცხადეს, რომ ოშკვანკი და იშხანი სომხური არქიტექტურის შემოქმედების ძეგლებია. ისინი სომხური არქიტექტურის ყველა ელემენტს შეიცავენ, უფრო მეტიც, მათი სახელწოდებაც კი სომხურია. ადგილობრივი ხელისუფლება ოშკვანკისა და იშხნისთვის ქართული კულტურული მემკვიდრეობისათვის მიკუთვნებას ცდილობს. თავის მხრივ, ქართველები გამუდმებით აწყობენ იქ ვიზიტებს და ცდილობენ თურქეთის ხელისუფლებას დაუმტკიცონ, რომ ეს ძეგლები ქართული კულტურის ნაწილია“, — წერს სააგენტო.

შეგახსენებთ, რომ ქართული ისტორიული წყაროების ცნობით, იშხნის მონასტერი ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე (ამჟამად თურქეთის საზღვრებშია) VII საუკუნის 30-იანი წლებში ეპისკოპოსმა ნერსესმა ააშენა, ხოლო არაბების შემოსევის დროს დანგრეული ეკლესია IX საუკუნის I ათეულ წლებში გრიგოლ ხანძთელის მოწაფემ საბა იშხნელმა განაახლა. X საუკუნეში იგი კვლავ საფუძვლიანად აღადგინეს, მაგრამ საბოლოო სახე ტაძარმა 1032 წელს ბაგრატ IV-ის მეფობის დროს, ხუროთმოძღვარ ივანე მორჩაისძის ხელში მიიღო.

რაც შეეხება ოშკის სამონასტრო ცენტრს, ისიც ისტორიული ტაოს ტერიტორიაზე (ამაჟამად, ერზრუმის პროვინცია) X საუკუნის 50-60-იანი წლებშია აშენებული. კომპლექსის მშენებლები ტაოს ბაგრატიონები, ადარნასე III კურაპალატის შვილები — ბაგრატ ერისთავთერისთავი და დავით მაგისტროსი (იგივე დავით III დიდი კურაპალატი) იყვნენ.

„მედიანიუსი“

ნინო კომახიძე
პოლიტიკა

სპეციალური რეპორტაჟი ივანიშვილის პარტიის მეორე ყრილობიდან

ის, რაც ტელევიზიებით არ გინახავთ — უცნობი პოეტი, რომელმაც ბადრი პატარკაციშვილსა და უტა ივანიშვილს ლექსი მიუძღვნა, ქალბატონი, რომელიც პრემიერს თავის დაწვით ემუქრება და მსახიობი გია ბურჯანაძე, რომელიც ახალ ხელისუფლებას საყვედურობს

16 თებერვალს პარტია ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს რიგით მეორე ყრილობა გაიმართა — ლურჯ ფერში გადაწყვეტილი პოლიტიკური ღონისძიება, უწინდებურად, ფილარმონიის დიდ საკონცერტო დარბაზსა და ბევრი სტუმრის თანამონაწილეობით ჩატარდა, ოღონდ ამჯერად, 2012 წლის 11 დეკემბერისგან განსხვავებით, როცა „ოცნების“ მხარდამჭერები ფილარმონიამ კი არა, ლამის მელიქიშვილის გამზირმაც ვერ დაიტია, ყრილობის დელეგატებს ფეხზე დოგმა არ მოუწიათ. ეს კი არადა, 1701 დელეგატიდან ყრილობას 1681 დაესწრო. ყრილობის დაწყებამდე მოვლენების ეპიცენტრი საკონცერტო დარბაზის მიმდებარე ტერიტორია იყო:

ფილარმონიის მეორე შესასვლელთან, სადაც ბიძინა ივანიშვილისთვის კორიდორი მზადდებოდა, ე.წ. ატსტუპნიკებმა, ტრადიციას არ უღალატეს და, მინი-აქცია გამართეს. **„შეასრულეთ წინასაარჩევნო დაპირება, დაგვიკანონეთ-ბინები!“** — ითხოვდა პლაკატებმომარჯვებულთა პატარა ჯგუფი, რომელიც პოლიციამ ალყაში ოპერატიულად და ყოველგვარი ძალადობის გარეშე, მოაქცია. სამაგიეროდ, ძალოვნებმა ვერ შებოჭეს სასოწარკვეთილ ქალთა მეორე ჯგუფი, რომელიც „ოცნების“ სხვადასხვა ლიდერისა და ცნობანდი სახის „გამოჭერაზე“ იყო გადასული. ქალბატონების მეორე ჯგუფმა არათუ ივანიშვილამდე მიაღწია, არამედ, რამდენიმე გამონაკლისის გარდა, „ოცნებელთა“ ყურადღებაც ვერ მიიქცია. მსახიობ ნინელი ჭანკვეტაძისგან კი, რომელიც „პროტესტანტ დიაცებს“ წრეში ეშმაკურად ჰყავდათ მოქცეული, უკმეხი პასუხიც მიიღეს. საქმე ეხება იპოთეკარების, ბანკებისა და კერძო კრედიტორებისგან დაზარალებულ ადამიანებს, რომლებიც უკანასკნელი სამი თვეა, „ატსტუპნიკების“ არ იყოს, ახალ ხელისუფლებას ფეხდაფეხ დაყვებიან და შველას ითხოვენ. „ვერსიის“ ყურადღება გამოსახლების პირას მყოფი ერთ-ერთი აქტიური ქალბატონის ისტორიამ მიიპყრო, რომელიც ივანიშვილის ხელისუფლებას თავის დაწვით ემუქრება.

მანანა ჭედია: „ჩვენი უმეტესობა უკვე გამოსახლებულია და ქუჩაში წევს, ზოგსაც ხვალ-ზეგ გამოგვასახლებენ. პირადად მე, ორი უმძიმესი ავადმყოფი, პატიმარი შვილი და ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი მყავს. წასასვლელიც არსად მაქვს, სოციალურად დაუცველი ვარ. აქ 80% ჩემნაირია. ჩემი გამოსახლება 25 თებერვალსაა ჩანიშნული და ვიცი, ქირის გადახდას ვერ შევძლებ. რამდენჯერმე მივმართე ახალ ხელისუფლებას, თეა წულუკიანს, აქციებიც გავმართე ბიძინა ივანიშვილის რეზიდენციასთან, მაგრამ — უშედეგოდ! რაღაც კანონს დაელოდეთო, გვეუბნებიან და ამ „რაღაცის“ გამოსვლამდე ჩვენ, ყველანი, ქუჩაში აღმოვჩნდებით და აქედან ნახევარი დაიხოცება! ჩემი ორი ავადმყოფი ამ სიცივეში ქუჩაში წოლას ვერ გადაიტანს! ამათგან მარტო ერთი პასუხი ისმის, შევდივართ თქვენს მდგომარეობაში, მაგრამ ვერ დაგეხმარებით. დაგეხმარებით კი არა, იძულების წესით, ნივთებსაც გამოგიყრით გარეთ და ქუჩაში დაგიყრითო, ესაა პასუხი?! იპოთეკით ბინა იმიტომ დავტვირთე, რომ ჩემი პატიმარი შვილისთვის, ინსულტიანი მეუღლისა და ავადმყოფი დედისთვის მეშველა, იმიტომ დავკარგე ქონება, რომ ჩემი ოჯახი მაინც ამოწყვეტილიყო? უმორჩილესად ვთხოვთ თეა წულუკიანსა და ბიძინა ივანიშვილს, გულთან ახლოს მიიტანონ ჩვენი გაჭირვება. არ უარვყოფთ, რომ ვალები გვაქვს და კრედიტორს ჩვენთვის ფული არ უჩუქნია, მაგრამ ბევრი თანხა გაბერილიცაა და ბევრი საქმე პროკურატურამაც უნდა განიხილოს. ჩვენი უმრავლესობა ითხოვს, გამოსახლება 3-4 თვით მაინც შეგვიჩერონ, ზოგიერთ ჩვენგანს, ვისაც ყველაზე მძიმე მდგომარეობა აქვს, თავშესაფარიც მისცენ და გრძელვადიანი კრედიტები გამოგვიყონ, რომ კრედიტორები როგორმე გავისტუმროთ. ორი დღის წინ, იმნაძეების ოჯახი გამოასახლეს — ავადმყოფი ქალი, რომელიც საწოლზე იწვა და ხრიალებდა, აღმასრულებლებმა ზეწრით გადმოათრიეს და პირდაპირ სადარბაზოში დააგდეს. მოგვხედონ, თორემ იძულებულნი გავხდებით, სხვა ხერხებს მივმართოთ!

ორ დღეში, ლესელიძის #12-დან ერთ ქალს ასახლებენ, რომელიც აცხადებს, იძულებული

ვარ, ბენზინი გადავისხა და თავი დავიწვაო. მეც ანალოგიურს გავაკეთებ! სირცხვილი არ არის, სახელმწიფომ ისეთი ავადმყოფები, რომელთაც პამპერსები სჭირდებათ, ქუჩაში დამიყაროს?! რა ვქნათ, სიფრიფანა ქაღალდზე დაწერილ კანონს ველოდოთ? ადამიანების სიცოცხლე ამ კანონზე ძვირფასია! ბევრი ქალბატონის სახელით ვლაპარაკობ, რადგან ყველას ერთი სატკივარი გვაქვს. ვთხოვთ მთავრობას, ამ კანონის მიღება დააჩქაროს — დღეს ყველაზე მთავარი ესაა და არა — პრეზერვატირებისა და ჩოხების კანონი! ჩვენც ქართველები ვართ, მათ გვერდით დავუდექით და ახლა ვალდებულნი არიან, დაგვეხმარონ!“

ნანახითა და მოსმენილით შეძრული ხალხი სასოწარკვეთილ ქალბატონებს სწრაფად ეცლებოდა და დარბაზისკენ მიიჩქაროდა. დარბაზის შესასვლელთან „ვერსიას“ უცნობი პოეტი დახვდა, რომელიც ცდილობდა, პრემიერისთვის საკუთარი ლექსები გადაეცა. ბოლოს, უცნობმა პოეტმა, რომელმაც თავი გურამ მანაგაძემამფალად გაგვაცნო, თავისი ოდა „ვერსიას“ გადასცა:

„ვუძღვნი თვალთმაქცის მამხილებელს, იმედის მეკვლეს, იმედის ქალაქზე მეოცნებე ბადრი პატარკაციშვილსა და ქართული ოცნების რუბიკონის გადამლახველ უტა ივანიშვილს!

ქართველი ერის კაცობრივ ზღუდედ,
მაიად, ცხრა ძმად, ბადრად, ბიძინად,
სამყაროს ლიბოდ, სულის სილბილედ,
ზნეობრიობის უმტკიცეს ბინად!
დიახ, ბიძინას ქართულ ოცნებით,
სასოწარკვეთის დამთრგუნველ გზირად,
არა მესიად, მაგრამ მისიად,
თავისუფლების ჭეშმარიტ გმირად
ხარ მოვლენილი ერის იმედად,
გამზადებული ცაში საფრენად,
ურთიერთნდობის მტკიცე საყრდენით
ერთმანეთის მწედ და შერიგებად!
დიახ, ლამაზი ქართულ ოცნების
მარადიული ცეცხლის სახმილად,
აღმდგარნი მართალ სიმართლის მცველად,
პაატა, ბერა, ბეშქენ, მარიტა!
ვერ შეგვაშინოს ლაჩართა კასტამ,
გამზადებული მსხვერპლშესანირად“...

ამასობაში, ფილარმონიაში ამაყად შეაბიჯა „პეეს პეს“ დამფუძნებელმა **კახა ოქრიაშვილმა**.

„აქ, როგორც დეპუტატი, მოწვეული სტუმრის სტატუსით მოვედი. არჩევნების შემდეგ ქვეყანაში ბევრი რამ შეიცვალა. რაღაც ახალმა სიომ დაუბერა, შესაძლოა, ეს სიო დემოკრატიულიც იყოს, ჯერჯერობით, არც თბილია, არც — ცივი, გრილია“, — განუცხადა „ვერსიას“ ოქრიაშვილმა და, გრილსიოდაბერილი ჯაბა სამუშიას ფეხდაფეხ, ფოიეში გაუჩინარდა.

„ოცნების“ კიდევ ერთ ცნობილ მხარდამჭერს, მსახიობ **გია ბურჯანაძეს** კი, როგორც გაირკვა, ახალ ხელისუფლებასთან უკვე შეკითხვები აქვს: **„მართალია, ქვეყანაში ბოლშევიზმი აღარაა და „ნეობოლშევიკები“ წავიდნენ, მაგრამ დაგვრჩა ასაშენებელი ქვეყანა. „ოცნების“ არჩევნებში გამარჯვება, გამარჯვება კი არა, „ნაციონალების“ დამარცხებაა, ერის გამარჯვება კიდევ წინაა, რასაც მუშაობა და სწორი სვლა სჭირდება. თუ ყველაფერს სწორად დაალაგებენ, ალბათ, ხელშესახებ ცვლილებებს 2 წელში უკვე ვიგრძნობთ, თუმცა ახალი ხელისუფლებისთვის სათქმელი უკვე მაქვს — საქმე თუნდაც ახალ საკონსტიტუციო ცვლილებებს ეხება. არ მომწონს, რომ აბსოლუტური ძალაუფლება ერთი კაცის ხელში უნდა იყოს, პრემიერი იქნება ეს კაცი თუ პრეზიდენტი. აი, ბიძინა ხომ წასვლას აპირებს, ვთქვათ, გაგიჟდა ერი და პრემიერად ამირჩია. მერე, მე გავგიჟდი და რა ქნას ერმა?! ხალხს უნდა ვკითხოთ, უნდა თუ არა ეს ცვლილებები და კარგად ავუხსნათ, რას ნიშნავს საპარლამენტო რესპუბლიკა. ხალხია ეს ქვეყანა და არა — ხელისუფლება, ამიტომ მიმაჩნია, რომ ხალხთან კომუნიკაციის პრობლემა ჯერ ისევ არსებობს. საერთოდ, ვფიქრობ, როგორც კი ქვეყანას ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების შანსი გაუჩნდება, მაშინვე უნდა ჩაატაროს, რადგან დღევანდელი პარლამენტი ხალხის ნების გამომხატველი არაა!“**

ისე, თითქმის პუნქტუალურად დაწყებულ პოლიტიკურ ღონისძიებაზე ვერც „ოცნების“ მთელი პარლამენტი ვიხილე და ვერც — მთელი არასაპარლამენტო „ოცნება“. მართალია, საკუთარი პარტიის ყრილობაზე პრემიერს სხვისი პირადი ცხოვრების დეტალები აღარ განუხილავს, მაგრამ რამდენიმე საინტერესო სიგნალი მაინც გაუშვა 8 თებერვლის მოვლენებზე, დავითაშვილი-რატიანის ანტიკოჰაბიტაციურ სატელევიზიო ეთერსა და ქვეყნის მმართველობის მომავალ მოდელზე.

ბიძინა ივანიშვილი: „დაპირისპირება, ამ ბოლო დროს, ჩხუბსა და ცემა-ტყეპაში გადაიზარდა და პოლიტიკოსების გაწევგამოწევაც ვიხილეთ. მინდა, კარგად გავაანალიზოთ, რასთან გვქონდა საქმე საჯარო ბიბლიოთეკასთან. კარგად მესმის სააკაშვილისგან უფლებააყრილი ხალხის, რომელიც იქ პროტესტის გამოსახატად შეიკრიბა, რასაც,

რა თქმა უნდა, ვერავინ დაუშლის, თუმცა ის, რაც მერე მოხდა, ყოვლად დაუშვებელია! ახლავე უნდა ვისწავლოთ, რომ უსამართლობას კანონის ძალით უნდა გავცეთ პასუხი და არა — მუშტი-კრივით, რადგან თუ ადამიანებმა გადაწყვიტეს, პირადად გაუსწორდნენ და ასე აგებინონ პასუხი მოძალადეს, არაფერი გამოვა! მერწმუნეთ, ეს თუ არ შევაჩერეთ, გაცილებით მძიმე შედეგებამდე მივალთ. გპირდებით, სამართლიანობას აუცილებლად აღვადგენთ, მაგრამ ეს ცივილურად უნდა მოხდეს და რაც უნდა გვეჩქარებოდეს, პროცესებს ხელოვნურად ვერ დავაჩქარებთ. ჩვენ არ დავუშვებთ რევანშს, მაგრამ გპირდებით, ყველა დამნაშავე აგებს პასუხს კანონის წინაშე... 9 წელი ისეთ ქვეყანაში გვაცხოვრეს, რომლის პრეზიდენტსაც კონსტიტუციით ჰქონდა გაფორმებული დიქტატურა. ამიტომაა საჭირო საკონსტიტუციო ცვლილებები და ამის აუცილებლობა საპარლამენტო უმცირესობის წევრებსაც კარგად ესმით. ეს რომ ესმით, ამიტომ შემოგვთავაზეს გონივრული წინადადება, რათა ოქტომბერში ასამოქმედებელი კონსტიტუციის რამდენიმე ნორმა ახლავე ავამოქმედოთ. მივესალმები ყველა გონივრულ აზრს და მჯერა, ამით მხოლოდ ჩვენი ხალხი და ქვეყანა მოიგებს, თუმცა არ ვაპირებთ, სამომავლოდ, ამაზე გაჩერებას. კონსტიტუცია აუცილებლად გადაიხედება, რადგან, სამწუხაროდ, ბევრ სხვა ხარვეზსაც შეიცავს...

პარტია ქართული ოცნება საპარლამენტო რესპუბლიკის იდეის მომხრეა, თუმცა კოალიციაში სხვა მოსაზრებებიც არსებობს, მაგალითად, თავისუფალი დემოკრატები მხარს საპრეზიდენტო რესპუბლიკის მოდელს უჭერენ, რაც სავსებით ნორმალურია, თუმცა საბოლოოდ, ხალხმა უნდა გადაწყვიტოს და ფართო შეთანხმების საგნად იქცეს კონსტიტუციის ის მოდელი, რომელსაც უახლოესი ათწლეულების განმავლობაში გადახედვა აღარ დასჭირდება“.

ამის შემდეგ, პრემიერი რამდენიმე რუტინულ თემას შეეხო, მოგვცა სოციალური დაპირებები, შეგვპირდა ეკონომიკის აყვავებას და, როგორც ყველა ჭეშმარიტად ევროპელ ლიდერს შეჰფერის, საქართველოში ეთნიკურ და სექსუალურ უმცირესობათა უფლებების დაცვას.

მერე, მანანა კობახიძემ პარტიის საპატიო თავმჯდომარედ „ოცნების“ სულისჩამდგმელი ბიძინა ივანიშვილი დაასახელა, მმართველი პოლიტსაბჭო კი 11-ის ნაცვლად, 21 წევრით დაკომპლექტდა. ეს წევრები არიან: ელისო ჩაფიძე, ეკა ბესელია, გუგული მაღრაძე, ირინე იმერლიშვილი, ივანე კიღურაძე, ირაკლი ტრიპოლსკი, ირაკლი სესიაშვილი, თამაზ ავდალიანი, ზვიად კვაჭანტირაძე, ზაქარია ქუცნაშვილი, მურმან დუმბაძე, ნოდარ ხადური, კახი კალაძე, ზურაბ აზმაიფარაშვილი, დავით ფაცაცია, ირაკლი ჟორჟოლიანი, ალი ბაბაევი, გივი ჭიჭინაძე, დავით საგანელიძე, უჩა მამაცაშვილი და მანანა კობახიძე...

რუსუდან შელია
პოლიტიკა

მერაბიშვილ-ადეიშვილს და რუსულ „ფე-ეს-ბე“-ს შორის შუამავალი ვალერი ხაბურძანია იყო?!

მუსლიმ სულიერ ლიდერთა საბჭოს — „შურას“ გადაწყვეტილებით, შს მინისტრის ყოფილ მოადგილე გია ლორთქიფანიძესა და სხვა ექსმაღალჩინოსნებზე შურისძიების აქტი საქართველოს ტერიტორიაზე არ განხორციელდება

როდის დაკითხავს პროკურატურა ლაფანყურის სპეცოპერაციისას გადარჩენილ ჩრდილოკავკასიელ მებრძოლს და რა პირობა მისცა ირაკლი ღარიბაშვილმა პანკისის ხეობის უხუცესებს, რომელ ყოფილ მაღალჩინოსნებს ემუქრება ფიზიკური ლიკვიდაცია მუსლიმი სულიერი ლიდერების საბჭოს შეკრების შემდეგ და როგორ გეგმავს ვალერი ხაბურძანია ნინო ბურჯანაძის პოლიტიკურ გაძლიერებას? — „ვერსიის“ კითხვებს კავკასიელ ხალხთა კონფედერაციის თავმჯდომარე ზაალ კასრელიშვილი პასუხობს.

— ჩრდილოკავკასიელებმა მომაწოდეს ინფორმაცია, რომ შს მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი პანკისის ხეობის უხუცესებს ლაფანყურის სპეცოპერაციის გამოძიებას დაჰპირდა, თუმცა გამოძიება, როგორც ვიცი, გართულებულია, რადგან რეალური მოწმეები ან სპეცოპერაცის დროს ჩახოცეს ან კავკასიაში აღარ არიან.

— გავრცელებული ინფორმაციით, სპეცოპერაციისას გადარჩენილი ერთ-ერთი ჩეჩენი მებრძოლი მზადაა, გამოძიებას ჩვენება მისცეს. შსს მას რატომ არ ჰკითხავს?

— როცა ლაფანყურის სპეცოპერაციის ავტორებისა და დეტალების გარკვევა დავიწყეთ, გადარჩენილი ოთხი მებრძოლის ადგილსამყოფელს მივაგენით: ორი ჩრდილოკავკასიაში ე.წ. იატაკქვეშა მებრძოლია, ერთი ტყეშია და მისი პოვნა, ბუნებრივია, შეუძლებელია, ერთი კი სირიაშია — ეს ადამიანი ჩემი მეგობრის შვილის ახლობელი აღმოჩნდა და მზადაა, საქართველოს პროკურატურას ჩვენება მისცეს. ჩემთან საუბრისას, მან ის დაადასტურა, რაც აქამდეც კარგად ვიცოდით, მაგრამ საქმის სიმძიმიდან გამომდინარე, დარწმუნებით ხმამაღლა თქმას ვერ ვბედავდით — ჩრდილოკავკასიელ მებრძოლთა ჯგუფი, საქართველოს გავლით, სირიაში მიდიოდა, სადაც 22 თვეა, ოპოზიცია ასადის რეჟიმს ებრძვის. მებრძოლების ჯგუფურ გადაადგილებას ვანო მერაბიშვილის მოადგილე გია ლორთქიფანიძე ხელმძღვანელობდა. ქართულმა მხარემ ამ ჯგუფს სამხედრო-პოლიტიკურ სპექტაკლში მონაწილეობა და იმჟამინდელი ოპოზიციის ლიდერებზე ზემოქმედება შესთავაზა, რაზეც მებრძოლებმა უარი განაცხადეს. სწორედ ამის შემდეგ ამუშავდა სააკაშვილის პიარ-მანქანა, ქართულმა მხარემ მებრძოლები არც სირიაში გაუშვა და არც ჩრდილოკავკასიაში დააბრუნა. მოლაპარაკებაში კი ახმად ჩატაევი ჩართო, რომელმაც არ იცოდა, რა ხდებოდა სინამდვილეში. პროცესში ჩართულმა პირებმა კარგად იციან, რომ ჩეჩნები მათზე შურს აუცილებლად იძიებენ. საქმე იმდენად სერიოზულადაა, რომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოწმე, რუსლან პაპასკირი, რომელიც ჩეჩნეთის მხრიდან საქართველოს ხელისუფლებასთან გარიგებაში იყო, თურქეთის პოლიციას ქართული გვარითა და პირადობის მოწმობით იმიტომ ჩაბარდა, რომ სამუდამო პატიმრობა მიუსაჯონ და ამ გზით ჩეჩენი მებრძოლების შურისძიებისგან თავი გადაირჩინოს — პაპასკირმა სამი საველე მეთაურის, მათ შორის, შამილ ბასაევის მკვლელობაც აღიარა.

— მთავარი პროკურატურის ინფორმაციით, მოთხოვნის შემთხვევაში, თურქული მხარე საქართველოს თურქეთის ციხეში მყოფ ქართველ პატიმრებს გადმოსცემს. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ პრემიერ-მინისტრის თურქეთში ვიზიტისას, რუსლან პაპასკირთან დაკავშირებით შეთანხმება შედგა?

— არ გამოვრიცხავ, ლაფანყურის საკითხთან დაკავშირებით, მხარეებს ინფორმაცია გაეცვალათ, რადგან თუკი ირაკლი ღარიბაშვილმა პანკისის ხეობის უხუცესებს საქმის სამართლიანად გამოძიების პირობა მისცა, რუსლან პაპასკირი აუცილებლად უნდა დაკითხოს. სხვათა შორის, თავად ჩეჩენმა მებრძოლებმა სრულად იციან, ვისთან ჰქონდა კონტაქტი საქართველოში პაპასკირს, ვინ ხელმძღვანელობდა სპეცოპერაციას და ა.შ. ასე რომ, მებრძოლების რისხვა მხოლოდ მას არ დაატყდება!

არსებობს კიდევ ერთი საფრთხე, რომელსაც დარწმუნებული ვარ, ქართული და თურქული მხარე განიხილავდა, რადგან ეს რეგიონულ უსაფრთხოებას ეხება.

— რას გულისხმობთ?

— ცნობილია, რომ კავკასიელი მებრძოლები მსოფლიოში კარგი ავტორიტეტით სარგებლობენ, თუმცა ამჯერად, ისინი სირიის ოპოზიციაზე განაწყენებულნი არიან, რადგან სირიის ოპოზიციამ მათ საკუთარი დროშის გაშლის უფლება არ მისცა. მეტიც, საკმაოდ გამოცდილი მებრძოლები ისეთ ქვედანაყოფებში გადაანაწილა, რომელსაც არაკვალიფიციური ხელმძღვანელობა ჰყავს, ამიტომ ამ მებრძოლების დიდი ნაწილი სირიიდან წასვლას გეგმავს. ლოგიკურად მეჩვენება, რომ ჩრდილოკავკასიელებმა სამშობლოში დაბრუნება იგივე მარშრუტით სცადონ, რომელიც, თავის დროზე, სირიამდე გაიარეს. საქართველოს ხელისუფლება ქვეყნის ტერიტორიაზე უკანონო გადაადგილებას, ბუნებრივია, ხელს შეუშლის, ამიტომ დესტაბილიზაციის თავიდან ასაცილებლად, ამ მიმართულებით სერიოზული სამუშაოებია ჩასატარებელი. ვვარაუდობ, რომ ამ საკითხზე თურქეთში საკმაოდ სერიოზული მოლაპარაკებები შედგებოდა, რასაც მხარეები არ გაახმაურებენ.

სხვათა შორის, ლაფანყურის საქმესთან დაკავშირებით, მალე ჩრდილოკავკასიელი მუსლიმი სულიერი ლიდერების საბჭოს შეკრება — „შურა“ იგეგმება, სადაც კიდევ ერთხელ გაიშიფრება სპეცოპერაციის სქემა და ის ადამიანები დასახელდებიან, რომელთა ფიზიკური ლიკვიდაციაც, დარწმუნებული ვარ, საბჭოს შეკრებიდან მალევე მოხდება. გია ლორთქიფანიძე, ასევე, ბაჩო ახალაია, რომელიც საქმეში მას შემდეგ გამოჩნდა, რაც მებრძოლებს თურქეთში გადასვლაზე უარი განუცხადეს და ბიჭებმა ტყეში გადაინაცვლეს, ჩეჩნების შურისძიებას ვერსად გაექცევიან. ჩრდილოკავკასიელები პრეზიდენტის ახლო გარემოცვაში მყოფ ადამიანებსაც ასახელებენ, თუმცა მათ ვინაობას ვერ გაგიმხელთ. ჩრდილოკავკასიელებმა ისიც კარგად იციან, რომ მებრძოლების ლიკვიდაცია, უშუალოდ, პრეზიდენტის ბრძანებით დაიგეგმა. ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ამ მასშტაბის სპეცოპერაციაში ჩართვას მთავარსარდლის ბრძანების გარეშე, ვერავინ გაბედავდა. დიახ, ეს საქმე სააკაშვილამდეა მისული. ასე რომ, სამწუხაროდ, პროცესები ჯერ კიდევ წინ გვაქვს.

— ჩეჩენი მებრძოლები დიდი ხანია, ყოფილი მაღალჩინოსნების ფიზიკური ლიკვიდაციით იმუქრებიან, მაგრამ საქართველოს ახალი ხელისუფლება „შურას“ გადაწყვეტილებას უმოქმედოდ შეხვდება?

— მივიღეთ პირობა, რომ მშვიდობიან მოსახლეობაზე შურს არავინ იძიებს, თუმცა ყველაფერ ამაში სერიოზული ძალაა ჩართული, რომელიც ლაფანყურის სპეცოპერაციისას ავტორიტეტული ადამიანების სიკვდილს ასე იოლად არ დათმობს. საბედნიეროდ, ჩრდილოკავკასიელებთან შევთანხმდით, რომ შურისძიების აქტი საქართველოს ტერიტორიაზე არ განხორციელდება — მათაც კარგად აქვთ გააზრებული, რომ საქართველოში პროცესის დაწყება დესტაბილიზაციას გამოიწვევს. იმის თქმა არ მომერიდება, რომ ევროპისა და აზიის ტერიტორიაზე გია ლორთქიფანიძეს, რომელიც საქართველოდან ხელისუფლების შეცვლისთანავე გაიქცა და სხვისი სახელითა და გვარით იმალება, ასევე, სხვა მაღალი თანამდებობის პირებს გაშმაგებით ეძებენ. ბაჩო ახალაია სწორად მოიქცა, საქართველოში რომ დაბრუნდა — რამდენადაც ვიცი, მას და დათა ახალაიასაც თურქეთშიც ეძებდნენ და იპოვეს კიდეც. უბრალოდ, მუსლიმთა სულიერ ძმებს ხელიდან დაუსხლტნენ.

როგორც შემდგომ გაირკვა, ლაფანყურის სპეცოპერაციისას ქართული მხარე რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობდა — ჩრდილოეთ საზღვარზე, საიდანაც მებრძოლებს ტყიდან გაქცევა შეეძლოთ, რუსეთმა სპეცრაზმი ჩააყენა. ერთი შეხედვით, სპეცოპერაცია რუსეთის სპეცსამსახურებთან შეთანხმებულ თამაშს ჰგავს. მაქვს დაზუსტებული ინფორმაცია, რომ რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურებს შორის შუამავლები მოძრაობდნენ, რომლებიც ვფიქრობ, ნაციონალურ მოძრაობასთან დღესაც მჭიდრო კონტაქტში არიან. როგორც ჩრდილოკავკასიელებისგან ვიცი, რუსეთისა და საქართველოს სპეცსამსახურებს შორის ინფორმაციის გაცვლასთან ერთად, შავი ფულიც ტრიალებდა. ამასთან, ვიცი, რომ აღნიშნული შუამავლები ცოცხლები, ჯანმრთელები და ეროვნებით ქართველები არიან.

ჩრდილოკავკასიელების მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ეს ორი ქართველი, რომელიც წლების განმავლობაში ვანო მერაბიშვილს, ზურა ადეიშვილსა და რუსეთის სპეცსამსახურებს შორის მოძრაობდა, ვალერი ხაბურძანია და ირაკლი კოტეტიშვილია. მაქვს ინფორმაცია იმის შესახებაც, რომ ხაბურძანია პარტიას კი არა, „ფე-ეს-ბე“-ს ფილიალს ჩამოაყალიბებს, რათა საქართველოში ერთ-ერთი პრორუსი პოლიტიკოსი გააძლიეროს. გეტყვით იმასაც, რომ ეს ბიძინა ივანიშვილის პარტია არ იქნება.

— აბა, თქვენი ინფორმაციით, ვის დასახმარებლად გზავნის „ფე-ეს-ბე“ ვალერი ხაბურძანიას საქართველოში?

— სავარაუდოდ, ეს არის ქალბატონი ნინო ბურჯანაძე. სხვას, ჯერჯერობით, ვერაფერს ვამტკიცებ.

ვერსიანიუსი

ილია მეორემ საკუთარი თავის შეცნობაზე იქადაგა

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმინდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ საკუთარი თავის შეცნობისა და სიმართლის სიყვარულის აუცილებლობაზე იქადაგა. როგორც უწმინდესმა საკვირაო ქადაგებისას ბრძანა, ადამიანის სრულყოფა დაუსრულებელი პროცესია და ყველაზე დიდი პრობლემა, რაც დღეს კაცობრიობის წინაშე დგას, საკუთარი თავის შეცნობაა.

პატრიარქის თქმით, ადამიანი წავიდა კოსმოსში, შეისწავლა ბუნება, გადადგა დიდი ნაბიჯები მეცნიერებასა და ტექნიკაში, თუმცა თითქმის ვერაფერი გააკეთა საკუთარი თავის შეცნობაში.

„ძველი ფილოსოფოსები ამბობდნენ — „შეიცან თავი შენი“. როცა ჩვენს თავს ვუყურებთ, თითქოს უფრო შორს მიდის ჩვენგან, იმის მაგივრად, რომ დრო გადის, წლები გვემატება და უკეთ ვიცნობდეთ ერთმანეთს და, მათ შორის, საკუთარ თავს, თუმცა ადამიანი უფრო სუსტდება და ნაკლებად ფიქრობს თავის შეცნობაზე“, — ბრძანა უწმინდესმა.

ილია მეორემ ქადაგებაში ხაზი გაუსვა სიმართლის სიყვარულის მნიშვნელობას. **„ბიბლიაში ვკითხულობთ „შეიყვარე სიმართლე და მოიძულე ურჯულოება“. ამის თქმა იოლია, თუმცა შესრულება ძალიან მძიმეა. ადამიანი ვერ გაიგებს, სად არის სიმართლე. შეიძლება, გვერდით იყოს და ეძებდე შორს. მხოლოდ უფალს შეუძლია, გახსნას ჩვენი გონება და შევიყვაროთ სიმართლე. უზენაესი სიმართლეა უფალი. უნდა შევიყვაროთ უფალი და მოყვასი და მოვიძულოთ ურჯულოება. ხშირია, როდესაც ურჯულოებას ვაკეთებთ და ვფიქრობთ, რომ კარგს ვაკეთებთ. უნდა გვქონდეს გონება და ვთხოვოთ უფალს, ფიზიკური გონების გარდა, მოგვცეს დიდი სულიერი გონება. ეს თუ გვექნება, აღარ ჩავიდენთ იმ შეცდომებს, რასაც ვაკეთებდით“,** — აღნიშნა უწმინდესმა.

ქადაგების დასასრულს პატრიარქმა ჯარისკაცები და შინაგან საქმეთა სამინისტროს დაცვის პოლიციის დეპარტამენტი დალოცა და ისურვა, რომ საქართველოს არც ჯარისა და არც პოლიციის გამოყენება არ დასჭირდეს.

„ინტერპრესნიუსი“

პრემიერმა საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს შემადგენლობა დაამტკიცა

ინფორმაცია ამის შესახებ მთავრობის ოფიციალურ ვებ-გვერდზე გამოქვეყნდა.

კერძოდ, საბჭოს შემადგენლობაში იქნებიან, კახი ყურაშვილი — შპს თბილისის ჰუმანიტარულ სასწავლო უნივერსიტეტის სამართლის ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარე; იოსებ სალუქვაძე — ა(ა)იპ თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; გაიანე სიმონია — ა(ა)იპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის თერაპიის დეპარტამენტის გერიატრიის მიმართულების სრული პროფესორი, სამედიცინო განათლების, კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის უფროსი, საბჭოს მდივანი; მარინა ქავთარაძე — ა(ა)იპ თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის მუსიკის ისტორიის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი; ნინო ძოწენიძე — ევრაზიის თანამშრომლობის ფონდის ორგანიზაციული განვითარების დირექტორი; კონსტანტინე ნანობაშვილი — საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი; რუსუდან ტყეშელაშვილი — საქართველოს განმანათლებელთა ასოციაციის პრეზიდენტი; ღალი ღოღელიანი — ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სამშენებლო ფაკულტეტის დეპარტამენტის თავმჯდომარე, ა(ა)იპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესიული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელი და დავით კახნიაშვილი — საქართველოს კერძო სკოლების ასოციაციის თავმჯდომარე, სკოლა „მწიგნობართუხუცესის“ დირექტორი.

„პირველი“

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

დღეს, 18 თებერვალს, თავდაცვის სამინისტრო კვების ახალ ტენდერს გამოაცხადებს. აქამდე ჯარისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებების კვებით უზრუნველყოფა თავდაცვის სამინისტროს შპს „ქართული კვების კომპანიას“ ევალებოდა. ამიერიდან, ამ ფუნქციას კერძო კომპანიები განახორციელებენ, ტენდერში გამარჯვებული კომპანია კი, 45 დღეში გამოვლინდება. ამასთან, აღსანიშნავია, სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა სამინისტროს სპეციალისტებმა ბრალდებულებისთვის კვების ახალი რაციონი და სტანდარტი დაადგინეს... რაც შეეხება ჯარის გამოკვებას, თავდაცვის მინისტრის მოადგილე ზაზა ბროლაძე „ვერსიას“ იმ დეტალებს უმხილეს, რის გამოც, სამინისტრო ახალ ტენდერს აცხადებს.

რა მიზნით აცხადებს თავდაცვის სამინისტრო კვების ახალ ტენდერს

რა სიახლეებია ჯარისკაცებისა და პატიმართა კვების რაციონში, რიდის გამოვლინდება ტენდერში გამარჯვებული ახალი კომპანია და რის ხარჯზე გააკეთა სუბარის უწყებამ ორ მილიონამდე ლარის ეკონომია

— ახალი ტენდერის გამოცხადების ძირითადი მიზეზი ისაა, რომ ეს ფუნქცია სახელმწიფო კომპანიას ჩამოსცილდეს და კერძო ბიზნესს გადაეცეს, რომელიც ჯარს გაცილებით ხარისხიანად და იაფად გამოკვებავს. იანვრის დასაწყისში, „ქართული კვების კომპანიამ“ ტენდერი გამოაცხადა და ახალი მომწოდებლები შეარჩია. შედეგად, თებერვალ-მარტში, „ქართული კვების კომპანია“ 1 600 000 ლარის ეკონომიას მიიღებს, მაგრამ ეს კვების ხარისხის გაუარესების ხარჯზე არ განხორციელებულა. პირიქით, თუკი ადრე, ჯარი მეორე ხარისხის ხორცით იკვებებოდა, ამჟამად, რაციონში პირველი ხარისხის ხორცი შევიტანეთ. გარდა ამისა, აქამდე ჯარში ნორმირებული კვება არ ყოფილა და, პრაქტიკულად, ისე იკვებებოდნენ, როგორც სურდათ. კონსულტაციები გავიარეთ ამ სფეროს პროფესიონალებთან, რომლებმაც გვითხრეს, რომ ასე არ შეიძლება, რადგან ჯარისკაცი აუცილებლად ნორმირებულად უნდა იკვებებოდეს. უნორმო და რაციონსგარეშე კვება, რაც აქამდე იყო, ვფიქრობ, გარკვეულ აღურიცხაობას უკავშირდებოდა. სპეციალისტებს შევადგენინეთ სპეციალური ნორმები, რაც ახალი ტენდერის დასრულებისთანავე ამოქმედდება და ტენდერში გამარჯვებული კომპანიები, კონკრეტული ნორმების საფუძველზე, შესაბამის მენიუს შეადგენენ.

— ახალი ტენდერი როდის დასრულდება?

— 45 დღეში. ეს საკმაოდ რთული ტენდერი იქნება — უნდა მოვთხოვოთ კერძო კომპანიებს, საკუთარი ხედვები წარმოგვიდგინონ, როგორ აპირებენ ლოჯისტიკის განლაგებას, ასევე, სატრანსპორტო საშუალებებით კვების პროდუქტების მიწოდებას და ასე შემდეგ. უნდა დაასაბუთონ და დაამტკიცონ, რომ ისინი ყველაფერ ამას შეძლებენ. ჯარის კვება საკმაოდ მნიშვნელოვანია, რასაც შემთხვევით კომპანიებს ვერ ვანდობთ.

— მაინც, რა იქნება მთავარი კრიტერიუმი, რომლითაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია გამოვლინდება?

— კანონმდებლობით, ეს პროდუქტების ფასი და ხარისხიანი კვებაა. გამარჯვებული კომპანიის გამოსავლენად ისიც მნიშვნელოვანი იქნება, რამდენად მკაფიოდ ჩამოგვიყალიბებს ხედვას, როგორ განახორციელებს ჯარის კვებას და ამას დოკუმენტებით როგორ დაასაბუთებს. როგორც გითხარით, ახალი ტენდერი 45-დღიანია ანუ ბიზნესს დიდ დროს ვაძლევთ, უკეთესად ჩამოაყალიბოს სატენდერო დოკუმენტაცია. ბიზნესს ისიც შეუძლია, გარკვეული კონსორციუმები შექმნას, რადგან არაა გამორიცხული, ერთმა კომპანიამ საკვები რაციონის მომზადება და მისი ადგილზე მიწოდება ვერ შეძლოს. შესაბამისად, სხვა კომპანიას შეუამხანაგდება, შექმნიან კონსორციუმს და ტენდერში მონაწილეობას ერთობლივად მიიღებენ.

შპს „ქართული კვების კომპანიამ“, იანვრის დასაწყისში, ფასების კოტირების მეთოდის გამოყენებით, პირველად გამოაცხადა საჯარო შესყიდვა. თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, ფასის გარდა, მთავარი ინდიკატორი მოწოდებული პროდუქციის ხარისხი იყო:

„იგეგმება ხარისხის გაუმჯობესება სხვადასხვა პროდუქციისათვის. მაგალითად, ჯარის მენიუში, მეორე კატეგორიის საქონლის ხორცს, პირველი კატეგორიის ხორცი შეცვლის, რომლის გემოვნური და ხარისხობრივი მაჩვენებლები გაცილებით მაღალია“, — აცხადებდა „ქართული კვების კომპანიის“ ხელმძღვანელი.

კომპანიამ შესყიდვა შემდეგ პროდუქტებზე გამოაცხადა: ბურღულეული, ბოსტნეული, მაკარონის ნაწარმი, ხორცპროდუქტები, სოსისი, ძეხვი, რძის პროდუქტები, ზეთი, კარაქი, კვერცხი, შაქარი, ჩაი, ტომატ-პასტა, კონსერვი, ყველი, მაიონეზი, ჯემი, საკონდიტრო ნაწარმი, გამაგრილებელი გაზიანი სასმელი, მინერალური წყალი, ნატურალური წვენი, თაფლი, შოკოლადი, სარეცხი-საწმენდი საშუალებები, ერთჯერადი ჭურჭელი, პური.

იანვრის დასაწყისში ჩატარებული ტენდერის შედეგად, მიმდინარე წლის 16 თებერვლიდან, საკვებ პროდუქტებზე ახალი, შემცირებული ფასები დაფიქსირდა: მაგალითად, თუ კარტოფილის ძველი ფასი 0.70 ლარი იყო, ახალი 0.50 ლარია, თუ ადრე კომბოსტოს 0.75 ლარად ყიდულობდნენ, ახალი ფასი 0.35 ლარია, ბრინჯი 1.50 ლარის ნაცვლად, — 1.18 ლარად, წიწიბურა 1.90 ლარის ნაცვლად — 1.49 ლარად, მაკარონი 1.30 ლარის ნაცვლად — 1,20 ლარად, ძეხვი 4.90 ლარის ნაცვლად — 4.10 ლარად, შაქარი 2.05 ლარის ნაცვლად — 1.43 ლარად, თაფლი 13.00 ლარის ნაცვლად — 8.00 ლარად, ხოლო ზეთი 3.69 ლარის ნაცვლად, 2.75 ლარად შეიძინეს. საბოლოოდ, ეკონომიამ, დაახლოებით, 1 600 000 ლარი შეადგინა.

ჯარის გარდა, კვების პროდუქტებით, სასჯელაღსრულების დაწესებულებებსაც შპს „ქართული კვების კომპანია“ ამარაგებს. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, 2013 წლის 4 თებერვალს ძალაში შევიდა ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა კვების ახალი სტანდარტი, რაც „საკანონმდებლო მაცნეშიც“ გამოქვეყნდა:

„ძირითადი განსხვავება ძველსა და ახალ კვების რაციონებს შორის ასეთია: ახალ სტანდარტში კალორიები შეესაბამება ევროპულ სტანდარტს — დაბალი, საშუალო და მაღალი ფიზიკური აქტივობის კატეგორიებისთვის. შექმნილია სხვადასხვა ჯგუფზე მორგებული 11 განსხვავებული მენიუ, მათ შორის, დახურული ტიპის დაწესებულებებში მყოფთათვის, ნახევრადღია და ღია ტიპის დაწესებულებებისთვის, ქალი მსჯავრდებულებისთვის, ორსული და მეძუძური ქალებისთვის, ტუბერკულოზით დაავადებულთათვის, არასრულწლოვანთათვის, სამკურნალო დაწესებულებაში მყოფთათვის, შაქრიანი დიაბეტით დაავადებულთათვის, კუჭ-ნაწლავის დაავადებებით დაავადებულთათვის, ღვიძლით დაავადებულთათვის და პოსტოპერაციულ მდგომარეობაში მყოფ მსჯავრდებულთათვის. ახალი სტანდარტი მოიცავს 12 ისეთ პროდუქტს, რომელიც აქამდე მსჯავრდებულთა კვების რაციონში საერთოდ არ შედიოდა. ძველ სტანდარტში კალორაჟი, ძირითადად, უზრუნველყოფილი იყო პურ-პროდუქტების, ცხიმებისა და პარკოსნების ხარჯზე. აღნიშნული პროდუქტები შენარჩუნებულია ახალ მენიუშიც, თუმცა გაზრდილია ხორცისა და რძის ნაწარმის წილი. ახალი სტანდარტი სამინისტროს ჯანდაცვის დეპარტამენტის, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის, დიეტოლოგებისა და ჰიგიენის ინსტიტუტის ერთობლივი მუშაობის პროდუქტია“.

სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების სამინისტროს ოფიციალური ინფორმაციით, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ყოველკვირეული კვების რაციონი ასეთია:

ორშაბათი: საუზმე — ვერმიშელის ფაფა, პური, კარაქი, ჩაი, შაქარი; სადილი — პური, კარტოფილის სალათი, წვნიანი — „ბორშჩი“ საქონლის ხორცით; ვახშამი — მოხარშული სოსისი წიწიბურას გარნირით, პური, ჩაი, შაქარი.

სამშაბათი: საუზმე — მანანის ფაფა, პური, კარაქი, ჩაი, შაქარი; სადილი — პური, ბოსტნეულის სალათი, მოთუშული ქათმის ხორცი კარტოფილით; ვახშამი — მაკარონი ტომატის სოუსით, პური, ჩაი, შაქარი.

ოთხშაბათი: საუზმე — ბრინჯის ფაფა, პური, კარაქი, ჩაი, შაქარი; სადილი — პური, კომბოსტოს სალათი, ლობიო; ვახშამი — კარტოფილის პიურე, პური, ჩაი, შაქარი.

ხუთშაბათი: საუზმე — მანანის ფაფა, პური, კარაქი, ჩაი, შაქარი; სადილი — პური, კარტოფილის სალათი, სუპ-ხარჩო საქონლის ხორცით; ვახშამი — მოხარშული სოსისი, ჩაშუშული კომბოსტო, პური, ჩაი, შაქარი.

პარასკევი: საუზმე — ბრინჯის ფაფა, პური, კარაქი, ჩაი, შაქარი; სადილი — პური, მჟავე კომბოსტოს სალათი, ლობიო; ვახშამი — მოთუშული კარტოფილი, პური, ჩაი, შაქარი.

შაბათი: საუზმე — მანანის ფაფა, პური, კარაქი, ჩაი, შაქარი; სადილი — პური, ბოსტნეულის სალათი, ბარდის სუპი; ვახშამი — შემწვარი თევზი ბრინჯის გარნირით, ტომატის სოუსი, პური, ჩაი, შაქარი.

კვირა: საუზმე — ჰერკულესის ფაფა, პური, კარაქი, ჩაი, შაქარი; სადილი — პური, წვნიანი — „სოუზი“ ქათმის ხორცით, ჭარხლის სალათი; ვახშამი — ვერმიშელი ხახვში მოთუშული, პური, ჩაი, შაქარი.

სხვათა შორის, ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა მოთხოვნების გათვალისწინებით, ყოველკვირეული კვების რაციონი, დადგენილი კალორიულობის ნორმის დაცვით, განახლებას ექვემდებარება. საჭიროების შემთხვევაში, ცალკეულ ბრალდებულებსა და მსჯავრდებულებს, ექიმის დანიშნულებით, დიეტური კვება აქვთ განსაზღვრული.

რატომ აუქმებს ირაკლი ალასანია სავალდებულო სამხედრო სამსახურს და რა სარგებლობას მოგვიტანს საკონტრაქტო ჯარი

ნინო ხარშილაძე
საზოგადოება

„შეიარაღებული ძალების მთლიანად საკონტრაქტო სისტემაზე გადასვლა იმის მანიშნებელია, რომ ახალ ხელისუფლებას გეზი ნატო-სკენ აქვს აღებული!“

თავდაცვის სამინისტროს ახალი გეგმის თანახმად, სავალდებულო სამხედრო გაწვევა უქმდება და არმია მთლიანად საკონტრაქტო სისტემაზე გადადის. შესაბამისად, კონტრაქტორებს ხელფასი დაენიშნებათ და სოციალური პრივილეგიებით ისარგებლებენ... სასარგებლოა თუ არა საკონტრაქტო არმია? — ამ შეკითხვით „ვერსიამ“ სამხედრო ექსპერტ გიორგი ლილუაშვილს მიმართა.

— „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, საქართველოს ნატო-ში გაწევრიანებაზე ფიქრი გააქტიურდა და, შესაბამისად, შეიარაღებულმა ძალებმა ნატო-ს სტანდარტებზე გადასვლა დაიწყო, რაც საკონტრაქტო სამსახურს, სამხედრო მოსამსახურეების სოციალ-ეკონომიური მდგომარეობითა და საბინაო უზრუნველყოფას ითვალისწინებს, თუმცა ხელისუფლებას იმის საშუალება არ ჰქონდა, თავდაცვის სამინისტროს 70 ათასი თანამშრომელი კონტრაქტზე გადაეყვანა — მაღალი ხელფასი დაენიშნა და შესაბამისი სოციალური უზრუნველყოფა „გაეკეთებინა“. ამიტომ, „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ, თავდაცვის სისტემიდან 3 500-მდე ოფიცერი დაითხოვეს. მიუხედავად ამისა, „ნაციონალებმა“ ჯარის ნატო-ს სტანდარტებამდე, როგორც იტყვიან, აყვანა მაინც ვერ მოახერხეს...

თავდაცვის მინისტრ ირაკლი ალასანიას განცხადება კი, შეიარაღებული ძალები მთლიანად საკონტრაქტო სისტემაზე უნდა გადავიდესო, იმის მანიშნებელია, რომ ახალ ხელისუფლებას გეზი ნატო-სკენ აქვს აღებული, თუმცა იმის პროგნოზირება ძნელია, მთავრობა მხოლოდ სავალდებულო სამხედრო სამსახურის გაუქმებით შემოიფარგლება თუ იმ დაპირებასაც შეასრულებს, რაც თავის დროზე, პრეზიდენტმა სამხედრო მოსამსახურეებს მისცა — საკონტრაქტო სამსახურში მყოფი ოფიცრები ბინებით უნდა დაეკმაყოფილებინათ. სამგორში მშენებლობაც დაიწყო, თუმცა მოგვიანებით, ეს ბინები რატომღაც, შს სამინისტროს თანამშრომლებს გადასცეს. ომისა და სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების დროს დაღუპულთა ოჯახებს კი საცხოვრებელი ფართები მხოლოდ ერთ კორპუსში გამოუყვეს. სხვათა შორის, ამ კორპუსს „ქვრივთა კორპუსს“ ეძახიან. ცხადია, სახელმწიფომ ყურადღება ქვრივებსაც უნდა მიაქციოს, მაგრამ არც ცოცხლები უნდა დაივიწყოს, რომელთა ოჯახებიც მიწურებში ცხოვრობენ.

ისე, საკონტრაქტო ჯარისთვის ახალგაზრდობის უმეტესობა მოუმზადებელია, ამიტომ სამხედრო მომზადება მხოლოდ სკოლებში კი არა, უმაღლეს სასწავლებლებშიც სავალდებულო უნდა იყოს. ამასთან, რეზერვისტების მსგავსი ბანაკები უნდა შეიქმნას, სადაც რეზერვისტები იმ უნარ-ჩვევებს შეიძენენ, რომლებიც ომიანობისა თუ ბუნებრივი კატასტროფების დროსაა აუცილებელი. საერთოდ, საკონტრაქტო ჯარში ის უნდა წავიდეს, ვისაც გარკვეული სამხედრო გამოცდილება აქვს. საკითხავია, რა კრიტერიუმებით გაფორმდება კონტრაქტი. დანაშაულია, როცა სამოქალაქო განათლების მქონე პირს სამხედრო მომზადების ერთ-ორთვიან კურსს ატარებენ და ოფიცრის წოდებას აძლევენ...

ჩვენი ქვეყნისთვის ყველაზე იდეალური შერეული ჯარია — წვევანდელებს პლუს კონტრაქტორები. გასაგებია, რომ ნატო-ს სტანდარტები მთლიანად საკონტრაქტო ჯარზე გადასვლას მოითხოვს, მაგრამ ახალგაზრდების სამხედრო მომზადებაც აუცილებელია.

— ნატო საკონტრაქტო ჯარს რატომ ითხოვს?

— სოციალური პირობების გამო — დაქირავებული სამხედრო მოსამსახურე და მისი ოჯახი დაცული უნდა იყოს. ამასთან, ქვედანაყოფების მართვა მთლიანად ამ კონტრაქტით ხდება. წინა ხელისუფლების დროს, სამხედროსთვის კონტრაქტი დამალული იყო — თავდაცვის სამინისტროში ინახებოდა. შესაბამისად, ოფიცერმა არ იცოდა, რა უფლებები ჰქონდა.

— საქართველოს ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი ოკუპირებულია. საკონტრაქტო სისტემა კი, როგორც ვიცი, ჯარის, ასე ვთქვათ, შემცირებას ითვალისწინებს. ეს ოკუპანტ მეზობელს ახალი აგრესიისკენ ხომ არ უბიძგებს?

— დღეს ქვეყნის უსაფრთხოებას რაოდენობა კი არა, ჯარის ხარისხი განსაზღვრავს. ისრაელი პატარა ქვეყანაა და ერთ დაძახილზე სამშობლოსთვის მთელი ერი ფეხზე დგება. ჩვენ სხვაზე ნაკლები რითი ვართ თუ სამშობლო არ გვიყვარს? გაწვრთნილი და პროფესიული ჯარი ქვეყნის სახე, მშვიდობის გარანტი უნდა იყოს და არა — რომელიმე პოლიტიკური ძალის ამბიციის დასაკმაყოფილებელი იარაღი.

რაც შეეხება რიცხოვნობას, საკონტრაქტო სისტემა სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობას გაანახევრებს — სხვა თუ არაფერი, ბევრს ჯარში სამსახური ასაკის გამო არ შეეძლება, ამიტომ, თუკი სახელმწიფომ მომავალი თაობის აღზრდაზე არ იზრუნა, ქართული სულის მატარებელი აღარც ოფიცერი გვეყოლება და აღარც — ჯარისკაცი. ამასთან, სახელმწიფომ თადარიგში გასული სამხედრო მოსამსახურეებისთვისაც გარკვეული პრივილეგიები უნდა დააწესოს...

ისრაელის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი იწყება

ისრაელის ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, ავიგდორ ლიბერმანის წინააღმდეგ სასამართლო პროცესი იწყება. უცხოური მედიის ინფორმაციით, მას ბრალი თაღლითობასა და თანამდებობის ბოროტად გამოყენებაში ედება. საქმე ეხება ლიბერმანის მიერ ბელორუსში ისრაელის ყოფილი ელჩის ახალ დიპლომატიურ თანამდებობაზე დანიშვნის გარემოებებს. ბრალის დამტკიცების შემთხვევაში, ისრაელის ყოფილ საგარეო საქმეთა მინისტრს სამწლიანი პატიმრობა ემუქრება.

ცოტა ხნის წინ პროკურატურამ ლიბერმანის წინააღმდეგ აღძრული კიდევ ერთი საქმე დახურულად გამოაცხადა, სადაც ის ფულის გათეთრებაში იყო ბრალდებული.

ავიგდორ ლიბერმანმა თანამდებობა შარშან დეკემბერში მას შემდეგ დატოვა, რაც მას ბრალი ოფიციალურად წაუყენეს.

„ინტერპრესნიუსი“

მომხმარებელთა უფლებების დასაცავად კანონპროექტი იქმნება

სამომხმარებლო სფეროს მოწესრიგების მიზნით, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი იქმნება. კანონპროექტს ევროპასთან ინტეგრაციის საპარლამენტო კომიტეტი მოამზადებს, რომელიც ამ მიმართულებით სპეციალურ სამუშაო ჯგუფთან ერთად იმუშავებს.

როგორც კომიტეტში განმარტავენ, „მომხმარებელთა უფლებების დაცვის შესახებ“ კანონპროექტი, გარდა იმისა, რომ მოაწესრიგებს სამომხმარებლო სფეროს, ასევე, შესაბამისობაში მოვა ევროკავშირის პრაქტიკასთან, რაც თავის მხრივ, ევროინტეგრაციული პროცესების ფარგლებში უმნიშვნელოვანესი აქტივობა იქნება.

„ინტერპრესნიუსი“

თელავის დასუფთავების სამსახურის უფროსს 25 000-ლარიანი გირაო შეეფარდა

სასამართლომ თელავის დასუფთავების სამსახურის უფროსი 25 000 ლარის გირაოს სანაცვლოდ გაათავისუფლა. სამართალდამცველებმა ალექსანდრე ბალუაშვილი 14 თებერვალს დააკავეს. გამოძიება მას დიდი ოდენობით ქონების მითვისებასა და ყალბი დოკუმენტის შედგენაში ადანაშაულებს.

გამოძიება 182-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილით და 141-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„ინტერპრესნიუსი“

„მაგნატმა“ „თიბისი ბანკი“ 5 674 025 დოლარით დააზარალა?!

მაია მიშელაძე
ეკონომიკა

„ვერსიის“ 11 თებერვლის ნომერში ნავთობკომპანია „მაგნატის“ გაკოტრების თაღლითური სქემის დეტალები გამოქვეყნდა. სქემაში „თიბისი ბანკი“ ფიგურირებდა, რომელმაც „მაგნატი“ ჯერ გააკოტრა, შემდეგ კი, თავდაცვის ექსმინისტრის, დავით კეზერაშვილის კუთვნილ კომპანია „გალფს“ მიჰყიდა. ამ სტატიის გამო, „ვერსიასთან“ შეხვედრა „თიბისი ბანკის“ ადვოკატმა, გოჩა სვანიძემ ითხოვა, რომლის თქმითაც, „თიბისი ბანკმა“ ბიზნესმენ ჯემალ ლეონიძის კუთვნილი კომპანია „მაგნატის“ ქსელი, სინამდვილეში, ებრაულ კომპანია „სანოილს“ მიჰყიდა და არა — კეზერაშვილს. არაოფიციალური საუბრისას, გოჩა სვანიძემ „ვერსიას“ განუმარტა, რომ შეუძლებელია, ბანკს სცოდნოდა, კონკრეტულად, რომელი ბიზნესჯგუფის ინტერესი იკვეთებოდა „სანოილის“ უკან, რადგან ჯერ ერთი, ეს დეტალები ოფიციალურ დოკუმენტებში მითითებული არ ყოფილა და მეორეც, ბანკს ერთადერთი ინტერესი ჰქონდა — დიდი დავალიანების მქონე ზარალიანი კომპანია სასწრაფოდ გაეყიდა.

როგორ დააგროვა 28 500 000-დოლარიანი ვალი და რაფომ შეიძინა ჯემალ ლეონიძემ დავალიანების დასაფარად გამოყოფილი სესხით მიწის ნაკვეთები და რესტორნები

„თიბისი ბანკსა“ და კომპანია „მაგნატს“ შორის თანამშრომლობა 2007 წლის მარტში დაიწყო. ბანკმა კომპანიას როგორც გრძელვადიანი, ასევე მოკლევადიანი სესხები გამოუყო. გოჩა სვანიძის განმარტებით, გრძელვადიანი სესხები ავტოგასამართი სადგურებისა და ნავთობტერმინალის შესაძენად ან სარემონტოდ იყო განკუთვნილი, მოკლევადიან სესხებს კი, საბრუნავი სახსრების ანუ საწვავის პარტიების შესაძენად გასცემდნენ:

„2007 წლის ბოლოს, ჩვენი ბანკისგან მიღებული სესხების ჯამი 8 974 000 აშშ დოლარი იყო, 2008 წლის ბოლოს კი — 7 887 000 აშშ დოლარი. საწვავის იმპორტისთვის ბოლო მოკლევადიანი სესხი 2007 წლის ნოემბერში გაიცა. კომპანიამ საწვავის რეალიზაცია კი განახორციელა, მაგრამ მუდმივად ითხოვდა ამ სესხის განახლებას და მოთხოვნას იმით ასაბუთებდა, რომ ნორმალური ფუნქციონირებისთვის 4-5 000 000 აშშ დოლარის საწვავის მარაგი სჭირდებოდა. 2009 წლის დასაწყისში, საწვავის მომარაგების მხრივ, „მაგნატს“ სერიოზული პრობლემები შეექმნა, რადგან გაირკვა, რომ კომპანიას მნიშვნელოვანი ვალდებულებები ჰქონდა საწვავის სხვადასხვა მომწოდებელთან. „სოკარის“, „ლუკოილისა“ და „სენტას“ მიმართ, „მაგნატს“ ვადაგადაცილებული პრობლემური დავალიანება ჰქონდა და, შესაბამისად, საწვავს აღარც ეს კომპანიები აწვდიდნენ. ამიტომაც ავტოგასამართი სადგურები ხშირად ჩერდებოდა. შესაბამისად, „მაგნატი“ ზარალიან კომპანიად აქცია, რის გამოც, ჩვენი რისკები გაიზარდა“.

გოჩა სვანიძემ „ვერსიას“ განუცხადა, რომ „თიბისი ბანკთან“ გაფორმებული საკრედიტო ხელშეკრულებების თანახმად, „მაგნატი“ ვალდებული იყო, ნებისმიერი დამატებითი ვალდებულების აღება ბანკთან ოფიციალურად შეეთანხმებინა. „დამატებით ვალდებულებაში“ სესხი და, ასევე, მესამე პირების მიმართ თავდებად დადგომა იგულისხმება. ამ შეზღუდვის მიუხედავად, 2008 წელს, „მაგნატმა“, „თიბისი ბანკისგან“ ფარულად, დამატებითი ვალდებულებები იკისრა, რასაც ფინანსურ უწყისებში შეგნებულად მალავდა.

„სწორედ ამ დროს შევიტყვეთ, რომ „მაგნატმა“ ერთ-ერთი კომერციული ბანკიდან 4 000 000 აშშ დოლარის სესხი აიღო. ამით ჩვენსა და ამ კომპანიას შორის გაფორმებული ხელშეკრულება უხეშად დაირღვა, რაც სრულ უფლებას გვანიჭებდა, ყველა ხელშეკრულება შეგვეწყვიტა და გაცემული სესხების სრულად დაბრუნება მოგვეთხოვა. მიუხედავად ამისა, მაქსიმალურად ვცდილობდით, კლიენტის მიმართ ლოიალობა გამოგვეჩინა და მის დაფინანსებას განვაგრძობდით. ბოლო ერთი წლის განმავლობაში, არსებული დავალიანების რესტრუქტურიზების მიზნით, ახალი სესხი რამდენჯერმე გავეცით, მაგრამ რეალურად, იმაზე რთული მდგომარეობა აღმოჩნდა, ვიდრე გვეგონა — როგორც გაირკვა, „მაგნატმა“ მის ხელთ არსებული რესურსები არამიზნობრივად დახარჯა და არაპროფილური აქტივები, მათ შორის, მიწის ნაკვეთები, 3 რესტორანი, სოფლის მეურნეობის ობიექტები შეიძინა. ეს ყველაფერი კომპანიის მოგებითა და კაპიტალით კი არა, ბანკისგან ფარულად აღებული ვალდებულებებით ფინანსდებოდა. საბოლოოდ, დადგინდა, რომ „მაგნატმა“ 4 სხვა კომერციული ბანკისგან, ჯამში, 10 140 000 აშშ დოლარის სესხი აიღო. გარდა ამისა, მომწოდებლებისა და ფიზიკური პირების დავალიანებამ, ჯამში, 9 800 000 აშშ დოლარი შეადგინა. დამატებით, „თიბისი ბანკის“ მიმართ ვალდებულება 8 500 000 აშშ დოლარია ანუ „მაგნატის“ ვალდებულებები, ჯამში, 28 500 000 აშშ დოლარი იყო“, — ამბობს სვანიძე.

„თიბისი ბანკის“ აქტივების გადასარჩენად აუცილებელი იყო სასწრაფო ქმედებების ჩატარება, რისთვისაც ორი გზა არსებობდა: პირველი — კომპანიის აქტივების სათითაოდ რეალიზაცია, რაც „მაგნატის“ ლიკვიდაციასა და კომპანიის თანამშრომლების გათავისუფლებას გამოიწვევდა და მეორე — კომპანიის კაპიტალის ზრდა ანუ დამატებითი რესურსების მოძიება იმ მოცულობით, რომ მისი ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესებულიყო. გოჩა სვანიძის განმარტებით, „მაგნატის“ წარმომადგენლები ბანკს იმასაც დაპირდნენ, რომ ინვესტორს მოიძიებდნენ, მაგრამ ეს დაპირება ვერ შეასრულეს. შესაბამისად, „მაგნატის“ დაფინანსება ბანკისთვის გაუმართლებლად რისკიანი გახდა. მეტიც, აშკარა იყო, რომ კომპანია, ჯემალ ლეონიძის ხელმძღვანელობით, უხეშ შეცდომებს უშვებდა, ფინანსური მდგომარეობა კი დღითიდღე უარესდებოდა.

გოჩა სვანიძე: „გამოსავალი ის იყო, რომ კომპანიაში მისაღებ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე, „თიბისი ბანკს“ ვეტოს უფლება მოეპოვებინა, რაც ბიუჯეტის დამტკიცებას, 500 000 აშშ დოლარის ღირებულების აქტივების შეძენასა და რეალიზაციას, ფულადი ნაკადების მიზნობრიობის კონტროლს, ახალი ვალდებულებების აღებას, კომპანიის კუთვნილი აქტივების დაგირავებას გულისხმობდა. 2009 წლის 27 მარტს გაფორმდა მემორანდუმი, რომელიც მხოლოდ მხარეთა პოზიციების გამოხატვას წარმოადგენდა და მის პირველივე პარაგრაფში ხაზგასმით ეწერა, რომ ამ დოკუმენტს იურიდიული ძალა არ ჰქონდა. შესაბამისად, მხარეებს არ აუღიათ სამართლებრივი ვალდებულება მემორანდუმის პირობების შესრულებაზე. მემორანდუმის მიხედვით, „მაგნატი-2006“ დააფუძნებდა ახალ კომპანიას — სს „ნავთობპროდუქტების სადისტრიბუციო კორპორაციას“, იგივე ნსკ-ს, რომელსაც ყველა აქტივს გადასცემდა. „მაგნატს“ ახალ კომპანიაში 31 748 500 აშშ დოლარის ღირებულების 71 ერთეული აქტივი უნდა შეეტანა, მაგრამ ახალ კომპანიაში შეტანილი აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი ანუ 14 ობიექტი, უკვე დაგირავებული იყო მესამე პირების მიმართ არსებული ვალდებულებების სასარგებლოდ. საბოლოოდ, ახალ კომპანიაში 31 748 500 აშშ დოლარის ნაცვლად, დაახლოებით, 18 550 000 აშშ დოლარის ღირებულების ქონება შეიტანა, საიდანაც 14 ობიექტი, როგორც ვთქვი, მესამე პირების სასარგებლოდ, იპოთეკით იყო დატვირთული. ჩვენს მიერ ჩატარებული რევიზიით დადგინდა, რომ „მაგნატის“ აქტივების ღირებულება 9 000 000 აშშ დოლარს არ აღემატებოდა. ამავე პერიოდში, დამატებით მოვიწვიეთ დამოუკიდებელი ექსპერტი — სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“, რომელმაც იგივე აქტივები 9 883 800 ლარად შეაფასა!“

ნსკ-მ ოპერირება 2009 წლის აგვისტოდან დაიწყო, თუმცა აქტივების გაუმართაობის გამო, უამრავი ტექნიკური პრობლემის წინაშე აღმოჩნდა. გოჩა სვანიძე აკონკრეტებს, რომ ავტოგასამართი სადგურები არ შეესაბამებოდა კანონმდებლობით გათვალისწინებულ ექსპლოატაციისა და უსაფრთხოების ნორმებს, მათი დიდი ნაწილი არ ფუნქციონირებდა, რამდენიმე მათგანი კი, უბრალოდ, მიწის ნაკვეთი იყო და არა — ავტოგასამართი სადგური. მეტიც, ოთხი ნავთობბაზიდან მხოლოდ ერთი მუშაობდა, დანარჩენები დაშლილი და გაძარცვული იყო... „მაგნატმა“ აიღო ვალდებულება, რომ დარჩენილ აქტივებს გამოათავისუფლებდა და ნსკ-ზე გადააფორმებდა, თავის მხრივ, „თიბისი ბანკი“ მხოლოდ ამ პირობების შესრულების შემდეგ გაათავისუფლებდა იპოთეკით ან გირავნობით დატვირთულ „მაგნატის“ არაპროფილურ ქონებას, მათ შორის, შპს „რეხას“, რესტორნებს — „გვირილასა“ და „მწვანე კონცხს“. მიუხედავად იმისა, რომ „მაგნატის“ წარმომადგენლებმა აღებული ვალდებულებები არ შეასრულეს, „თიბისი ბანკმა“ მაინც გამოათავისუფლა ეს ქონება, ასევე, კომპანიის დამფუძნებლების — ჯემალ ლეონიძისა და მისი ერთ-ერთი პარტნიორის პირადი საცხოვრებელი ბინებიც.

„ნსკ-ს მენეჯმენტს, დაარსების პირველივე დღიდან, ინვესტორი უნდა მოეძებნა. მოლაპარაკებებს მართავდა როგორც ადგილობრივ მსხვილ ნავთობკომპანიებთან — „ვისოლთან“, „სოკარსა“ და „ლუკოილთან“, ასევე, თურქულ „პეტროლ-ოფისსა“ და „პეტრომთან“, რუმინულ „ო-ემ-ვესთან“, ბერძნულ „ეკოსა“ და ებრაულ „სანოილთან“. „მაგნატის“ ქონებით მხოლოდ ებრაული „სანოილი“ დაინტერესდა და, დამოუკიდებელი აუდიტორის მიერ, 9 884 000 ლარად შეფასებული ქონება 14 000 000 აშშ დოლარად გაიყიდა. ამ აქტივების რეალიზაციის შემდეგ, „თიბისი ბანკის“ სუფთა ზარალი 5 674 025 აშშ დოლარია“, — ამბობს გოჩა სვანიძე.

50 ათას პედაგოგს სკოლიდან გათავისუფლება ემუქრება?!

რას უმადავს განათლების სამინისტრო ბიძინა ივანიშვილს, რა სკანდალური კონცეფცია მოამზადა გია დვალის კომისიამ და როგორ იმართლებს თავს გიორგი მარგველაშვილის მოადგილე

ნელი თორდია

განათლებისა და მეცნიერების რეფორმის სახელმწიფო კომისიამ მასწავლებელთა მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის კონცეფცია შეიმუშავა, რომლის პირველ თავშიც, შავით თეთრზე წერია, რომ ზოგადი განათლების სისტემა მალე მასწავლებელთა გაუგონარი დეფიციტის წინაშე დადგება — დოკუმენტში წარმოდგენილი სტატისტიკით, ბოლო სამი წლის განმავლობაში ანუ 2010-2012 წლებში, 68 584 პედაგოგიდან სერტიფიცირებული მხოლოდ 9 895-ია. თუკი გავითვალისწინებთ, რომ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრმა, სამ წელიწადში, მასწავლებელთა მხოლოდ 14%-ის სერტიფიცირება მოახერხა, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დარჩენილ ორ წელსა და, შესაბამისად, ორ საგამოცდო ციკლში, 86%-ის სერტიფიცირება, უბრალოდ, ფანტასტიკაა. ამ საფრთხეზე კონცეფციის „შემოქმედებითი კოლექტივიც“ მიანიშნებს. შესაბამისად, თუ მასწავლებელთა სერტიფიცირება ამ ტემპით გაგრძელდა, მინიმუმ, 50 ათასი პედაგოგი სკოლის გარეთ დარჩება.

ერთ-ერთი სკოლის ყოფილმა დირექტორმა, რომელმაც ვინაობის გამჟღავნებისგან თავი გარკვეული მიზეზების გამო შეიკავა, „ვერსიასთან“ საუბრისას აღნიშნა:

„მართალია, განათლების სამინისტრო დროში გაწელილ სერტიფიცირებას მასწავლებელთა პასიურობით ხსნის, მაგრამ აზრად არავის მოსვლია, გამოეკვლია, რატომ არ გადიან პედაგოგები გამოცდებზე, მით უმეტეს, რომ სერტიფიკატი მათ სტატუსსა და მატერიალურ კეთილდღეობას აუმჯობესებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი, იქნებ, სერტიფიცირების შეუსაბამო ტესტებია? ამ ფონზე, საგულისხმოა, რომ განათლების სამინისტრომ მასწავლებელთა სერტიფიცირების უმნიშვნელოვანესი პროცესი და სისტემის ძირეული დოკუმენტების შექმნა ისევ ლომაია-შაშკინის გუნდის წევრებს დაავალა“.

ზემოხსენებული კონცეფცია გვაუწყებს, რომ 2018 წლისთვის, ქვეყანას 20 ათასამდე ახალი პედაგოგი უნდა ჰყავდეს — ამ დროისთვის, სამსახურს საპენსიო ასაკსმიღწეული სწორედ ამდენი მასწავლებელი დატოვებს (შეგახსენებთ: საპენსიო ასაკი ქალებისთვის — 60, მამაკაცებისთვის კი 65 წელია). ამავე კონცეფციით, დღეს მოქმედ მასწავლებელთა 15% უკვე საპენსიო ასაკისაა ანუ იმ შემთხვევაში, თუკი კონცეფცია დამტკიცდება, სკოლას, ავტომატურად, 1 497 მასწავლებელი დატოვებს. „საპენსიო წმენდა“ ცოტა ხანში კიდევ 1 884 ანუ პედაგოგთა 25,9%-საც შეეხება. საერთო ჯამში, კონცეფციის დამტკიცების შემთხვევაში, ასაკობრივი შეზღუდვების გამო, სკოლის დატოვება მასწავლებელთა 60%-ს, მათ შორის, სერტიფიცირებულსაც მოუწევს!

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რეზიუმე ასეთია: გია დვალის კომისიის მიერ შექმნილი კონცეფციის ამუშავების შემთხვევაში, 2015 წლის 1 იანვრისთვის, მასწავლებელთა 50% სკოლას სერტიფიკატის არქონის, ასაკობრივი შეზღუდვის გამო კი, 25% დატოვებს. სკოლის ყოფილი დირექტორი „ვერსიასთან“ საუბრისას ე.წ. დვალის კონცეფციას ქვეყნის ღალატის კლასიფიკაციას აძლევს და ეჭვობს, რომ პრემიერ ივანიშვილს ამ საშინ სტატისტიკას უმალავენ.

„დარწმუნებული ვარ, ბატონმა ბიძინამ ამის შესახებ არაფერი იცის და ვიმედოვნებ, ვინმე, ვისაც ქვეყნისთვის კარგი უნდა, ამ მონაცემებს გააცნობს. რომელი 20 ათასი ახალი მასწავლებლის სერტიფიცირებაზეა საუბარი, როცა ძველებისთვისაც არ მიუხედიათ? რაც შეეხება ასაკობრივი ცენზის გამო 60 წლის მასწავლებლის სკოლიდან გაშვებას, ასეთი რამ მსოფლიოს ერთ ნორმალურ ქვეყანაშიც არ ხდება“.

მასწავლებელთა მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის კონცეფციის მოდელის დამტკიცების შემთხვევაში, დარჩება თუ არა სკოლა მასწავლებლის გარეშე? — ამ კითხვით „ვერსიამ“ განათლების მინისტრის მოადგილეს, **ალუდა გოგლიჩიძეს** მიმართა.

— კანონით, ნებაყოფლობითი სერტიფიცირება 2015 წლის პირველ იანვრამდეა, მაგრამ შეკითხვა — იმ შემთხვევაში, თუკი მასწავლებლებმა სერტიფიცირება ვერ მოასწრეს, რა მოხდება? — ცოტა ბუნდოვანია. გამოცდაზე ბევრი პედაგოგი გავიდა, მაგრამ ყველამ ვერ ჩააბარა, ამიტომ ვსვამ კითხვას: ყველასთვის, ვინც გამოცდაზე გავიდა, ქულები უნდა დაეწერათ და სერტიფიკატი მიეცათ? გეთანხმებით, რომ გარკვეული რისკი არსებობს, მაგრამ ტექნიკურად, ვადის ამოწურვამდე, ყველა მასწავლებლის სერტიფიცირება შესაძლებელია...

— კონცეფციაში საპენსიო ასაკის პედაგოგებზეცაა ლაპარაკი. ბატონო ალუდა, თუკი მასწავლებლობის უფლებას, არასერტიფიცირებულთან ერთად, საპენსიო ასაკის პედაგოგსაც ჩამოვართმევთ, შეიძლება, სკოლა მასწავლებლის გარეშე დარჩეს...

— ჯერ ერთი, ქვეყანაში მოქალაქის საპენსიო ასაკი განსაზღვრული და ეს განათლების სისტემას არ განუსაზღვრავს. მეორეც, კონცეფცია დამოუკიდებელი ჯგუფის მიერაა მომზადებული, პოლიტიკის ოფიციალური შემმუშავებელი და გამტარებელი კი სამინისტროა. ჩვენგან ვინმემ მიიღო გზავნილი, რომ საპენსიო ასაკის პედაგოგთა გათავისუფლებას დავიწყებთ? სკოლაში 5 წელი ვიმუშავე და რამდენიმე საპენსიო ასაკის პედაგოგი მყავდა, რომელიც ბევრ ახალგაზრდაზე აქტიურად მუშაობდა და სიახლეებსაც ალღოს სხარტად უღებდა... გულწრფელად რომ გითხრათ, ჩემთვის ბიოლოგიური ასაკი მთავარი არაა...

— მინისტრის მოადგილისგან ამის მოსმენა, რაღა დაგიმალოთ და, სასიამოვნოა...

— სხვათა შორის, სამინისტრომ სტაჟის, ასე ვთქვათ, კოეფიციენტი გაზარდა — პედაგოგს, რაც უფრო გამოცდილია, შრომას მეტად ვუნაზღაურებთ. ამან პედაგოგთა ფინანსური მდგომარეობა შეიძლება, განსაკუთრებით არ შეცვალა, მაგრამ ეს ჩვენი დამოკიდებულების გამოხატვაა. ბატონ გია დვალსა და მისი კომისიას დიდ პატივს ვცემ, მაგრამ განათლების სამინისტროს ოფიციალური პოლიტიკა სულ სხვა მიმართულებისაა.

— ბატონო ალუდა, პედაგოგთა ნაწილს დოკუმენტის შემქმნელთა შორის ლომაია-შაშკინის თანამოაზრეების ხილვა აეჭვებს და მიიჩნევს, რომ წარუმატებელი რეფორმის „სახეები“ სისტემის მოდერნიზაციასა და ახალი კონცეფციის შექმნას ვერ შეძლებენ...

— ვიცი, რომ ასეთი შეკითხვები არსებობს, მაგრამ მნიშვნელოვანია, თუ როგორ იღებს სამინისტრო გადაწყვეტილებებს — იმის მიხედვით, თუ ვის რა იარლიყი ჩამოეკიდა თუ ობიექტურად, მეცნიერულად და გააზრებულად. საერთოდ, სამინისტროს დღევანდელი ხელმძღვანელობა იარლიყებით არ სარგებლობს... დაახლოებით, ორ თვეში გვექნება ყველანაირი რესურსი, სერტიფიცირების პროცესს ობიექტურად გადავხედოთ, რაშიც საერთაშორისო დონორი ორგანიზაციებიც გვეხმარებიან...

არასრულწლოვანი ქურდობის 8 ბრალდებით დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს წყალტუბოს რაიონული სამმართველოს გეგუთის პოლიციის თანამშრომლებმა, წარსულში ქურდობის 13 ფაქტისთვის ნასამართლევი, პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი, არასრულწლოვანი რომეო გ. ქურდობის 8 ბრალდებით დააკავეს.

გამოძიებამ დაადგინა, რომ ბრალდებულმა 2013 წლის 9 თებერვალს, წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთში, ელეონორა წიქორაძის საცხოვრებელი სახლიდან 2 480 ლარის ღირებულების ოქროს სამკაულები და მობილური ტელეფონი მოიპარა. დაკავებულმა ოქროულობის ნაწილი იმავე დღეს გაყიდა. სამართალდამცველებმა ძვირფასეულობის ნაწილი უკვე ამოიღეს.

ძიების მსვლელობისას გაირკვა, რომ რომეო გ-მ 2012 წელს წყალტუბოს რაიონის სოფელ გეგუთის სასაფლაოზე 7 საფლავი გაქურდა. გამოძიებამ ბრალდებულის მიერ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ჩადენილი, ქურდობის 20 ფაქტი დაადგინა. დაკავებული აღიარებს ჩადენილ დანაშაულებს.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ და მე-3 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტებით (რაც 4-დან 7 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს) მიმდინარეობს.

„მედიანიუსი“

სომხეთის პრეზიდენტობის პროამერიკელი კანდიდატი ჯავახეთს სომხების „სამშობლოს“ უწოდებს

დღეს სომხეთში საპრეზიდენტო არჩევნები ტარდება. სოციოლოგიური გამოკითხვების თანახმად, მეორე ადგილს პარტია „მემკვიდრეობის“ ლიდერი რაფი ოვანესიანი იკავებს. აღსანიშნავია, რომ იგი, ბევრი სხვა კანდიდატისგან განსხვავებით, საპრეზიდენტო არჩევნებში პირველად მონაწილეობს — სომხეთში ცხოვრების 10-წლიანი ცენზი მხოლოდ ამ არჩევნებისთვის დააკმაყოფილა. ამერიკაში დაბადებულმა და აშშ-ს სომხური დიასპორის წარმომადგენელმა სომხეთში პოპულარობა მოიპოვა. „რეგნუმი“ ოვანესიანის პოლიტიკით დაინტერესდა. „პირველი“ ინტერვიუდან ამონარიდებს გთავაზობთ:

— ხშირად საუბრობთ ჯავახეთისა და იქ მცხოვრები სომხების შესახებ. როგორი იქნება თქვენი პოზიცია ამ საკითხთან დაკავშირებით საპრეზიდენტო არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში?

— ჯავახკი საქართველოს ადმინისტრაციული ტერიტორია უნდა იყოს, მაგრამ — სომხური კულტურულ-ეროვნული თვალსაზრისით, რომელიც სომხეთსა და საქართველოს კი არ გაყოფს, არამედ, პირიქით, გააერთიანებს. ჩვენი თანამემამულეები ჯავახეთში საკუთარ სამშობლოში იმყოფებიან და მათი უფლება ენის, კულტურის, რელიგიის, იდენტურობის თვალსაზრისით, ევროპული კონვენციების ფარგლებში, უზრუნველყოფილი უნდა იყოს. ჩვენმა მეზობელმა სახელმწიფომ ჯავახეთი არა საფრთხედ, არამედ, ორი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების ფაქტორად უნდა განიხილოს.

— ანუ ჯავახეთს საქართველოს შემადგენლობაში ავტონომიურ რეგიონად ხედავთ?

— ჯავახკმა თავად უნდა გადაწყვიტოს, იყოს თუ არა ავტონომია.

— ეს სადღეგრძელოსავით ჟღერს.

— ეს არა სადღეგრძელო, არამედ აუცილებლობა, გამოწვევაა. ვთავაზობ, ახალმა სომხეთმა და საქართველომ, თუ ისინი გამოჩნდებიან, არა ერთმანეთს შორის განსხვავებებს უყურონ, არამედ — საერთო ინტერესებს. ამ ინტერესებიდან ერთ-ერთი იმაში მდგომარეობს, რომ საქართველოში არსებობს სომხურ-მოსახლეობიანი ჯავახკი — სამშობლო, სადაც არის ეკლესიები, სკოლები, ენა, მოსახლეობა და აუცილებელია, სტატუსთან ერთად, მიეცეთ მათ შესაძლებლობა, საქართველოს მოქალაქეები, ძლიერი სომხები გახდნენ. ეს კომპლექსები ჯავახკის ნაწილში უნდა დაიძლიოს. არავის უნდა რცხვენოდეს იმ ფაქტისა, რომ ჯავახკი სომხური იდენტობის კერაა. საქართველომ თავად უნდა მიმართოს ძალისხმევა იმისკენ, რომ ჯავახკი სიამაყის, ერთობისა და საერთო უსაფრთხოების კერად იქცეს. ეს არის ჩვენი ამოცანა და თუ ვინმეს დღეს აქტუალურად არ ეჩვენება, 10-20 წლის შემდეგ, ის თავს კვლავ შეგვახსენებს. ზოგადად, საქმე მარტო ჯავახკში არ არის, ჩვენ გვყავს თანამემამულეები თბილისში, ქუთაისსა და სხვა ადგილებში. აუცილებელია, ჩვენი თანამემამულეების უფლებები, რომლებმაც თავის დროზე, თბილისის მერი აირჩიეს, დაცული იყოს საქართველოს კონსტიტუციისა და ევროპული კონვენციების შესაბამისად, რომლებზეც ამ ქვეყნის ხელისუფლებას ხელი აქვს მოწერილი.

ეს არის ეროვნული ინტერესი... როდესაც სომხეთში დომინანტი სწორედ ეროვნული ინტერესები იქნება, მაშინ ჩვენ გაგვიჩნდება შესაძლებლობა, თუნდაც პატარა ქვეყანას, მოვახდინოთ დივერსიფიკაცია და მრავალფეროვნება ჩვენი ეკონომიკისა, საგარეო და საშინაო პოლიტიკისა, რაც ჩემი აზრით, აუცილებელია. უკვე აღვნიშნე, რომ სომხეთის ეროვნული უსაფრთხოება დაფუძნებული უნდა იყოს ორმხრივ ურთიერთობებზე და არა — ამა თუ იმ ორგანიზაციის ფორმალურ წევრობაზე. არ ვფიქრობ, ეს ფორმალური წევრობა ქვეყნის უსაფრთხოების დონეს საგრძნობლად აამაღლებს. ამასთან, ჩემი აზრით, სომხეთი, როგორც დასავლური ცივილიზაციის ერთ-ერთი წყარო, ბოლოს და ბოლოს, უნდა გახდეს ევროკავშირის წევრი, რა თქმა უნდა, ევროკავშირი პატივს სცემს სომხეთს, სომხურ იდენტობასა და ჩვენს ეროვნულ ინტერესებს.

„პირველი“

ხობის გამგებელმა და მისმა მოადგილემ გამგეობის ყოფილი თანამშრომელი სცემეს

ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელმა ქართული ოცნებიდან კახა ბენიძემ და მისმა მოადგილემ, ამავე კოალიციის წევრმა მახარე ჩოკორაიამ ხობის კულტურის სახლთან გამგეობის ყოფილი თანამშრომელი სცემეს.

ინფორმაციას ამის შესახებ ინტერნეტპორტალი „სმო.გე“ ავრცელებს და აღნიშნავს, რომ ინციდენტი ხობში 16 თებერვალს, დაახლოებით, საღამოს 9 საათზე მოხდა. დაზარალებულმა, ხობის გამგეობის ყოფილმა თანამშრომელმა ლაშა ფარულავამ მომხდარი ინციდენტის შესახებ პოლიციას მაშინვე შეატყობინა.

ინტერნეტპორტალის ინფორმაციით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელი და მისი მოადგილე იმავე ღამეს დაიბარეს პოლიციაში და დაკითხეს.

„სმო.გე“-სთან საუბარში ლაშა ფარულავა მომხდარ ფაქტს ადასტურებს და ამბობს, რომ ინციდენტი მთლიანად გამგებლისა და მოადგილის მიერ იყო პროვოცირებული. ფარულავას განცხადებით, ის წინა ხელისუფლების დროს გამგეობის სამხედრო განყოფილებაში მუშაობდა, „ქართული ოცნების“ გამგებლად მოსულმა წარმომადგენელმა კახა ბენიძემ კი თანამდებობიდან მხოლოდ იმიტომ გაათავისუფლა, რომ ნაციონალური მოძრაობის წევრი იყო.

„მან მითხრა, რადგან „ნაციონალი“ ვიყავი, სამსახურში ვერ დამტოვებდა, მაგრამ დამპირდა, პროფესიით პედაგოგ ჩემს მეუღლეს დაასაქმებდა, სხვაგვარად ოჯახი შემოსავლის გარეშე რჩებოდა. მითხრა, ეგ საკითხი შემახსენეო და გამგეობაში შესახსენებლად მივედი“, — ამბობს ლაშა ფარულავა.

დაზარალებულის თქმით, გამგეობის შენობაში ასვლის საშუალება დაცვის პოლიციამ არ მისცა, რის შემდეგაც შენობიდან ბენიძის გამოსვლას ახლოს მდებარე კულტურის სახლთან ელოდებოდა. მისი თქმით, 15 წუთში შენობიდან კახა ბენიძე და მახარე ჩოკორაია გამოვიდნენ, მასთან მივიდნენ და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს, შემდეგ კი ფიზიკურად გაუსწორდნენ:

„უმოწყალოდ დამიწყეს ცემა, თანაც, ის ადგილი, სადაც ვიდექი, განათებული არ იყო. როცა ჩემი ცემით გული იჯერეს, გამგეობის შენობაში დაბრუნდნენ“, — უთხრა ლაშა ფარულავამ „სმო.გე“-ს.

მომხდართან დაკავშირებით, ხობის მუნიციპალიტეტის გამგებელთან დაკავშირება „სმო.გე“-მ ვერ მოახერხა, ხოლო გამგებლის მოადგილემ მახარე ჩოკორაიამ ფარულავას ცემის ფაქტი უარყო. მან ჯერ განაცხადა, რომ ფარულავა საერთოდ არ უნახავს, მერე კი ჟურნალისტს უთხრა:

„ფარულავა დღეს ნასვამი იყო. ხვალ, როცა გამოფხიზლდება, დაურეკეთ და ამბავს სულ სხვანაირად მოგიყვებათ“.

„ნიუპოსტი“

გლდანის ციხის ამშენებელი თურქი ბიზნესმენი პოლიტპატიმრის სტატუსს ითხოვს

ირუსუდან შელია
პოლიტიკა

წარმოშობით ქართველი ბიზნესმენი ორჰან აქსუ, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ქიბარ ხალვაშის მიერ ნახევრად აშენებული გლდანის ციხის დასრულება დაევალა, თავისივე აშენებულ საპყრობილეში 12-წლიან სასჯელს იხდის. არადა, ნაციონალური მოძრაობის მმართველობის პერიოდში, მას იუსტიციის სახლისა და ლაითურის ციხის აშენების პატივიც ერგო. თურქი ბიზნესმენისა და „ნაციონალთა“ გზები, როგორც ამბობენ, მას შემდეგ გაიყარა, რაც აქსუმ პარტიისთვის 20-მილიონიანი „შესაწირის“ გადახდაზე უარი განაცხადა... „ვერსიის“ კითხვებს ორჰან აქსუს მეუღლე, სოფო ჭუმბურიძე პასუხობს, რომელმაც ბიძინა ივანიშვილს მიმართვა გაუგზავნა.

— როგორც კი შევიტყვე, ბიძინა ივანიშვილი თურქეთში ჩასვლასა და თურქ მაღალჩინოსნებთან შეხვედრას გეგმავდა, სტამბოლში ჩავედი. ჩემი მიზანი იყო, ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებს შევხვედროდი და ჩემი მეუღლის უკანონო დაკავების შესახებ მეცნობებინა. ასევე, შევეცადე, ერდოღანისა და ბიძინა ივანიშვილის შეხვედრაზე ჩემი მეუღლის საკითხიც გადაწყვეტილიყო და გამერკვია, ისევ ზეწოლის ქვეშ იქნებოდა თუ, ამჯერად, სამართალი იზეიმებდა.

— ამ შეხვედრაზე რა გადაწყდა. თურქეთში პრემიერ-მინისტრის ვიზიტის შემდეგ, თეა წულუკიანმა განაცხადა, რომ სურვილის შემთხვევაში, ქართულ ციხეებში მყოფი თურქი პატიმრების თურქეთში ექსტრადიცია მოხდება. ორჰან აქსუ ექსტრადიციას მოითხოვს?

— კონკრეტულად ვერ გეტყვით, შეხვედრაზე რა გადაწყდა, თუმცა ჩემი მთავარი მიღწევა ისაა, რომ ბიძინა ივანიშვილის პოზიცია საჯაროდ მოვისმინე. ჟურნალისტის კითხვაზე, რას ფიქრობს თურქი ბიზნესმენის დაკავებაზე, მან უპასუხა, რომ ბიზნესმენებზე ზეწოლის ფაქტები წინა ხელისუფლებისგან მემკვიდრეობით ერგო, მათ შორის, ორჰან აქსუს საქმეც. ეს ჩემთვის ბევრს ნიშნავს, რადგან წინა ხელისუფლების პირობებში, არაერთი მიმართვის მიუხედავად, პასუხის ღირსიც ვერ გავხდი. სხვათა შორის, უახლოეს მომავალში ვგეგმავ, ბიძინა ივანიშვილს მადლობა პირადად გადავუხადო! რაც შეეხება თეა წულუკიანის განცხადებას, ჩემი მეუღლე, ამ ეტაპზე, თურქეთში ექსტრადიციას არ ითხოვს.

— თქვენ მეუღლეს ამნისტია შეეხო და სასჯელი 2 წლითა და 3 თვით შეუმსუბუქდა...

— ამ ეტაპზე, ჩვენი მიზანი პოლიტპატიმრების ახალ სიაში შესვლაა, რისთვისაც პარლამენტს შესაბამისი დოკუმენტაცია უკვე გადავუგზავნე. ჩემ მეუღლეს ორმაგი მოქალაქეობა აქვს, თანაც წარმოშობით, გურული გოგიტიძეა, რომლის წინაპრებიც თურქეთში საცხოვრებლად 130 წლის წინ გადავიდნენ, ამიტომ ვფიქრობ, ახალ სიაში შესვლა, წესით, არ უნდა გართულდეს. ჩემი მეუღლე ხშირად ამბობდა, თურქეთში ქართველს მეძახდნენ, საქართველოში კი, თურქს მეძახიანო, რაც ძალიან სწყინდა. მას საქართველო ძალიან უყვარს... სხვათა შორის, თურქულმა მხარემ, დაკავებიდან მალევე, ორჰან აქსუს ექსტრადიცია რამდენჯერმე მოითხოვა, მაგრამ მაშინდელი ხელისუფლება კატეგორიულ უარზე იყო. გვიმტკიცებდნენ, რომ ორმაგი მოქალაქის ექსტრადიციის მოთხოვნაზე თანხმობის გაცემა კანონის დარღვევა იქნებოდა. ამის შემდეგ, ორჰანი იძულებული გახდა, საქართველოს მოქალაქეობაზე უარი სამჯერ ეთქვა, თუმცა არც ეს მოთხოვნა დაკმაყოფილდა, თანაც სწორედ ამ პერიოდში შევიდა ძალაში კანონი, რომლის თანახმადაც, ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირს, საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმის უფლება აეკრძალა. აი, სწორედ ასეთ დემოკრატიას გვთავაზობდნენ ყოფილი მაღალჩინოსნები. აღსანიშნავია, რომ ხელისუფლების შეცვლის შემდეგ, ეკა ბესელია და არჩილ კბილაშვილი მალევე გამომეხმაურნენ და საქმის სამართლებრივად გამოძიების პირობაც მომცეს. იმედი მაქვს, ჩემი მეუღლე პოლიტპატიმრების სიაში მოხვდება ან, მინიმუმ, უკანონო პატიმრის სტატუსს მიიღებს.

— ორჰან აქსუს ზურა ადეიშვილის პირად პატიმარსაც უწოდებენ. რეალურად, რა მოხდა სამი წლის წინ და ერთ დროს ხელისუფლების ფავორიტი ბიზნესმენი რატომ გახდა იმჟამინდელი მმართველი გუნდისთვის მიუღებელი?

— დიახ, ჩემ მეუღლეს საკმაოდ კარგი ურთიერთობა ჰქონდა მაშინდელ მაღალჩინოსნებთან — მოგეხსენებათ, გლდანის მერვე საპყრობილეს მშენებლობის შემდეგ, იუსტიციის სახლის პროექტიც ჩააბარეს, თუმცა გლდანის საპყრობილეს მშენებლობისას დაგროვილი ვალი, ოთხ მილიონ ლარზე მეტი, სახელმწიფომ არ გადაუხადა. საპყრობილეს აშენებიდან, დაახლოებით, წელიწადნახევარში ორჰანმა ვალის გადახდა მოითხოვა, რის გამოც, ბაჩო ახალაიამ კაბინეტში დაიბარა. როგორც ჩემმა მეუღლემ მითხრა, ახალაია მას მაგიდაზე ფეხებშემოწყობილი, ცეცხლსაროლი იარაღის ტრიალით დახვდა და ორჰანს ცინიკურად მიმართა: „ბიჭო, რა ფულს ითხოვ, ხომ არ გინდა, რამე პრობლემები შეგექმნას?!“ არაერთი მუქარის მიუხედავად, ორჰანი არ ნებდებოდა და საკუთარ ფულს ითხოვდა, თუმცა ვალის დაბრუნების ნაცვლად, ახალაიასთან შეხვედრიდან, დაახლოებით, ერთ კვირაში მის სამშენებლო კომპანიაში ფინანსური პოლიცია შევიდა და მილიონნახევარი ლარით დააჯარიმა.

პარადოქსული იყო მისი დაკავების ოპერაციაც: ორჰანი იუსტიციის სახლის მშენებლობის დეტალებს ყოველდღე ზურა ადეიშვილს ან მის მოადგილეს აცნობდა. ერთ დღესაც, ჩვეულებისამებრ, იუსტიციის მინისტრისთვის განრიგის გაცნობის შემდეგ, სახლში დაბრუნდა. დაახლოებით, ერთ საათში სახლში შავებში ჩაცმული ადამიანები „მესტუმრნენ“ და ჩემი მეუღლის ფოტორობოტი მაჩვენეს — ამ კაცს იცნობო?! ეს იყო ცინიზმის პიკი, იარაღი მიუშვირეს ჩემ ძაღლს, რომელიც არ ვიცი, რაში უშლიდა ხელს და ორჰანი მოდულის შენობაში გადაიყვანეს. ისე დადგეს ყველაფერი, თითქოს ერთი საათის წინ ზურა ადეიშვილის კაბინეტში არც მჯდარიყო.

— ცნობილია, რომ თქვენი მეუღლე გლდანის ციხეში ძალადობის მსხვერპლიც გახდა...

— დაკავებიდან ორი დღის განმავლობაში, „მოდულის“ შენობაში ჰყავდათ, საიდანაც მისივე აშენებულ გლდანის მერვე საპყრობილეში გადაიყვანეს, სადაც არაადამიანური ძალადობის მსხვერპლი აღმოჩნდა. ჩემმა მეუღლემ წერილი გამოაქვეყნა, სადაც წერს, რომ კარანტინში ექვსადგილიან საკანში შეაგდეს, სადაც 40 ადამიანი იმყოფებოდა და პატიმრებს შემდეგი სიტყვებით წარუდგინეს, გაიცანით, ეს მერვე საპყრობილეს ციხის ამშენებელიაო. ამის შემდეგ გადაიყვანეს საკანში, სადაც ქურდული მენტალიტეტის პატიმრები ისხდნენ. აქედან გამომდინარე, საზოგადოებამ განსაჯოს, რა სახის ფსიქოლოგიური და ფიზიკური ზეწოლის ქვეშ იქნებოდა. მას ლოცვის საშუალებასაც არ აძლევდნენ, ერთ-ერთი შემოწმებისას, ოფიცერმა ყურანი შეურაცხყო და ორჰანის გასაგონად წმინდა მუჰამედიც აუგად მოიხსენია. ძალიან ბევრი ვიბრძოლე, რომ ციხეში მისთვის თიაქრის ოპერაცია გაეკეთებინათ, თუმცა მაშინ, ჩვენი ექიმის შეყვანაზე უარი მითხრეს. ამჟამად კი, მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და სამართლიანობის აღდგენას ველოდებით.

ვერსიანიუსი

„ენვერის“ მონაწილეები საქმეზე საიდუმლო გრიფის მოხსნას ითხოვენ

სპეცოპერაცია „ენვერის“ შედეგად დაკავებული პირები, რომელთაც პარლამენტმა პოლიტპატიმრის სტატუსი მიანიჭა და ამნისტიით გათავისუფლდნენ, ხელისუფლებისგან საქმეზე გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნასა და ხელახალ შესწავლას მოითხოვენ.

ისინი მიიჩნევენ, რომ მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი სრული რეაბილიტაცია, რადგან დღემდე მათ ბევრი ისევ ჯაშუშებად მოიხსენიებს.

პოლიტპატიმრის სტატუსით გათავისუფლებულები იმ სამართალდამცველების პასუხისმგებლობის საკითხის დასმასაც მოითხოვენ, ვინც საქმის გამოძიებაში მონაწილეობდა.

სპეცოპერაციის შედეგად დაკავებულები აცხადებენ, რომ საქმეზე გრიფი „საიდუმლოს“ მოხსნის შემდეგ, საზოგადოებისთვის ცნობილი გახდება, რომ მათი დაკავება გამოგონილი ბრალდებებით მოხდა და, სინამდვილეში, ამ ყველაფერს სარჩულად ბიზნეს და პოლიტიკური ინტერესები ედო.

„ჯი-ეიჩ-ენი“

ლუკაშენკო სააკაშვილს თავშესაფარს მისცემს

საჭიროების შემთხვევაში, ლუკაშენკო მზად იქნება, საკაშვილს თავშესაფარი მისცეს. ამის შესახებ „რეგნუმთან“ საუბრისას, რუსეთის სტრატეგიული კვლევების ინსტიტუტის ექსპერტმა, სვეტლანა ტიხონოვამ განაცხადა.

მისი თქმით, სააკაშვილი და ლუკაშენკო დიდი ხნის მეგობრები არიან.

„ის, რომ ლუკაშენკო ამჟამად, მხარს უჭერს სააკაშვილს, ეს ბელორუსის პრეზიდენტის პოლიტიკური სტილია“, — განაცხადა ექსპერტმა.

ტიხონოვამ, ასევე, აღნიშნა, რომ ამჟამად სწორედ ბელორუსს აფარებს თავს დევნილობაში მყოფი ყირგიზეთის პრეზიდენტი ყურმანბეკ ბაკიევი.

მინსკისა და თბილისის ურთიერთობების კომენტირებისას ტიხონოვამ აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაში უმნიშვნელოვანესია ბელორუსის ამჟამინდელი სტატუსი- დსთ-ს თავმჯდომარეობა.

„ლუკაშენკო აცხადებდა, რომ მისი უმთავრესი მისია იქნება საქართველოს დსთ-ში დაბრუნება თუ არა, უკიდურეს შემთხვევაში, თანამეგობრობის პროექტებში ჩართვა. ეს რამდენად რეალური და განხორციელებადია, ამაზე საუბარი ძნელია, თუმცა მთავარი განცხადებაა“, — აღნიშნა ტიხონოვამ.

„ჯი-ეიჩ-ენი“

თბილისის ბაზრებსა და სუპერმარკეტებში, საქონლის ნაცვლად, ვირის ხორცი იყიდება?!

მერაბ ბერიძე

საქართველოში მომხმარებლის უფლებები კვლავ დაუცველია. სურსათის ეროვნულმა სააგენტომ კასპის ნაგავსაყრელზე 5 ტონა ცხენის ხორცი გაანადგურა. როგორც სააგენტოში განაცხადეს, შსს-ს კასპის რაიონული სამმართველოდან ცხენის ხორცის დიდი პარტიის აღმოჩენის შესახებ ოპერატიული შეტყობინება 8 თებერვალს მიიღეს.

„ჩვენმა სპეციალისტებმა ადგილზე დაათვალიერეს კასპში მცხოვრები ერთ-ერთი მოქალაქის კერძო სახლში, ანტისანიტარიულ პირობებში განთავსებული დიდი რაოდენობით ცხენის ხორცი, რომელიც საქართველოს დიდ ქალაქებში სარეალიზაციოდ იყო გამზადებული. ნედლეულის ნიმუშის ლაბორატორიულმა კვლევამ აჩვენა, რომ აღნიშნული პარტია მხოლოდ გახრწნილი კი არა, სალმონელოზითა და კოლიფორმული ბაქტერიებით იყო დასნებოვნებული. ასევე, ცნობილია, რომ ცხოველები სასაკლაოს გვერდის ავლით, გაურკვეველ პირობებშია დაკლული. ცხენის ხორცის პარტიას არ ახლდა დოკუმენტაცია“, — ამბობენ სურსათის ეროვნულ სააგენტოში და დასძენენ, — **„გამოძიებამ დაადგინა, რომ ცხენები მოპარული იყო“.**

ცხენის ხორცისა და დაავადებული კარტოფილის აღმოჩენის შემდეგ, სავაჭრო ობიექტების მონიტორინგი გრძელდება. როგორც სურსათის ეროვნული სააგენტოს წარმომადგენელი გიგა ქურდოვანიძე ამბობს, სავაჭრო ობიექტების მონიტორინგი პერმანენტულად ხორციელდება, რათა არ მოხდეს დაავადებული პროდუქციის რეალიზაცია: **„მონიტორინგი გრძელდება და მას პერმანენტული სახე აქვს. მონიტორინგი წარმოებს, როგორც ბაზრებში, ასევე, სასურსათო მაღაზიებსა და ყველა იმ ადგილებში, სადაც სასურსათო პროდუქციით ვაჭრობა მიმდინარეობს“.**

ქურდოვანიძის განმარტებითვე, საქართველოში ცხენის ხორცით ვაჭრობა აკრძალული არაა, უბრალოდ, აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია მომხმარებელს უნდა მიეწოდოს და, ასევე, ცხენი სპეციალიზებულ სასაკლაოზე უნდა დაიკლას:

„ცხენს აქვს ისეთი დაავადებები, რომლებიც ადამიანზე გადადის და საშიშია. საქართველოში ცხენს არავინ კლავს, თუ ჯაგლაგი, ავადმყოფი, დამხრჩვალი ან მოპარული არაა... სამწუხაროდ, ცხენისა და ძროხის ხორცის გარჩევა ვეტერინარებსაც უჭირთ, თუ ძვალი არ ნახეს“.

გიგა ქურდოვანიძის თქმით, ფაქტის დაფიქსირების შემთხვევაში, ჯარიმა 300-დან 1000 ლარამდე მერყეობს.

სოფლის მეურნეობის მინისტრის, დავით კირვალიძის განცხადებით, **„სურსათის უვნებლობის სააგენტოს აღრიცხული აქვს, რომ ბაზარში საქონლის ხორცის ნაცვლად, ვირისა და ცხენის ხორცი შედიოდა... გასაგებია, რომ კონტროლის გამკაცრება ყველასთვის სასურველი შეიძლება არ იყოს, მაგრამ ეს საზოგადოების არჩევანია“.**

შეგახსენებთ, რომ სურსათის ეროვნულმა სააგენტომ არაგეგმური ინსპექტირების შედეგად, ქართულ ბაზარზე ცხენის ხორცი გასულ ზაფხულსაც აღმოაჩინა. ამოღებული იქნა ამავე ხორცისგან დამზადებული სხვადასხვა ფარშირებული ნახევარფაბრიკატი, მათ შორის, ხინკალი და პელმენი. ადამიანის ჯანმრთელობისათვის საზიანო პროდუქციას ინდმეწარმე „გიორგი ოგანესიანი“ ამზადებდა. კუსტარული საწარმო ისანი-სამგორის რაიონში, ყარყარაშვილის ქუჩის სამ ნომერში, კერძო სახლის სარდაფში მდებარეობდა.

ასევე, ყვარლის რაიონში, ცხენების ქურდობის ფაქტზე გამოძიების პროცესში გამოიკვეთა, რომ თბილისში არსებობდა ცხენის ხორცის მიმღები პუნქტი, სადაც უკანონო მეწარმეობას ეწეოდა ელგუჯა ჯავახიშვილი. პროკურატურის ინფორმაციით, ის სამართალდამცავებმა იმ დროს დაიკავეს, როცა საკუთარ ობიექტში ხორცის ახალი პარტია მიიღო, რომელსაც თბილისის რამდენიმე სასურსათო მაღაზიასა და კვების ობიექტშიც ასაღებდა.

აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა განვითარებულ ევროპასაც აწუხებს — ბოლო ხანს, ბებერი კონტინენტის 13 ქვეყანაში საქონლის ხორცად 750 ტონა ცხენის გაყინული ხორცი გასაღდა. ამის შესახებ „ასოშიეიითედ პრესი“ იუწყება. საფრანგეთში ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ ფრანგული ხორცით მოვაჭრე უმსხვილესი კომპანია „სპანგერო“, ბოლო ექვსი თვის განმავლობაში, რუმინეთისგან, საქონლის ხორცთან ერთად, ცხენის ხორცსაც ყიდულობდა და მის რეალიზაციას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში, საქონლის ხორცის „სტატუსით“ ახდენდა.

ამ თემაზე გამოძიება ჰოლანდიაშიც ჩატარდა და დანაშაულში კომპანია „დრაფი“ ამხილეს, თუმცა ეს უკანასკნელი ბრალდებას უარყოფს.

მედიკოსთა განცხადებით, ცხენის ხორცი საჭმელად ვარგისია, თუმცა ცხენს შეიძლება, ფენილბუტაზონი – ადამიანის ჯანმრთელობისთვის სახიფათო პრეპარატი ჰქონდეს გაკეთებული. რეკომენდებულია, ცხენის ხორცი პრეპარატ ფენილბუტაზონის შემცველობაზეც შემოწმდეს.

„ხორცის სკანდალი“ ევროპაში მას შემდეგ აგორდა, რაც ცოტა ხნის წინ ინგლისისა და ირლანდიის სუპერმარკეტების დახლებზე ცხენის ხორცი აღმოაჩინეს. მსგავსი შემთხვევები დაფიქსირდა გერმანიაში, ესპანეთში, კვიპროსში, ლუქსემბურგში, რუმინეთში, საფრანგეთსა და შვედეთშიც. ამ ეტაპზე, საქმეზე გამოძიებას ევროპული კომისია აწარმოებს.

ევროპას თავი დავანებოთ და ჩვენს გასაჭირს მივხედოთ. საკითხი სოციალურ ქსელშიც დიდ ინტერესს იწვევს. გთავაზობთ საინტერესო ამონარიდებს:

„სტუმარი იყო გერმანიიდან ჩამოსული და როცა დაბრუნდა, ასე დაახასიათა საქართველო: უბრალოდ, ვერ გავიგე, რატომ არის ხალხის უმეტესობა ასეთ მუქი ფერის ტანსაცმელში და, ასევე, საჭმელი, რომელიც მაღაზიასა და ქუჩებში იყიდება, რატომ არ არის შეფუთულიო“.

„ამ პროდუქციას სახელმწიფო არ ქმნის. ადამიანის შეგნებაზეა დამოკიდებული. სხვას რომ წამლავს, არ აინტერესებს, თვითონ კი, ადგება და იმ ფულით „გუდვილში“ იყიდის, მერე რომ არ მოიწამლოს...“

„უბრალოდ, ჯარიმა კი არა, ციხე უნდა იყოს ამ დარღვევებზე. ბავშვმა რომ ჭამოს, უფრო სუსტია და შეიძლება, ფატალურად დასრულდეს ყველაფერი“.

„ერთი მოვაჭრე ყიდდა შინაურ ქათამს. საყიდლად რომ მივედით, ამ ტექსტით დაგვხვდა: ჩემი ქათმები ცუდად იყვნენ, მეხოცებოდნენ და ახლა კარგად არიან, რაღა გამაყიდვინებსო“.

„აქ ელემენტარულ შეგნებაზეა ლაპარაკი. ცოტა უფრო მკაცრი რომ იყოს კანონი, აღარ იქნებოდა ამდენი მოწამლული ხალხი და ენტეროშეტევები, ყოველ ზაფხულს სავსე რომ არის იაშვილის კლინიკა და ბევრი სხვა სამკურნალო დაწესებულება“.

„რა იყო, რა გადაირიეთ! რა მნიშვნელობა აქვს, ცხენი იქნება თუ ვირი. ძაან არ გაიგოთ, „სასისკში“ ან ხინკალში ცხენია თუ ძროხა“.

„ცხენისა და აქლემის ხორცი ისეთივე ვარგისი პროდუქტია, როგორც — ძროხის, ან ღორის. უბრალოდ, ჩვენთან არაა მიღებული ამის ჭამა. ხოლო, გაფუჭებული და ვადაგასული, გინდა, ხორცი გიჭამია და გინდა — რახათ-ლუქუმი.“

„თვითონ მეწარმე უნდა იყოს კეთილსინდისიერი და სხვის ავადმყოფობისა და მოწამვლის ხარჯზე არ უნდოდეს „გამდიდრება“... ყველას უჭირს, მაგრამ ასე არ უნდა დაეცეს მორალურად.“

„ცხენის ხორცი გემრიელია, სუფთაა და ბევრად სჯობია საქონელსა და ღორს. უმაღლესი კლასის სარდელი და ძეხვი ცხენის ხორცისგან კეთდებოდა ოდითგანვე. ხოლო მკვდარს, ცხენებსაც იბარებენ, ღორებსაც და ყველაფერსაც. ეს ნამდვილად პრობლემაა“.

„იმედია, მდგომარეობა გამოსწორდება. მთავარია, გაუმჯობესდეს ხალხის ფინანსური მდგომარეობა, არ იყოს უმუშევრობისა და უხელფასობის ასეთი მაღალი მაჩვენებელი. ასევე, საჭიროა საკვების მკაცრი კონტროლი“.

ევროკავშირში „ხორცის სკანდალზე“ რომ განგაშის ზარები შემოჰკრეს, გასაკვირი არაა, მაგრამ კანონმა მომხმარებლის უფლებები საქართველოშიც უმკაცრესად უნდა დაიცვას. ბოლო საკონტროლო ნაბიჯები მისასალმებელია და ეს პოლიტიკა უნდა გაგრძელდეს.

ირაკლი ალასანია თურქეთის გენშტაბის უფროსს შეხვდა

საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია თურქეთში ვიზიტისას, ანკარაში, თურქეთის გენერალური შტაბის უფროსს, არმიის გენერალ ნეჯდეთ ოზელს შეხვდა.

თავდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, განხილვის მთავარი თემა სამხედრო-ტექნიკური საკითხები და სამხედრო სტრატეგიული თანამშრომლობა იყო. საუბარი, ასევე, შეეხო მომავალ ურთიერთთანამშრომლობასა და ერთობლივი წვრთნების ჩატარებას. ამასთან, ქართული დელეგაცია თავდაცვის ინდუსტრიის წარმომადგენლებს შეხვდა.

„განვიხილეთ მომავალი თანამშრომლობის შესაძლებლობები. სასიამოვნოდ განცვიფრებული დავრჩი, რა მიღწევებია სამხედრო ინდუსტრიაში. კმაყოფილი ვარ, რადგან თანამშრომლობის კონკრეტულ მიმართულებებზეც ვისაუბრეთ“, — განაცხადა შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

ვიზიტის ფარგლებში, ირაკლი ალასანია და დელეგაციის წევრები თურქეთის პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის ხელმძღვანელობასაც შეხვდნენ.

სამხედრო თანამშრომლობასთან ერთად, განხილვის თემა ორ ქვეყანას შორის სტრატეგიული პარტნიორობა იყო. მხარეებმა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების მისწრაფებასა და ამ მიმართულებით, თურქეთის მყარი მხარდაჭერის შესახებ ისაუბრეს.

„ბრიუსელში, მინისტრების დონის შეხვედრაზე, ვფიქრობთ, ვისაუბროთ ნატო-სთვის ტრანზიტული ტვირთების გატარებაზე, საქართველოსა და რეგიონის სტრატეგიული ინფრასტრუქტურის გამოყენების თაობაზე. დღეს იყო ძალიან კარგი შეხვედრა, შესაბამისი გაგრძელება პრემიერ-მინისტრის წარმატებული ვიზიტისა. ვფიქრობ, თურქეთ-საქართველოს ურთიერთობების გაღრმავებას ძალიან დიდი პოტენციალი აქვს“, — განაცხადა საქართველოს თავდაცვის მინისტრმა.

ქართული დელეგაციის ვიზიტი თურქეთის რესპუბლიკაში 14 თებერვალს დაიწყო და საქართველოს თავდაცვის მინისტრი ირაკლი ალასანია საქართველოს პრემიერ-მინისტრთან ბიძინა ივანიშვილსა და მთავრობის სხვა წევრებთან ერთად, თურქეთის პრემიერ-მინისტრთან, პრეზიდენტთან, ასევე, მილი მეჯლისის თავმჯდომარესთან გამართულ შეხვედრასაც დაესწრო.

„ჯი-ეიჩ-ენი“

პაკისტანში ტერაქტს 81 ადამიანი ემსხვერპლა

პაკისტანის პროვინცია ბელუჯისტანის ქალაქ კვეტას ბაზრობაზე მომხდარ აფეთქებას 81 ადამიანი ემსხვერპლა. უცხოური მედიის ინფორმაციით, დაშავებულთა რიცხვი 164-ს შეადგენს. აფეთქებას ტერაქტის კვალიფიკაცია მიეცა. ადგილობრივი პოლიციის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ტერაქტი ქალაქში მცხოვრები შიიტების წინააღმდეგ იყო მიმართული.

სამართალდამცავებისვე ინფორმაციით, ნაღმი წყლით სავსე ცისტერნაში იყო დამონტაჟებული.

ძლიერი აფეთქების შედეგად, დაინგრა ბაზრობის სიახლოვეს მდებარე მაღაზიები და შენობები.

„ინტერპრესნიუსი“

ვერსიანიუსი

გიგი უგულავამ გამომძიებლებს კურიოზები მოუყვა

სამსაათიანი დაკითხვიდან გამოსულმა თბილისის მერმა გიგი უგულავამ განაცხადა, რომ სამართალდამცავებთან ბევრ რამეზე ილაპარაკა, მათ შორის, კურიოზზე.

უგულავას თქმით, სამართალდამცავებს არ აქვთ პასუხი კითხვაზე, რატომ არ მივიდა ერთი პოლიციელი მაინც სამების ეკლესიის წინ, მოედანზე და იქ მყოფი პირები არ გააფრთხილა, რომ არსებობდა ალტერნატიული შესასვლელი.

გიგი უგულავა ამას შეცდომად მიიჩნევს და აცხადებს, რომ მისთვის საინტერესოა, რატომ არ იყო გაკეთებული კორდონი სამების ეკლესიისა და ფურცელაძის ქუჩის მხარეს, თუ იქ არსებობდა ალტერნატიული შესასვლელი და რატომ არ მოხდა პოლიციის მხრიდან უშუალო შეხების წერტილში კორდონის გაკეთება იმისთვის, რომ მოძალადე მხარე არ მისულიყო მათთან და არ მომხდარიყო დარბევა.

„ამ კითხვებზე, სამწუხაროდ, პასუხი არ არის. მეეჭვება, რომ პოლიციის რომელიმე მაღალჩინოსანი და მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი დაიკითხოს. დანარჩენი, ვიყავით იმ დეტალების აღწერით დაკავებული, რომელიც საზოგადოებამ იცის, არაერთი რაკურსით იყო გადაღებული და აქ გასარკვევი ბევრიც არაფერია“, — განაცხადა უგულავამ და გამოთქვა მზადყოფნა, რომ დაკითხვაზე კიდევ ერთხელ დაბარების შემთხვევაში, გამოძიების ყველა შეკითხვას უპასუხებს.

სამართალდამცავებმა უგულავა 8 თებერვალს, საჯარო ბიბლიოთეკასთან მომხდარი ინციდენტის გამო დაკითხეს. დაკითხვიდან გამოსულმა უგულავამ განმარტა.

„ჩემი ხელის ჟესტიკულაციები მიმართული იყო ჩემი თანმხლები პირების მიმართ, ერთად გვევლო, რათა თავიდან აგვეცილებინა ზედმეტი თავდასხმა. სიტყვა „შოუ“ ვიხმარე კონკრეტულ კონტექსტში და ბატონი ღარიბაშვილი ამით იაფფასიან მანიპულირებას ცდილობდა. მე კონკრეტული პირის მიმართ, რომელიც უშვერად ილანძღებოდა, ვთქვი: თუ შოუ გინდათ, აი, თქვენი შოუ“.

„მედიანიუსი“

თბილისში, უწმინდესის ლოცვა-კურთხევით, ილორის ტაძრის ანალოგი შენდება

დათანხმდება თუ არა აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლება ილორის, მოქვისა და ბედიის ტაძრების რეკონსტრუქციაში ქართული მხარის ჩართვას და რატომ ცდილობს კრემლი ქართული ძეგლების დამახინჯებას

ნათია ვასაძე

რამდენიმე დღის წინ, აფხაზეთის დე ფაქტო პრეზიდენტმა, ალექსანდრე ანქვაბმა აფხაზეთში მდებარე ტაძრების — ილორის, მოქვისა და ბედიის რეკონსტრუქციის განკარგულება გასცა. ამ საკითხზე სეპარატისტები უშიშროების საბჭოს მოწვევასაც გეგმავენ. საქართველოს კულტურის სამინისტრო აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების გადაწყვეტილებას ზემოაღნიშნული ძეგლების მძიმე მდგომარეობით ხსნის და მათი რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეობის სურვილს გამოთქვამს. ამასთან, ქართული მხარე საქმეში „იუნესკოს“ ჩართვასაც აპირებს, რაც ერთადერთი ბერკეტია საიმისოდ, რომ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მდებარე ძეგლების რეაბილიტაციაში მონაწილეობა მოვახერხოთ.

აფხაზეთში მდებარე ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლები მნიშვნელოვნადაა დაზიანებული — მძიმე მდგომარეობაშია ბედიისა და მოქვის ტაძრები, ილორის ტაძარი კი არასათანადოდაა რესტავრირებული. ამ ძეგლებზე არსებულ ქართულ კვალს მიზანმიმართულად შლიდნენ — ბედიის სამონასტრო კომპლექსის მთავარ ტაძარში განხორციელებულმა რესტავრაციამ ბაგრატ მესამის ფრესკის დაზიანება გამოიწვია, ილორის წმინდა გიორგის ტაძარს ძველი გუმბათი რუსული, ე.წ. ხახვის ფორმის გუმბათით შეუცვალეს, თან გარედანაც და შიგნიდანაც თეთრად გადაღებეს, რასაც უძველესი ქართული წარწერები და ფრესკები შეეწირა...

დე ფაქტო ტერიტორიაზე გაურკვეველი „რესტავრატორების“ საქმიანობა ქართულმა მხარემ არაერთხელ გააპროტესტა და საკითხის შესასწავლად შესაბამის საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მიმართა, თუმცა ამ პრობლემის მოგვარებას შეუძლებელს ოკუპანტი ქვეყნის ინტერესები ხდის — ამ ძეგლების ისტორიის დამახინჯება კრემლის ძალისხმევით ხდება. ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე აცხადებს, რომ ე.წ. რესტავრაციასთან დაკავშირებული პირველი ხმაური სწორედ აფხაზმა მეცნიერებმა ატეხეს:

„ტაძრების არასათანადო რესტავრაციის გამო, პირველად, აფხაზი ხელოვნებათმცოდნეებისა და არქიტექტორებისგან შემდგარმა ჯგუფმა ატეხა განგაში. საქმეში ქართველი მეცნიერები მოგვიანებით ჩაერთნენ და დახმარებისთვის „იუნესკოს“ მიმართეს. მაშინ ვერ გადაწყდა, რომელი მხრიდან შევიდოდნენ „იუნესკოს“ ექსპერტები აფხაზეთის ტერიტორიაზე, ეჭვქვეშ იდგა მათი უსაფრთხო გადაადგილების საკითხიც. მერე, ვნებათაღელვა შემცირდა. ახლა კი, პრობლემის მოგვარების შესაძლებლობა გაჩნდა. აღნიშნული ძეგლების რეაბილიტაციის ინიციატივა თავად აფხაზურმა მხარემ გამოთქვა და, როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ ეტაპზე, მიმდინარეობს მხარეთა შორის ფორმატის შეთანხმება, რა ფორმით უნდა მიიღოს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ რეაბილიტაციის პროცესში მონაწილეობა“.

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის, გურამ ოდიშარიას განცხადებით, აფხაზურ მხარესთან მოლაპარაკება, ჯერ-ჯერობით, არ შემდგარა.

გურამ ოდიშარია: „საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა მაქვს აფხაზეთში მცხოვრებ ჩვენს ძმებთან, ძალიან ბევრი ახლობელი და მეგობარი მაკავშირებს საქართველოს ამ ულამაზეს მხარესთან. იქ ადრე ხშირად ჩავდიოდი და ადგილზე ვნახულობდი ჩვენი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს კულტურულ საგანძურს. ბოლო ვიზიტისას განსაკუთრებით შემაშფოთა რუსების მიერ აღდგენილმა ილორის მონასტერმა, რომელსაც სრულიად დაკარგული აქვს პირვანდელი სახე. რაც შეეხება მოქვსა და ბედიას, აქაც კრიტიკულად მძიმე მდგომარეობაა. კარგი იქნება, თუ მოხდება საერთაშორისო საზოგადოების ინფორმირება და უცხოელი ექსპერტების ჩართვა. სწორედ ამიტომ, მზადდება შესაბამისი მიმართვა „იუნესკოსადმი“.

ხელოვნებათმცოდნე ციცინო ჩაჩხუნაშვილი მიიჩნევს, რომ დაპირისპირებულმა მხარეებმა ერთობლივად უნდა გამოძებნონ სამუშაოების სწორად ჩატარების გზები, რადგან ამ უნიკალური არქიტექტურული და კულტურული ძეგლების გადარჩენა მნიშვნელოვანია როგორც ქართული, ისე, აფხაზური მხარისთვის.



ციცინო ჩაჩხუნაშვილი: „მთავარია, სწორად გამხორციელდეს რესტავრაცია და ძეგლებმა არ დაკარგონ ავთენტურობა. საქართველოში არსებობს უზარმაზარი არქივი, გვაქვს უამრავი განხორციელებული პროექტი. შესაბამისად, აუცილებელია, პროცესში ქართველი მეცნიერების, ხელოვნებათმცოდნეებისა და არქიტექტორების აქტიური ჩართვა. სასურველია, რესტავრაცია მოხდეს „იუნესკოს“ ზედამხედველობით, რადგან ოფიციალურ თბილისსა და სოხუმს პირდაპირი კომუნიკაციის საშუალება არ აქვთ. „იუნესკოს“ მთავარი ფუნქცია კი, რესტავრაციის სწორად ჩატარების უზრუნველყოფა იქნება. ვფიქრობ, დასახული გეგმის განხორციელების შანსი გაზრდილია და აფხაზური მხარე ამ შეთავაზებაზე დაგვთანხმდება, მით უმეტეს, რომ „იუნესკოსთან“ თანამშრომლობა“ მათ ინტერესებშიც შედის“.

ნათელია, რომ აღნიშნული საკითხის დარეგულირებას ვერც „იუნესკო“ მოახერხებს და ვერც — რომელიმე სხვა საერთაშორისო ორგანიზაცია, თუ არ იქნება რუსეთის კეთილი ნება. როგორც მამუკა არეშიძე აცხადებს, საქართველოში პოლიტიკური რეალობის შეცვლით, ამ პრობლემის უმტკივნეულოდ გადაწყვეტის შანსიც გაჩნდა.

მამუკა არეშიძე: „ვფიქრობ, ამ მხრივ აუცილებლად გადაიდგმება პოზიტიური ნაბიჯები და რუსული მხარე ხელს არ შეუშლის ტაძრების რესტავრაციის პროცესს. ზუსტად არ ვიცი, მიმდინარეობს თუ არა ამ თემაზე დიალოგი ოფიციალურ მოსკოვთან, მაგრამ ვფიქრობ, საქართველოს ახალ ხელისუფლებას რუსულმა მხარემ პრობლემები აღარ უნდა შეუქმნას, რადგან სიტუაცია გარკვეულწილად, შეიცვალა და აქამდე არსებული სიხისტე შერბილდა. ისიც მნიშვნელოვანია, რომ სეპარატისტულ რეგიონთა მიმართ საქართველოს დღევანდელმა ხელისუფლებამ აირჩია ჰუმანიტარული აქციების ტონი და ამით პოლიტიკა და კულტურა ერთმანეთს დააშორიშორა“.

ერთ-ერთ ასეთ ჰუმანიტარულ აქციად შეიძლება ის ჩაითვალოს, რაც ბევრმა, ალბათ, არ იცის — პატრიარქის ლოცვა-კურთხევით, თბილისში, ილორის ტაძრის ანალოგი შენდება. აღსანიშნავია, რომ აფხაზეთიდან დევნილ რამდენიმე ქართველთან ერთად, მშენებლობას სათავეში აფხაზებიც უდგანან. მამუკა არეშიძის აზრით, ილორის ანალოგის მშენებლობა დადებით როლს შეასრულებს ქართულ-აფხაზურ ურთიერთობაში და ზემოაღნიშნული ძეგლების რესტავრაციის საკითხზეც ქართულ-აფხაზური თანამშრომლობა ასეთივე წარმატებით შედგება

მამუკა არეშიძე: „ილორი უნიკალური არქიტექტურული და კულტურული ძეგლია და მისი ე.წ. პროტოტიპის შექმნა თავისთავად მისასალმებელია, მაგრამ ეს ფაქტი კიდევ იმითაა მნიშვნელოვანი, რომ მშენებლობა ქართულ-აფხაზური ძალისხმევით მიმდინარეობს. ამ ტაძრის მშენებლობა მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კონფლიქტის მოგვარებაში და რეზონანსიც აუცილებლად ექნება“.

---

facebook NEWS

როლანდ ხოჯანაშვილი

მგონია, რომ მაქვს ლეგიტიმური უფლება, აპრილში კენჭი ვიყარო ნაკალაძარ სამტრედიაში იმის გამო, რომ სამტრედიაში მაქვს ნაჭამი ხაჭაპური, ნაკბილაშვილარ ბაღდათში რთველსა და ბლის ჭამაშიც მაქვს თავი გამოჩენილი და ნაწულუკიანებ ნაძალადევს თუ კრწანისშიც კი მაქვს რაღაც გაკეთებული (ვიცი ზეპირად ლექსი „კრწანისის ყაყაჩოები“ და ნახალოვკაში „ბულკი“ მაქვს შეჭმული). არ არის ეს საკმარისი თუ?

facebook NEWS

ნინო ჯღარკავა

ახალი პიარ-ტექნოლოგიები შეიმუშავა საქაშვილის ხროვამ — მონანიება, გულისამაჩუყებელი წერილები, ბოდიშები, მიტევებები და... მოაწყობენ სახელმწიფო გადატრიალებას. ამას ხელს უწყობს „ოცნებაში“ შენერგილი მოღალატეები და ჩვენ ვუყუროთ შორიდან ქვეყნის მეორედ დაქცევას! ყურები გამოიფხიკეთ, ხელისუფალნო, მიშა კვლავ საშიშია, მიხედეთ უვარგის მოღალატე კადრებს, არ გაპატიებთ ხალხი ამ ძალად თუ ნებით კოჰაბიტაციას!!!

facebook NEWS

ელზა ჯმუხაძე

მეტეორი აგვცდა, ამის დედა ვატირე და, „ნაცები“ ვერ მოვიშორეთ!

facebook NEWS

დავით ზურაბიშვილი

ვანო მერაბიშვილი აღშფოთებულია პოლიტიზირებული პოლიციით, დავით საყვარელიძე — პოლიტიზირებული პროკურატურით, გიგა ბოკერია — შერჩევითი სამართლით, გიგი უგულავა — ხელისუფლებაში კორუფციით, დავით ბაქრაძე — საპარლამენტო ოპოზიციაზე ზეწოლით. ბაჩო ახალაია ციხეშია, ზურაბ ადეიშვილი — „პაბეგში“, „რუსთავი 2“ ოპოზიციური ტელევიზიაა...

ჰოდა, ვისაც ყოველივე ამის გამო სერიოზულად ეშლება ნერვები, წარმოიდგინოს, რა რეაქცია ექნებოდა, ორი წლის წინ ვინმეს რომ ეთქვა, ორი წლის მერე ასე იქნებაო და მყისვე მოვა ხასიათზე.

facebook NEWS

ნანა გაგუა

დღეიდან მხოლოდ ბრინჯი უნდა ვჭამო — ეგებ, თვალები დავიწვრილო და ჩინელების უბანში „ხატა დავითრიო“!

facebook NEWS

ჟანა ასანიძე

ძვირფასო პოლიტიკოსებო, წინ სახიფათო მოსახვევია, გთხოვთ, ნუ გამორთავთ ძრავას და გადაბმულობას!

რა ხანია ექსპედიციის წევრები პილიგრიმებივით ვიარებით ჯავახეთში. კუმურდოს ტაძრის შემდეგ მასზე უმჯობესი, თითქოს, რაღა უნდა ვნახოთ და დავაფიქსიროთ, მაგრამ, ნაოსნობისა არ იყოს, რაც უფრო შორს და ღრმად შედიხარ, მით უფრო მეტად გიტაცებს ამოუცნობი მამული. ამ აღმა-დაღმა ხეტიალში, ვინძლო, მკითხველი გადავღალე კიდეც, მაგრამ დანებება არ იქნება — წინ ბევრი რამ გველის. და აი, ამისი პირველი დასტური...

აზმანის შემორჩენილი ეკლესია


აფნიის ეკლესიის გალავნის კარიბჭე და თავად ეკლესია

ქვათა მატიანე

გზა კანიონის თავზე

ცენტრალური ჯავახეთი

კუმურდოდან სამხრეთით, 4-5 კილომეტრში მორიგი ნასოფლარია — **დანკალი!..** ნაყორალებს ვეღარსად ვაგნებ, ეკლესია კი ჯერაც ისევ ფეხზეა. ეს არის დაახლოებით 150 კვმ-ის (15 X 10 მ) ორნავიანი საყდარი, რომელიც ასევე ორნავიანი ქილდის ეკლესიისგან რამდენიმე ნიშნით განსხვავდება: პირველი — დანკალი გაცილებით დიდია, მეორე — ნაგებია სუფთად გათლილი კვადრების ზუსტი თარაზული წყობით, მესამე — ცენტრალურ ნავს გვერდითი ნავი არა ჩრდილოეთიდან, არამედ სამხრეთიდან აქვს, მეოთხე — დანკალს აღმოსავლეთის კედელი ჩამოშლილი აქვს.

ტაძარში დასავლეთის კარით შევდივართ, რომელიც, სამხრეთის კარის მსგავსად, გარედან არქიტრავული, შიგნიდან კი თაღოვანია. ცენტრალური ნავი განში ისწრაფვის, მაგრამ ჯერ ისე ფართოდ გაშლილი ვერაა, როგორც XI საუკუნის მიწურულიდან აგებულ საყდრებს ახასიათებს. სავარაუდოდ, ძეგლი X საუკუნისაა. კარგი იქნებოდა, ეს ვარაუდი რომელიმე წარწერით დასტურდებოდეს, მაგრამ პალეოგრაფიულად ძეგლი ამჟამად უტყვია. არადა, გამოცდილება მკარნახობს, რომ მორღვეულ აღმოსავლეთ კედელზე, სადღაც სარკმლის მიდამოში აუცილებლად იქნებოდა სამშენებლო-ქტიტორული წარწერა...

დანკალის ეკლესია შიგნიდან

საყდრიდან დასავლეთით ორას-სამას მეტრს თუ გავივლით, დიდი მტკვრის ხრამის კიდეზე აღმოვჩნდებით, ეს კი იმას ნიშნავს, რომ ვანის ქვაბების თავზე ვართ მოქცეული. ამ ქვაბებს, ბუნებრივია, ვერ ვხედავთ, მაგრამ მტკვრის მეორე სანაპირო კლდეზე აღმართულ მრისხანე თმოგვის ციხეს კი ვამჩნევთ. დიდებული პანორამა იშლება... ჯავახეთი რომაა, მეორე ასეთი მისტიკური კუთხე, მგონი, არცაა საქართველოში. თავად წარმოიდგინეთ: კანიონის თავზე კიდევ 2-3 კილომეტრის გავლის შემდეგ, ახლა უკვე ვარძიის კომპლექსი გამოჩნდება მტკვარგაღმა. სოფელ **გოგაშენში** შესულები ზევიდან დავცქერით ვარძიას.

„გურჯისტანის ვილაიეთის დიდ დავთარში" და მის საფუძველზე ალ. ასლანიკაშვილის მიერ შედგენილ XVI საუკუნის ჯავახეთის რუკაზე გოგაშენს **გავაშენი** ჰქვია. ეს მოზრდილი სოფელი მთლიანად ქართველებითაა დასახლებული. ტელევიზიის გამოჩენა აქ იშვიათი მოვლენაა, რის გამოც ყველას გასაუბრება და საკუთარი სატკივრის გამხელა სურს. არადა, მარიამობის თვეა და ხალხს თავზესაყრელი საქმე აქვს: ვინ სახურავს ცვლის, ვინ ბოსელსა და საბძელს ასუფთავებს, ვინ წივის ბელტებს ჭრის და საზამთროდ იმარაგებს. ერთ-ერთი ნათენაძეების ეზოში თუთისა და ჭანჭურის არაყს ხდიან.

— ეს ხილი საიდან? — ვეკითხები ოჯახის უფროსს, რადგან ირგვლივ ერთი-ორი ჯუჯა და უნაყოფო ხე თუ დგას.

— მტკვრის ხეობიდან ამოგვაქვს, — მიპასუხებს და ხელით მტკვარგაღმა, ვარძიის გვერდით შეყუჟულ პატარა სოფელზე მიმანიშნებს, — აი, იმ სოფელს გაღმა ჭაჭკარი ჰქვია. ბაღები იქ გვაქვს გოგაშნელებს. ასეა ეს ოდითგან. წყნარი და ლამაზი სოფელია. რამდენიმე გვარს თითო-თითო სახლი იქაც გვაქვს. ჭაჭკარში კლდის ეკლესია, ცხვრის გამოქვაბული და სამი დიდი ქვის საწნახელია დარჩენილი. ზოგიერთი ზამთრობითაც იქ რჩება.

— ალბათ, გამოღმა ჭაჭკარიც არსებობს...

— გამოღმა ჭაჭკარისა ერთი დანგრეული საყდარიღაა გადარჩენილი. იმ ალაგს ვერ ვიყენებთ.

ეკლესიები აქ, ზევით — გოგაშენშიცაა. **XIII-XIV საუკუნისა უნდა იყოს იმ ტაძრის მცირე ნაშთი, რომელიც სოფლიდან მოშორებით, სასაფლაოზეა. როგორც გვითხრეს, იგი მთავარანგელოზისა ყოფილა. ერთი მეტრის დონეზე შემორჩენილი კედლები კარგად გათლილი ქვითაა ნაგები. მეორე ეკლესია შიგ სოფელშია და ხრამთან ახლოს დგას. იგი ღვთისმშობლისაა და XIX საუკუნეში აუგიათ, თუმცა, როგორც აქ აღმოჩენილი ერთი სტელის ფრაგმენტი გვეუბნება, ადრე ძველი ეკლესია მდგარა მის ადგილზე.**

ღართის ეკლესია აღმოსავლეთიდან

გოგაშენს სამხრეთიდან ზედ აკრავს ასევე ქართული სოფელი **აფნია**, რომელიც ბოლო დროს აჭარიდან მოსულმა ეკომიგრანტებმა საკმაოდ მოაღონიერეს. ამ სოფლიდან გზა სერპანტინით ეშვება ხრამში და ვარძიაში ჩადის. **აფნია ძველი დასახლება რომაა, ამას აქაური ტაძარი ამტკიცებს. მართალია, წმინდა დემეტრეს სახელობის ამ ეკლესიის სამი მეოთხედი XIII-XIV საუკუნეების კალატოზის ხელითაა ნაგები, მაგრამ ოსტატს გონიერება გამოუჩენია და უცვლელად დაუტოვებია ჩრდილოეთის ის კედელი, რომლის ქვათა დამუშავება და წყობა VIII-IX საუკუნეებს გვახსენებს.**

ერთ-ერთი ხანდაზმული აფნიელი, გვარად ბერიძე, გვეუბნება, რომ ადრე ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ კუთხესთან ესვენა უცნაურ გამოსახულებიანი, გულამოჭრილი ქვა, რომელში ჩაგუბებული წვიმის წყალი, თურმე, დაავადებულ თვალს კურნავდა. ქვაში ჩაგუბებული წვიმის სამკურნალო თვისებებზე ვერაფერს ვიტყვი, მაგრამ როცა მის ფორმებს მიხატავდა აფნიელი, გონებაში, თავისთავად, ამოტივტივდა მჭადიჯვართან ახლოს, ისტორიულ გრემისხევში მდებარე ქვითკირისწყაროს ეკლესია. მსგავსი ქვა სწორედ იმ ეკლესიაში მაქვს ნანახი, ოღონდ მას ძირი აქვს გახვრეტილი. (ჩემი ვარაუდით, ქვითკირისწყაროს ეკლესიაში ემბაზად გამოყენებული წარმართული სამსხვერპლო ქვა დევს).

აფნია ოსმალოს ბატონობის დროსაც კი, შეძლებული სოფელი ყოფილა. აქაურებს მემინდვრეობიდან, მებოსტნეობიდან, მეცხოველეობიდან, მებაღეობიდან და მეფუტკრეობიდან კარგი შემოსავალი ჰქონიათ და გვარიან ხარკსაც იხდიდნენ.

აფნიიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით ნასოფლარი **ღართაა**. ამ კუთხის მკვლევარები ს. ჯიქია, ალ. ასლანიკაშვილი და დ. ბერძენიშვილი ვარაუდობენ, რომ „ღართა" „ყართას" მოგვიანებითი, ნათურქალი ფორმაა. მეცნიერთა მოსაზრება ყურადსაღებია, მაგრამ რა ვუყოთ უძველეს, ისტორიულ ღართისკარს და ღართისხევს მცხეთის მისადგომებთან, ან თრიალეთის მთებში არსებულ ხაშურის რაიონის სოფელ ღართას?

ჯავახეთის ეს ღართა თუ ყართა ზედ ხრამის პირზეა და ადრე საურმე გზა ჩადიოდა სოფელ მირაშხანში. ღართაში ახლა მხოლოდ X საუკუნის დარბაზული საყდარი დგას. სასიხარულოა, რომ უხეშად გათლილი მცირე კვადრების პერანგში მჯდარ ეკლესიას ერთი ქვაც კი არ აკლია და კამარაც შერჩენილი აქვს. მას ახლა სომეხი მთიბავები იყენებენ მოსასვენებლად.



იისფერ ყვავილოვან ხალიჩაში ჩაქარგულ ღართის საყდარს ვემშვიდობებით და სამხრეთით ვაგრძელებთ გზას. ნასოფლარ **ქარცების** გავლით, სოფელ **აზმანაში** შევდივართ.

სოფლის სახელწოდება აზმანა, სულხან-საბას განმარტებით, ორი წლის ცხვარს ჰქვია. იგი მოხსენიებულია XVI საუკუნის რუკაზეც და ისტორიულ საბუთებშიც. რატომ დაერქვა სოფელს ეს სახელი, დაუდგენელია იმის გამო, რომ ხელახლა დასახლებულია და სოფლელებს არანაირი გადმოცემა არ აქვთ.

ჯავახეთის ოკამიდან და გოგაშნიდან კარგა ხნის წინათ მოსულ გვარებს, ბოლო დროს აჭარლებიც შეემატნენ, რის გამოც სოფელში რამდენიმე კლასიანი ქართული სკოლის გახსნა მოხერხდა. ჩვენთან მოსულ ახალმოშენეებს სწორედ ამ სკოლის პედაგოგი მიხეილ ნათენაძე მოჰყვა თან, რომელმაც ახალაღდგენილი (დაკონსერვებული) ეკლესია დაგვათვალიერებინა. ეკლესია საკმაოდ ძველია, სავარაუდოდ, VIII საუკუნის ნაგებობაა. **ტაძარი სამეკლესიანი ყოფილა, რასაც უვნებლად გადარჩენილი ჩრდილოეთის სამლოცველოს სამხრეთ კედელში ამოშენებული თაღედი მოწმობს. ამ თაღედით ჩრდ. სამლოცველო ცენტრალურ, დიდ, დარბაზს უკავშირდებოდა, რომლისგანაც ახლა მხოლოდ საძირკვლის მონახაზი და ერთი დაბალი კედელია შემორჩენილი. თავის მხრივ, ოდნავ შესამჩნევად იკითხება სამხრეთ სამლოცველოს მოხაზულობაც.** აღდგენილ ჩრდილოეთ სამლოცველოში თვალს იტაცებს შეკიდული ჯვრისებრ-გუმბათოვანი კამარა, რომელიც ცხვარიჭამიის და სხვა ტაძრებშიც გვხვდება. გარდა ამისა, ჩანს, რომ ეს სამლოცველო არა მარტო სამხრეთიდან იყო გახსნილი თაღედით, არამედ დასავლეთიდანაც, როგორც ეს ჭერემის, ნეკრესისა და ზედაზნის ძველისძველ ეკლესიებშია. ახლა წარმოვიდგინოთ, ჩრდილოეთის სამლოცველო რომ ასეთი იყო, რამდენად სახიერი უნდა ყოფილიყო ცენტრალური ეკლესია!

აზმანის ტაძრის აღდგენა-კონსერვაციაში პროფესიონალ რესტავრატორებს ადგილობრივები, მათ შორის ჯერ კიდევ მუსლიმი აჭარლებიც ეხმარებოდნენ. მიმდებარე ტერიტორიაზე არქეოლოგებმა მრავალი სიძველე აღმოაჩინეს. მიხეილ ნათენაძის თქმით, მიუკვლევიათ რამდენიმე ისეთი სამარხისთვის, რომელშიც მრავალი ნეშტი ყოფილა. შესაძლოა, ეს ან კრიპტა იყო, ან უძველესი ორმო-სამარხი, რომელშიც ომში დაღუპული ათობით მეომარი განისვენებდა.

აზმანა ცენტრალური ჯავახეთის სამხრეთ საზღვარზეა. ამის შემდეგ ზეგანზე იწყება სამხრეთ ჯავახეთი, რომელიც თურქ-ოსმალთა ბატონობისას ჩილდირის ლივაში შედიოდა.

გოგაშენი , წივის „პირამიდები"

ავტორის ფოტოები

დავით დარახველიძე მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობაზე შეთანხმდა

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრმა, დავით დარახველიძემ და მინისტრის მოადგილემ, ნინო ჭავჭავაძემ მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის ოფისის წარმომადგენელთან — ჯონანა ფის დე ბერსა და დელეგაციის სხვა წევრებთან ოფიციალური შეხვედრა გამართეს.

მინისტრმა დელეგაციას მადლობა გადაუხადა სტუმრობისთვის და იძულებით გადაადგილებულ პირთა ზოგადი მდგომარეობა გააცნო. დავით დარახველიძემ დევნილი მოსახლეობის მთავარ პრობლემად განსახლება დაასახელა. მინისტრის თქმით, რეგისტრირებული 90 000 დევნილი ოჯახიდან საცხოვრებელი ფართობით დაკმაყოფილებულია მხოლოდ 25 000 ოჯახი, დანარჩენი 65 000 ოჯახი კი ჯერ კიდევ მოლოდინის რეჟიმშია. მინისტრის თქმით, 65 000-დან 40 000-ს საცხოვრებელი ფართის გადაუდებელი საჭიროება აქვს.

საუბარი ასევე შეეხო სამინისტროს ახალ სტრატეგიას, რომელიც ოთხი წლის განმავლობაში დევნილთა სრულ განსახლებას ითვალისწინებს. მინისტრის თქმით, ეს საკმაოდ რთული პროცესია და აღნიშნა, რომ დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერა აუცილებელია.

მსოფლიო ბანკის წარმომადგენლებმა მინისტრს მადლობა გადაუხადეს გულახდილი საუბრისათვის და აღნიშნეს, რომ მათთვის მთავარია, მოისმინონ სამინისტროს პრიორიტეტები და მასზე დაყრდნობით იმოქმედონ. მათ, ასევე, მოიწონეს სამინისტროს მიერ შემუშავებული ოთხწლიანი გეგმა და აღნიშნეს, რომ მოხარულნი არიან, როდესაც სამინისტრო ასეთ მზაობასა და ნებას გამოხატავს დევნილთა პრობლემების მოგვარებისთვის.

მონწვეულმა სტუმრებმა, ასევე აღნიშნეს, რომ აუცილებელია, განსახლებასთან ერთად, დევნილთა ინტეგრაციას მიექცეს ყურადღება. მათ აღნიშნეს, რომ სამინისტროს დევნილთა პრობლემების მოგვარებაში მსოფლიო ბანკის იმედი უნდა ჰქონდეს.

„თანამშრომლობა მსოფლიო ბანკსა და დევნილთა სამინისტროს შორის გაგრძელდება“, — აღნიშნა მსოფლიო ბანკის ვაშინგტონის ოფისის წარმომადგენელმა ჯონანა ფის დე ბერმა.

„ჯი-ეიჩ-ენი“

კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებულები მერიას ქონების მიტაცებაში ადანაშაულებენ

მოაგვარებს თუ არა პრემიერი ივანიშვილი 20-წლიან პრობლემას და რა პოლიტიკური მიზნებისთვის იყენებდნენ „ნაციონალები“ უსახლკაროებს

მერაბ ბერიძე

კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული მოქალაქეები თბილისის მერიას ქონების მიტაცებაში ადანაშაულებენ. როგორც თბილისის საკრებულოს ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელების“ თავმჯდომარე გულიკო ზუმბაძე აცხადებს, დაზარალებულების წინაშე ვალდებულებები სახელმწიფომ, თავის დროზე, საშინაო ვალად აღიარა და პრობლემის მოგვარება დაიწყო, რაც ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში მოსვლით, პრაქტიკულად, შეწყდა. 2010 წლის ადგილობრივ არჩევნებში კი, ქალაქის მერიამ, ხმების მოპოვების მიზნით, ეს ვალდებულება თავის თავზე აიღო, თუმცა არჩევნების დასრულების შემდეგ, ისევ ცენტრალურ ხელისუფლებას, კერძოდ, ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროებს გადააბარა.

როგორც ზუმბაძე განმარტავს, ამ პრობლემის შესწავლისა და გადაჭრის მიზნით, ახალი ხელისუფლების მოსვლისთანავე, სპეციალური სამუშაო ჯგუფი შეიქმნა, თუმცა მერია ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ მოთხოვნებს არ ასრულებს, რაც პრობლემის სწრაფად მოგვარებას ხელს უშლის.

ფრაქცია „ქართული ოცნება — თბილისელები“ ქალაქის მერიას უმოქმედობაში ადანაშაულებს და სთხოვს, ფინანსთა სამინისტროს 2012 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილების საფუძველზე, მთავრობის მიერ შექმნილ ზემოხსენებულ სპეციალურ სამუშაო ჯგუფში საკუთარი წარმომადგენლები დანიშნოს. ამასთან, დროულად დაიწყოს თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში არსებულ მიწის ნაკვეთებზე კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებელი შენობა-ნაგებობების აღრიცხვა.

„1998 წელს კოოპერატიული ბინათმშენებლობით დაზარალებული მოქალაქეების პრობლემები სახელმწიფომ შიდა ვალად აიღო. 2010 წელს კი მერიამ, დაახლოებით, 4 500 ადამიანს ამ პრობლემის მოგვარების პირობა მისცა, თუმცა ეს, რეალურად, მორიგი წინასაარჩევნო ტრიუკი იყო — რამდენიმე ადამიანი ბინაში შეასახლეს, მაგრამ არ დაუკანონებიათ. მიწებიც თითო-ოროლა ადამიანზე გასცეს... ფინანსთა სამინისტრომ სპეციალური კომისია — სამუშაო ჯგუფი შექმნა და 2012 წლის 25 დეკემბერს თბილისის მერიას სთხოვა, ამ ჯგუფში თავისი სპეციალური წარმომადგენლები „ჩაესვა“, მაგრამ მერიამ ამ კომისიაში თავისი წარმომადგენლები დღემდე არ დანიშნა... ჩვენი ფრაქცია დედაქალაქის მთავრობას სრულ უმოქმედობაში ადანაშაულებს და მოუწოდებს, ამ პრობლემის მოგვარებას ხელი არ შეუშალოს ხელოვნურად... საბოლოოდ, ზეწოლის შედეგად, მერიას ქმედითი ნაბიჯების გადადგმა მოუწევს. გამორიცხული არაა, მერიამ ამ ქონებას ვერ უპატრონა — ალბათ, გაყიდა, ან ამ ქონებასთან დაკავშირებით, სხვა განზრახვა აქვს და საბოტაჟს სპეციალურად აწყობს. ახალი ხელისუფლება ამ ოცწლიანი პრობლემის მოგვარებითაა დაინტერესებული. საბოტაჟს კი, საკადრისი პასუხი გაეცემა“, — ამბობს „ვერსიასთან“ საუბრისას საკრებულოს დეპუტატი გულიკო ზუმბაძე.

თბილისის მერიის პრესსპიკერი ბაჩო დოლიძე კი, აღნიშნულ პროცესებში მერიის ჩართვას ალეგიკურად მიიჩნევს და შექმნილ მდგომარეობაზე მოკლე კომენტარით შემოიფარგლება: **„ამ თემაზე ცენტრალური მთავრობა — ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროები — 1998 წლიდან მუშაობს. ამ ორმა უწყებამ დაზარალებულ კოოპერატიულ ბინათმშენებელთა საკითხი შიდა ვალადაც სცნო და ამ ხალხის ფულადი კომპენსაცია უნდა მოხდეს. მერიის ჩართულობის აზრს ამ ეტაპზე ვერ ვხედავთ, მით უმეტეს, აქ ბინების კომპენსაციაზეა საუბარი და არა — მიწებისა“.**

ზაურ ჯამარაული, რომელიც წლების წინ დაზარალდა და დღემდე სამართლის ძიებაშია, „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, რომ 1989 წლის გაზაფხულზე, როგორც ახალდაქორწინებულს, კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში ფული ჩაარიცხვინეს — 80 კვადრატულ მეტრზე 22 ათასი მანეთი გადაახდევინეს: **„ახალდაოჯახებულებისთვის ბინები ზღვის უბნის დასახლებაში უნდა მოეცათ. მაშინ, როგორც მახსოვს, ორი სართული უკვე აშენებული იყო, მაგრამ მერე, ყველაფრის ნგრევასთან ერთად, ესეც მიატოვეს — ბლოკები გაზიდეს და მხოლოდ საძირკველია დარჩენილი. მერე, ისიც ითქვა, ჩვენი კუთვნილი ტერიტორია ვიღაცებზე გაიყიდაო. ახლა ჩხუბი ამაზეც მიდის, რადგან ზღვის უბნის ადგილები გასხვისებულია. მერე, 1992 წელს აღიარეს, რომ სახელმწიფოს ჩვენს მიმართ დავალიანება ჰქონდა. სხვადასხვა რამის, მათ შორის, მიწის მოცემასაც გვპირდებოდნენ, მაგრამ არაფერი მიგვიღია. მეტიც, გვითხრეს, მთავრობის ბინებში შედით და დაგიკანონებთო. ისანში, სამხედრო ჰოსპიტლის წინ მდებარე შენობაში შევედით, გავარემონტეთ... 2008 წელს სააკაშვილის მთავრობამ იქიდანაც გამოგვყარა... ახალი მთავრობა დედაქალაქის მერიას ეუბნება, ჩვენ ხომ ამათი საქმეები გადმოგეცით, დავაკმაყოფილოთო. მერია წელავს და ყურადღებას არ გვაქცევს. ვერ გეტყვით, ეს რატომ ხდება. როგორც ვიცი, შარშან, ამ მიზნით, ორი მილიონი იყო გამოყოფილი, მაგრამ თეთრიც არავის აუღია. იმედია, საკითხი, ადრე თუ გვიან, დადებითად გადაწყდება... ივანიშვილის მთავრობა, ალბათ, მოგვხედავს, თორემ „ნაციონალებს“ ჩვენსკენ არც გამოუხედავთ“.**

დაზარალებულმა თეიმურაზ მგელიაშვილმა კოოპერატიულ ბინათმშენებლობაში 35 ათასი მანეთი ჩადო. მისი თქმით, „ნაციონალებს“ ამ ადამიანების ბედი არ აინტერესებდათ, თორემ მტკვრის სანაპირო მიწის ნაკვეთებს, რომლებიც მათთვის უნდა მიეცათ, უცხოელ ბიზნესმენებზე არ გაყიდდნენ: **„თავის დროზე, თანხა მთლიანად შევიტანე — ხუთოთახიან ბინაზე იყო საუბარი. მერე, ყველაფერი გაჯანჯლდა, მთავრობები შეიცვალა და ჰაერში დავრჩით. ოც წელზე მეტია გასული და არავინაა დაკმაყოფილებული. მარტო მე კი არა, ჩემს დღეში 4 500 ადამიანია. ფინანსთა სამინისტრო მერიისგან ითხოვს თანამშრომლობას, რომ საკითხი ერთობლივად მოგვარდეს. „ნაციონალებს“ კი, ხალხის ბედი არ აინტერესებთ. ორთაჭალაში, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე ნაკვეთების მოცემას გვპირდებოდნენ, მაგრამ მერე გავიგეთ, რომ ეს მიწები აზერბაიჯანელ ბიზნესმენებზე გაუყიდიათ — ისინი კორპუსებს აშენებენ და ბინებს ყიდიან. ჩვენ კი, ასე გვეთამაშებიან და საშველი არ დაგვადგა. ახალი მთავრობის იმედი გვაქვს!“**

როგორც საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების წევრთა უფლებების დაცვის ასოციაციის თავმჯდომარე ქეთევან ოსეყმიშვილი „ვერსიასთან“ საუბრისას ამბობს, ახალი მთავრობის მოსვლის შემდეგ, დაზარალებულებს იმედი გაუჩნდათ, რომ მათი პრობლემა მოგვარდება: **„მერიასთან იმიტომ მოვედით, რომ გიგი უგულავას კიდევ ერთხელ მოვუწოდოთ თანამშრომლობისკენ. ფინანსთა სამინისტროში შექმნილია კომისია, რომელიც შიდა ვალის დაფარვაზე მუშაობს. დღემდე ბატონი გიგი კომისიაში არ მიდის და თბილისელებს უგულებელყოფს. ეკონომიკის სამინისტროდან უგულავამ 2009 წლის 11 ნოემბრის 835-ე ბრძანებულება წამოიღო და, ვალის სანაცვლოდ, ეს ქონება — მიწები და შენობა-ნაგებობები ხალხისთვის ვითომ, საკუთრებაში უნდა დაემტკიცებინა, მაგრამ არაფერი მიუცია, თუ იმ 30 ოჯახს არ ჩავთვლით, რომელიც მიწით დააკმაყოფილა. ეს მიწაც ვერაფერში გამოუყენებიათ — ინვესტორის მოძიების თავიც არ გვაქვს, თან საგადასახადო ჯარიმებიც დაგვიწესეს. ამიტომ, ვითხოვთ, მერიამ ხელი შეუწყოს ამ კომისიის მუშაობას, ან უგულავამ თავი დაგვანებოს და უარი თქვას დედაქალაქის მერობაზე“.**

კოოპერატიული ბინათმშენებლობის დაუსრულებლობით დაზარალებული მოქალაქეები იმ კუთვნილ ქონებას ითხოვენ, რომელიც ოცი წელია, უკანონოდ აქვთ წართმეული. არ მგონია, ეს ადამიანები შიდა სახელისუფლებო ბრძოლებსა და კვანტის დადებაში დიდად ერკვეოდნენ. სამწუხაროა, რომ ხელისუფლების წარმომადგენლები დაზარალებულ მოქალაქეებს მხოლოდ საშუალებად იყენებენ — მეოთხე მთავრობა შეიცვალა და ისინი ისევ ჰაერში არიან გამოკიდებულნი. იმედია, ახალი ხელისუფლება სიტყვას შეასრულებს და თანმიმდევრული მუშაობით, პრობლემას სამუდამოდ გადაჭრის.

ვერსიანიუსი

ნოდარ ხადურმა სისხლი ჩააბარა

ლეიკემიასთან ბრძოლის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ საქველმოქმედო აქცია გამართა. აქციის — „ლეიკემია იკურნება“ ფარგლებში, ფინანსთა მინისტრმა ნოდარ ხადურმა, მინისტრის მოადგილეებმა და სამინისტროს თანამშრომლებმა ლეიკემიით დაავადებული ბავშვებისთვის სისხლი ჩააბარეს. ამასთან, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებულ სისხლის ბანკს შორის ხელი მოეწერა მემორანდუმს თანამშრომლობის შესახებ, რომელიც მიზნად ისახავს, სამინისტროს ჩართულობას ბავშვთა ლეიკემიურ დაავადებებთან ბრძოლის პროცესში.

„სამწუხაროდ, ჩვენი ქვეყნისთვის ეს პრობლემა უცხო არაა. დღეს ბევრი ბავშვი გადის მკურნალობის კურსს. კარგია, რომ მკურნალობას, ხშირ შემთხვევაში, დადებითი შედეგები აქვს, მაგრამ პრობლემა სისხლის მარაგია. სწორედ ამიტომ, ფინანსთა სამინისტრომ და მ. იაშვილის სახელობის ბავშვთა ცენტრალურ საავადმყოფოსთან არსებულმა სისხლის ბანკმა გავაფორმეთ მემორანდუმი და ჩვენი თანამშრომლები სისტემატურად გაიღებენ სისხლს, რათა უფრო ბევრი ბავშვი გადარჩეს და განიკურნოს“, — განაცხადა ფინანსთა მინისტრმა, ნოდარ ხადურმა.

„ჩვენი ბავშვებისთვის თითქმის ყოველდღიურადაა საჭირო სისხლი. აქედან გამომდინარე, თავად ფინანსთა მინისტრის ინიციატივა იყო, აქციაში სამინისტროს სისტემის თანამშრომლები ჩართულიყვნენ. ვფიქრობ, კარგი იქნება, თუ ასეთი ტიპის მემორანდუმის გაფორმების სურვილს სხვა საჯარო სამსახურებიც გამოთქვამენ“, — აღნიშნა სისხლის ბანკის სამედიცინო დირექტორმა თამთა დემურიშვილმა.

„მედიანიუსი“



წინა ნომერში გასული სკანვორდისა და სუდოკუს პასუხები



ადვილი

1	9	8	3	7	6	5	4	2
7	3	5	8	4	2	6	1	9
2	6	4	5	9	1	3	8	7
9	1	6	4	8	7	2	3	5
8	5	2	1	3	9	7	6	4
4	7	3	2	6	5	1	9	8
3	2	1	9	5	4	8	7	6
6	8	9	7	2	3	4	5	1
5	4	7	6	1	8	9	2	3

რთული

2	9	4	7	5	6	8	3	1
3	1	8	4	2	9	7	6	5
7	6	5	3	1	8	2	9	4
4	8	3	6	9	1	5	2	7
5	2	9	8	7	4	3	1	6
1	7	6	2	3	5	4	8	9
6	5	2	1	4	3	9	7	8
9	3	1	5	8	7	6	4	2
8	4	7	9	6	2	1	5	3

ულტრა

2	3	9	8	7	6	1	4	5
5	4	8	3	2	1	6	9	7
6	7	1	4	9	5	3	2	8
1	8	7	6	5	4	2	3	9
9	6	2	7	3	8	5	1	4
4	5	3	2	1	9	7	8	6
8	2	6	5	4	3	9	7	1
7	1	5	9	8	2	4	6	3
3	9	4	1	6	7	8	5	2

ეჭვიანი

7	4	6	8	9	5	3	2	1
5	3	2	6	1	7	4	8	9
1	8	9	3	4	2	7	6	5
6	1	5	7	2	8	9	3	4
4	2	3	1	6	9	5	7	8
9	7	8	4	5	3	2	1	6
3	6	7	5	8	4	1	9	2
8	9	4	2	3	1	6	5	7
2	5	1	9	7	6	8	4	3

ჰოროსკოპი
18 თებერვალი

ვერძი — დღის პირველი ნახევარი, შესაძლოა, წარმატებული აღმოჩნდეს კონტრაქტების გაფორმებისა და საქმიანი მოლაპარაკებებისთვის. პარტნიორებთან მნიშვნელოვან საკითხებსაც წარმატებით მოაგვარებთ, თუმცა დღის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად დაიკლებს თქვენი სასიცოცხლო ენერგია, იმედგაცრუებას მძლავრად გადაიტანთ, თავდაჯერებულობასაც თანდათან კარგავთ, ამიტომ სჯობს, ყველა საქმეს მოეშვათ და განმარტოებულმა დაისვენოთ.

კურო — კარი დღეა საქმიანი და შემოქმედებითი აქტიურობისთვის. შესაძლოა, დღეს არავითარ წინააღმდეგობას არ გადააწყდეთ. უსიამოვნო მოვლენები გვერდს ისე აგივლით, ვერც კი შეამჩნევთ. შეგიძლიათ, დროებით დაივიწყოთ კამათი, გაუგებრობა, განშორება... საღამოს საყვარელ ადამიანთან ერთად გაისეირნეთ და დრო მყუდრო გარემოში გაატარეთ.

ტყუპები — ამ ნიშნის წარმომადგენლებისთვის კარგი დღეა კოსმიური ენერგიის ასათვისებლად, ახალი სიყვარულისთვის, პატიებისთვის. მშვენიერი პერიოდია, ასევე ქორწინებისთვის, ჰარმონიული ოჯახური ურთიერთობებისთვის. წარმატებული დღეა მსხვილი შენაძენისთვის, უძრავი ქონების შესყიდვისთვის. დღის მეორე ნახევარში საკუთარ ჯანმრთელობასაც მიხედეთ.

კირჩხიბი — წარმატებული დღე იქნება როგორც პროფესიული საქმიანობისთვის, ისე პირადი ცხოვრებისთვის. ამ ნიშნის წარმომადგენელ ქალებს ახალი გატაცება ელით, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, რომ თქვენთვის დამახასიათებელი იდეალიზმმა, შესაძლოა, ხელი შეგიშალოთ თაყვანისმცემლის ღირსებისა და ნაკლის სწორად შეფასებაში. კირჩხიბ-კაცებს კი თავშეკავებულობას ურჩევენ — პარტნიორის კრიტიკა კარგია მხოლოდ გონივრულ საზღვრებში.

ლომი — დღე განსაკუთრებით საშიშია ჯანმრთელობის მდგომარეობის მხრივ. ფრთხილად და ყურადღებით იყავით: ნებისმიერი ნაკაწრი სხეულზე დიდხანს არ შეგიხორცდებათ, რომ არაფერი ვთქვათ სერიოზულად დაშავებაზე. დროის მეორე ნახევარში გადადეთ ყველა ვიზიტი და შეხვედრა. უფრო მეტი დრო დაუთმეთ ძილსა და დასვენებას.

ქალწული — დღეს შეგიძლიათ უკეთესობისკენ შეცვალოთ ვითარება. კარგი დღეა მსხვილი შენაძენისთვის. ვარსკვლავები კი გაფრთხილებენ, რომ ემოციების გამოვლენისგან თავი შეიკავოთ, რათა შესაძლო კონფლიქტებს აერიდოთ.

სასწორი — ჰარმონიული დღეა სასწორებისთვის. გამოირჩევით ფსიქიკური წონასწორობით, ტრადიციების მიმდევრობითა და მიღებული ნორმების დაცვით. თამამად დაიწყეთ ნებისმიერი საქმე, რადგან წარმატება გარანტირებული გაქვთ. სამუშაო დღის ბოლოს თავს გადაღლილად არ გრძნობთ, მაგრამ საღამოს, შესაძლოა, მეგობრებთან ურთიერთობის გარკვევის აუცილებლობა გაჩნდეს.

ღრიანკალი — თქვენთვის, შესაძლოა, მძიმე დღე აღმოჩნდეს. დიდია ალბათობა, რომ პროფესიულ სფეროში უფრო მოკრძალებული ადგილი დაიკავოთ, ვიდრე იმსახურებთ. შეგხვდებათ წინააღმდეგობები კარიერაში წინსვლის გზაზე და მიზნის მიღწევაშიც შეგეშლებათ ხელი.

მშვილდოსანი — ეს დღე წარმატებებით სავსე უნდა იყოს: თქვენს ნებისმიერ წამოწყებას შესანიშნავი დასასრული ექნება. რაც შეეხება პირად ცხოვრებას, თავს ყველაზე ბედნიერ ადამიანად იგრძნობთ, ბავშვები კი საკუთარი წარმატებებით გაგახარებენ, თუმცა დიდ დროს ნუ დაკარგავთ გართობასა და შეხვედრებზე.

თხის რქა — კარგი დღეა მუშაობისთვისაც და სიყვარულისთვისაც, თუმცა, შესაძლოა, მცირე ფინანსური დანაკარგიც. თუ რაიმეს ყიდვას გეგმავთ, ჯერ დაფიქრდით, ღირს კი მასზე ბევრი ფულის დახარჯვა. დღის პირველ ნახევარში, სჯობს, დაწყებული საქმეები ბოლომდე მიიყვანოთ, საღამოს კი გართობისა და დასვენებისთვისაც დაგრჩებათ დრო, შეგიძლიათ, ესტუმროთ მეგობრებს, ამით მათ ძალიან გაახარებთ.

მერწყული — დღე წარმატებული იქნება: წინააღმდეგობების, უსიამოვნებების გარეშე, ყველაფერს მიაღწევთ, რასაც დაისახავთ მიზნად. ამ ნიშნის წარმომადგენელი მანდილოსნები ეფექტურად გამოავლენენ საკუთარ ნიჭსა და უნარს. სავარაუდოა ახალი გატაცებები ან მსუბუქი ფლირტი, თუმცა ვარსკვლავები გაფრთხილებენ, ემოციებს ნუ გამოხატავთ — წამოწყებულმა რომანმა, შესაძლოა, ბევრი ტკივილი მოგიტანოთ.

თევზები — დღე შესაძლოა, მძიმე აღმოჩნდეს და იმედგაცრუებამაც არ დააყოვნოს, თუკი არ მოძებნით საკუთარი პოზიციების გასამყარებელ გზებსა და მეთოდებს, არ გამოიჩენთ ინიციატივასა და შეუპოვრობას. დიდია ალბათობა წინააღმდეგობებისა, რაც ახალ სამსახურს შეიძლება ეხებოდეს. საღამოს, არ არის გამორიცხული, განწყობა გაგიფუჭდეთ. თუ გექნებათ საშუალება განმარტოებისა, ამ შანსს ხელიდან ნუ გაუშვებთ.

მარილი ტვინისთვის საზიანოა

უკვე დიდი ხანია ცნობილია, რომ ზედმეტად მარილიანი საკვები და ფიზიკური აქტივობის არარსებობა მავნეა გულისთვის, თუმცა ახალი გამოკვლევის მიხედვით, რომელიც 3 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა და რომელშიც 1200 ადამიანი მონაწილეობდა, დადგინდა, რომ ცხოვრების ასეთი წესი ტვინისთვისაც საზიანოა — ამის გამო ასაკოვან ადამიანს შეიძლება გონება დაუქვეითდეს. ექსპერიმენტისას მის მონაწილეებს — 67-დან 84 წლის ასაკის მოხალისეებს სხვადასხვა ტესტების გავლა შესთავაზეს მათი უნარის გამოსავლენად. ვინც ბევრ მარილს მოიხმარდა და სპორტით არ იყო დაკავებული, გაცილებით ცუდი შედეგები აჩვენა, ვიდრე მათ, ვინც აქტიურ ცხოვრებას ეწეოდა და მარილსაც შეზღუდულად მოიხმარდა. ასეთი დამოკიდებულება შენარჩუნდა ისეთი ფაქტორების მიუხედავად, როგორიცაა განათლება, წონა, დიაბეტი... თუმცა ასაკში გადამწყვეტი მნიშვნელობა ფიზიკურ აქტივობას აქვს და არა მარილს. სისხლძარღვების მდგომარეობა პირდაპირ გავლენას ახდენს გონებასუსტობის განვითარების რისკზე, — აცხადებენ მეცნიერები.

ქალის ხასიათი კალენდარზეა დამოკიდებული?

თუ ცუდ განწყობაზე ხართ, დაფიქრდით, იქნებ ამის მიზეზი მხოლოდ ის არის, რომ დღეს კვირის ნაკლებად სასიკეთო დღეა თქვენთვის? ასეთი ვარაუდი, შესაძლოა, ბევრს სასაცილოდ მოეჩვენოს, მაგრამ ევროპელი მკვლევარები მიიჩნევენ, რომ მშვენიერი სქესის წარმომადგენელთა განწყობა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული კალენდარზე. ბრიტანული კოსმეტიკური ფირმის St. Tropez სპეციალისტებმა, დაახლოებით, 2 ათასი თანამემამულე გამოკითხეს იმის გასაგებად, როგორ ეცვლებოდათ ხასიათი კვირის დღეების მიხედვით. აღმოჩნდა, რომ ქალების უმრავლესობა ორშაბათს თავს დაბერებულად მიიჩნევს. ეს გასაკვირი არც არის: თუ დასვენების დღეებში ალკოჰოლი მიიღეთ და მხიარულობდით, ძილის უკმარისობა ორგანიზმიდან ჯერ კიდევ ბოლომდე გამოუსვლელ ტოქსინებთან ერთად, ცუდად მოქმედებს ადამიანის განწყობაზე. სწავლულები აღნიშნავენ, რომ ძილს 7-8 საათი დაუთმოთ, ალკოჰოლი კი ორგანიზმში სამ დღემდე რჩება. გამოკითხვის მიხედვით, ქალებისთვის ყველაზე მავნე დღე ოთხშაბათია. დასვენების დღეებისა და სამსახურეობრივი სტრესის შემდეგ, შუა კვირაში მშვენიერი სქესის წარმომადგენლები სახეზე ყველაზე მეტ ნაოჭს ამ დღეს იჩენენ. ყოველმა მეათე გამოკითხულმა დაადასტურა, რომ ოთხშაბათი მისთვის ყველაზე მძიმე დღეა. კვირის ყველაზე საუკეთესო დღე კი პარასკევი აღმოჩნდა — რესპონდენტთა 60% თავს საუკეთესოდ სწორედ სამუშაო კვირის ბოლოს გრძნობს. ამ დროს ქალის ორგანიზმი ენდორფინების ორმაგ დოზას იღებს.

პიანისტმა ნაყენისთვის დაუკრა

ფრანგი კომპოზიტორი რიშარ კლეიდერმანი ლონდონის ზოოპარკში, გალაპაგოსის კუების წინაშე გამოვიდა. მუსიკოსმა რომანტიკული კომპოზიციები შეასრულა, რომელმაც ცხოველები შესაფერის განწყობაზე უნდა დააყენოს. კლეიდერმანის მსმენელები იყვნენ 70 წლის მამალი კუ დირკი და მისი „მეგობარი ქალები“ — 17 წლის დოლი, პრისცილა და პოლი, ასევე 13 წლის დოლორესი. პიანისტი აცხადებს, რომ მისმა მუსიკამ დადებითი ეფექტი მოახდინა ცხოველებზე და კონცერტით მათ დიდი სიამოვნება მიიღეს. გალაპაგოსის კუები ამავე კუნძულის ენდემური წარმომადგენლები არიან და გადაშენების გზაზე დგანან. ცხოველების მოყვარულებში არსებობს მოსაზრება, რომ მუსიკა მათზე სასიკეთო გავლენას ახდენს. ასე, მაგალითად, ზოგიერთი ფერმერი ამტკიცებს, რომ მუსიკა წველადობასა და ქათმების მიერ დადებული კვერცხის რაოდენობას ზრდის. გარდა ამისა, მუსიკას, ცხოველების გარდა, მცენარეებსაც ასმენინებენ.

ადამიანის ზრახვებსაც გაშიფრავენ?



მეცნიერთა საერთაშორისო ჯგუფის მიერ შემუშავებული მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიის მეთოდიკა ადამიანის უახლოესი განზრახვის დაფიქსირების საშუალებას იძლევა, — წერს ბრიტანული „გარდიანი“. რაღაც ხარისხით, სწავლულთა მიღწეულ შედეგს შეიძლება აზრების კითხვის ტექნოლოგია ვუწოდოთ. ექსპერიმენტისას, მეცნიერებმა 70%-იანი წარმატებით შეძლეს განესაზღვრათ, კვლევის მონაწილე მისთვის შეთავაზებული ორი რიცხვის შეკრებას თუ გამოკლებას აპირებდა. როგორც ბრიტანული გამოცემა წერს, ამ ტექნოლოგიის გამოყენება ისეთ სფეროებში, როგორიცაა დამნაშავეობასა და ტერორიზმთან ბრძოლა, განაპირობებს ზოგი ეთიკური პრობლემის წარმოშობას. კერძოდ, დამკვირვებელთა გარკვეულ შიშს იწვევს იმის შესაძლებლობა, უტყუარად ამოიცნობენ თუ არა ადამიანის განზრახვას მის მიერ კანონსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენამდე. არანაკლებ მნიშვნელოვანია ისიც, რომ არ არსებობს მეთოდი, რომელიც ადამიანის ტვინში წამიერად გაელვებულ ფიქრებს უკვე გააზრებული გადაწყვეტილებებისგან განასხვავებდა. ნეიროფიზიოლოგები აღნიშნავენ, რომ მასობრივ პრაქტიკაში „აზრების კითხვის“ მეთოდის აკრძალვისა თუ მისი დანერგვის გადაწყვეტილება ეთიკური პრობლემაა და ეს საკითხი საზოგადოებამ უნდა დაარეგულიროს.

სუდოკუ

ადვილი

2		3	7		9			
	7		6					
		5		3	2			7
8		4		9			6	
		1				7		
	9			4		5		3
4			1	7		6		
					8		7	
			9		3	1		4

სტანდარტი

					6	9		8
	8			9		3	1	
				7		5		
	3		5	1				4
5								3
4				3	9		8	
		9		6				
	2	5		8			3	
8		3	4					

რთული

				5			2	
1		4	6				9	
						8		
	8			4		9		
		1	5		2	6		
		9		7			4	
		7						
	9				4	1		5
	6			8				

ექსპერტი

	2		4			9	6	
	7							1
		1	6	9			3	2
			8					
			3	6	1			
					4			
6	3			5	9	1		
4							5	
	9	5			6		8	

თავშესაფარი თურქი მამაკაცებისთვის

თურქეთის დედაქალაქში თავშესაფრის გახსნას გეგმავენ, სადაც ქალების ძალადობის შედეგად დაზარალებულ მამაკაცებს დახმარებას აღმოუჩენენ. ამის თაობაზე ქვეყნის ოჯახური საქმეებისა და სოციალური პოლიტიკის მინისტრმა განაცხადა. მისი თქმით, სტატისტიკის მიხედვით, თურქი მამაკაცების, დაახლოებით, 3% სუსტი სქესის წარმომადგენლების მხრიდან ფსიქოლოგიური და ფიზიკური ძალადობის მსხვერპლია. პირველი ასეთი დაწესებულების გახსნა სტამბოლში იგეგმება, რადგან სწორედ ამ ქალაქიდან მიიღეს ყველაზე მეტი საჩივარი, თუმცა ამ თავშესაფრის ტელეფონის მოძებნა ცნობარში შეუძლებელი იქნება, რადგან მაქსიმალურად იცავენ ანონიმურობას. დაწესებულებაში ერთდროულად 30 მამაკაცს შეეძლება დარჩენა, შენობას კი პოლიცია დაიცავს. ქალებისთვის მსგავსი სახლები საკმაოდ გავრცელებული მოვლენაა, სადაც სუსტი სქესის წარმომადგენლები მას შემდეგ ხვდებიან, რაც მეუღლის მუქარის, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ძალადობის გამო, იძლებულები ხდებიან, სახლიდან გაიქცნენ. მამაკაცებისთვის კი თურქეთი ასეთ სარეაბილიტაციო ცენტრს პირველად ქმნის.

ოფიციანტებად მაიმუნები მუშაობენ

ტოკიოს ერთ-ერთ რესტორანში მიმტანებად მაიმუნები მუშაობენ. დაწესებულების სტუმრებს ცხოველები, სახელად Yat-chan და Fuku-chan ემსახურებიან. რესტორანში მისულ კლიენტებს მაიმუნებისა რომ არ შეეშინდეთ, მათ სპეციალური ნიღბები უკეთიათ და ამგვარად ადამიანებს ემსგავსებიან. უჩვეულო ოფიციანტები სტუმრებს თავს არ აბეზრებენ, მაგიდებს შორის სწრაფად დახტიან, კლიენტების მიერ შეკვეთილი კერძების მენიუ მზარეულთან მიაქვთ და არ ხმაურობენ. ყველაზე უცნაური კი ისაა, რომ მაიმუნები რესტორანში ოფიციალურად არიან დარეგისტრირებულნი და შესაბამისი სერტიფიკატებიც აქვთ. კლიენტები ხშირად აღნიშნავენ, რომ მაიმუნები უფრო უკეთესი მიმტანები არიან, ვიდრე ადამიანები.

კოქტეილი 10 ათას დოლარად

ცოტა ხნის წინ ახალ ორლეანში ეროვნული საფეხბურთო ლიგის ფინალური მატჩი შედგა. ამ დღის აღსანიშნავად ოტელმა Windsor Court, ყველა მსურველს უნიკალური კოქტეილის Key to the City დაგემოვნების საშუალება მისცა, რომლის ერთი ბოკალი 10 ათასი დოლარი ღირს. სასმელის შემადგენლობაში შედის იშვიათი ღვინო მადეირა D'Oliveiras Malvasia 1907, რომელსაც ჭიქაში ყინულის ნატეხებსა და მწიფე მარწყვს, ჟოლოსა და მაყვალს უმატებენ. ერთი ბოთლი ასეთი ღვინო 2 ათასი დოლარი ღირს, ბოკალი — დაახლოებით, 250 დოლარი, თუმცა ვიდრე კოქტეილის მაღალ ფასზე გაიცინებდეთ, ჯერ ისიც უნდა შეიტყოთ, რომ ერთი ბოკალის ფასში შედის — ოქროს გასაღები სუვენირის რანგში, ორი უფასო ღამე სასტუმროს პენტჰაუსში, მოსამსახურეებისა და კონსიერჟების 24-საათიანი მომსახურება, სპა-პროცედურების პაკეტი, მდიდრული ვახშამი, ექსკურსია ახალ ორლეანში და საღამო ჯაზ-კლუბში Irvin Mayfield's Jazz Playhouse. მათთვის, ვისაც ერთ კოქტეილში 10 ათასი დოლარის გადახდა არ შეეძლება, ოტელი მას უფრო მოკრძალებულ ვარიანტს სთავაზობს 2 ათას დოლარად.

„უსაფრთხოების შორტი“ რადიაციისგან დაგიცავთ

რადიაციულად უსაფრთხო ქვედა საცვლების ხაზი ახალგაზრდა ავსტრიელმა სტუდენტებმა აამოქმედეს, გამოგონებას კი „უსაფრთხოების შორტი“ უწოდეს. იდეის მიხედვით, ის ადამიანებს უნაყოფობისა და სხვა სამედიცინო პრობლემებისგან იცავს, რომელსაც მობილური ტელეფონებისა და ნოუთბუქების რადიაცია იწვევს. თუ მობილურს შარვლის ჯიბით ატარებთ, ესე იგი, უკვე რისკავთ საკუთარი ჯანმრთელობით. ყოველ შემთხვევაში, ტესტებმა დაადასტურა, რომ ტელეფონისგან მომდინარე რადიაცია ჯანმრთელობისთვის საშიშია. ახალგაზრდა გამომგონებლების მიერ შექმნილი შორტები კი ასეთი საფრთხისგან დაგიცავთ. საცვლების შესაქმნელად გამოყენებული მასალა ვერცხლის ძაფს შეიცავს, რომელიც რადიაციის 99%-ს შთანთქავს. ავსტრიელი სტუდენტები იმედოვნებენ, რომ „უსაფრთხოების შორტი“ პოპულარული გახდება, მისი შეძენა ავსტრიაში უკვე შესაძლებელია და 42 დოლარი ღირს.

სიმღერა არ აძინებს

ბრიტანელ პენსიონერს მუსიკალური ჰალუცინაციის იშვიათი ფორმა აწუხებს. 63 წლის სიუზან რუთი ბოლო სამი წელიწადია იმის გამო იტანჯება, რომ გასული საუკუნის 50-იანი წლების პოპულარული ჰიტი How much is that Doggie in the Window? აეკვიატა. ეს სიმღერა ინგლისელ ქალბატონს ყურში გამუდმებით ჩაესმის. მედიკოსების მოსაზრებით, ქალს მუსიკალური ჰალუცინაციის იშვიათი ფორმა აქვს. გარდა ამ სიმღერისა, სიუზანს დიდი ბრიტანეთის ჰიმნი და დაბადების დღის სიმღერაც Happy birthday „ატერორებს“. ეს ყველაფერი სამი წლის წინ დაიწყო და მას შემდეგ თავში გამუდმებით „რადიო“ მაქვს ჩართული. სიმღერა ძილის საშუალებას არ მაძლევს, — აცხადებს ბრიტანელი პენსიონერი. მდგომარეობის შესამსუბუქებლად ქალბატონი რუთი ცდილობს, ჩიტების ჭიკჭიკზე გადაერთოს, მაგრამ ამ დროს აკვიატებული მელოდიები იმდენად ხმამაღლა ესმის, რომ საკუთარი მეუღლის ხმასაც კი არ აქცევს ყურადღებას. ექიმებმა იმედი გადამიწურეს, არაფერი გეშველებაო, — ამბობს სიმღერით გათანგული ქალი.

ᲰᲝᲠᲝᲡᲙᲝᲞᲘ
19 თებერვალი

ᲕᲔᲠᲫᲘ — საკმაოდ სასიკეთო და ნაყოფიერი დღეა ვერძებისთვის. შეეცადეთ, ისე იმოქმედოთ, როგორც დაგეგმეთ. ცხადად გამოვლინდება თქვენი ორგანიზატორული ნიჭი, შეგიძლიათ ნებისმიერი კოლექტივის კარგი ხელმძღვანელი იყოთ. შესანიშნავ ურთიერთობებს ამყარებთ მაღალი თანამდებობის პირებთანაც.

ᲙᲣᲠᲝ — დღეს უფრო დაკვირვებული იყავით ახალი ნაცნობების შეძენისას — შემთხვევითმა გატაცებამ, შესაძლოა, სერიოზული პრობლემები შეუქმნას იმ ურთიერთობას, რაც ძალიან ძვირფასია თქვენთვის. შესაძლოა მცირედი ფულადი დანაკარგი, ხარჯების მკვეთრი ზრდის ერთ-ერთი მიზეზი კი იმაში მდგომარეობს, რომ დახმარებაზე უარს ვერავის ეუბნებით.

ᲪᲘᲣᲚᲔᲑᲘ — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს ყველა დაგეგმილი საქმის განხორციელებას ვერ მოახერხებენ და ამას რაც უფრო ადრე მიხვდებიან, მით მეტ ძალებს დაზოგავენ. გაითვალისწინეთ, რომ მეგობრების, კოლეგებისა და ახლობლების დახმარების იმედი არ უნდა გქონდეთ. თუ რამის მიღწევა გსურთ, დამოუკიდებლად იმოქმედეთ. ფინანსური ფონი სასიკეთოა, საეიდლებისგან კი დღეს თავი შეიკავეთ.

ᲙᲘᲠᲩᲮᲘᲜᲘ — ამ ნიშნის წარმომადგენლები დღეს შეძლებენ სიტუაციის უკეთესობისკენ შემობრუნებას. ამისთვის პირველ რიგში, მშვიდად უნდა გაანალიზონ მოვლენები. მეორეც, მოქმედების აბსოლუტურად ახალი გეგმა უნდა შეადგინონ. აქ თქვენი შემოქმედებითი ნიჭი აუცილებლად გამოგადგებათ, რადგან ნებისმიერი მიზნის მისაღწევად ორიგინალური მეთოდების გამოყენება უკეთესია.

ᲚᲝᲛᲘ — დღეს წარმატებით გაარომევთ თავს საქმეებს, რაც არ ითხოვს შემოქმედებით მიდგომას, მოაწესრიგებთ დოკუმენტებს, მოლიანობაში, ეს დღე რუტინული პრობლემების მოსაგვარებლად არის კარგი, მნიშვნელოვანი პროექტების წამოწყება კი არ ღირს.

ᲥᲐᲚᲬᲣᲚᲘ — ამ ნიშნის წარმომადგენლებს გეძლევათ შანსი, რადაც შეცვლოთ პირად ცხოვრებაში, ბოლო მოუღოთ დაუსრულებელ პრობლემებს, რომელთა გადაჭრის იმედი უკვე აღარც გქონდათ. თქვენგან გაბედული და თავზეხელაღებული ნაბიჯია გადასადგმელი, მაგრამ ამის გაკეთება მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება, თუ ნამდვილად მზად ხართ.

ᲯᲘᲗᲘᲡᲜᲘᲠᲘ — დადგა დღე, როცა განმარტოებით თავს გაცილებით უკეთ გრძნობთ, ვიდრე ვიღაცების კომპანიაში. სხვათა შორის, ასე უკეთ ფიქრობთ, გასაზრებელი კი მართლაც ბევრი გაქვთ. ყველაზე უჩვეულო იდეებიც კი იმსახურებს ყურადღებასა და სერიოზულ განხილვას. დღის მეორე ნახევარში სუფთა ჰაერზე გასეირნებაც არ გაწყენდათ.

ᲦᲠᲘᲐᲜᲬᲐᲚᲘ — დღეს თავის გაკონტროლება საკმაოდ გაგიჭირდებათ, მაგრამ თუ გინდათ, საქმეში წარმატებას მიაღწიოთ, ამის გაკეთება მაინც მოგიწევთ. ადამიანები თქვენგან გბედულ გადაწყვეტილებებს მოითხოვენ. ნუ გაუტრუებთ მათ იმედებს, მაგრამ იმოქმედეთ ღირსეულად და სიფრთხილით.

ᲛᲨᲕᲘᲚᲝᲕᲜᲘᲡᲜᲘ — დღეს საკმაოდ რთულ სიტუაციაში აღმოჩნდებით: არჩევანის გაკეთება მოგიწევთ საკუთარ საქმიან ინტერესებსა და მეგობრების დახმარებას შორის. ძნელი იქნება სულიერი წონასწორობის შენარჩუნება, როცა ბევრი სათხოვარი გესმით, რომელთა შესრულებაც არ არის იოლი, მაგრამ მათზე უარის თქმაც არ შეიძლება. საღამოს დაძაბულობა მოიხსნით და ცოტა კარგთეთ.

ᲗᲮᲘᲡ ᲠᲥᲐ — ამ ნიშნის წარმომადგენლებს დღეს გაუჭირდებათ ადამიანებთან კონსტრუქციული ურთიერთობის დამყარება, ამიტომ თუ გაქვთ სურვილი, რამე გააკეთოთ, უარი თქვით საზოგადოებაზე. უკიდურეს შემთხვევაში, შეეცადეთ, ყველა მნიშვნელოვანი საკითხი ტელეფონით ან ინტერნეტით მოაგვაროთ. დღის მეორე ნახევარში სიტუაცია უკეთესობისკენ შეიცვლება, მაგრამ სჯობს, კონფლიქტების თავიდან ასარიდებლად, შინ დარჩეთ და დრო ოჯახურ გარემოში გაატაროთ.

ᲛᲔᲠᲬᲧᲚᲘ — მერწყულებისთვის დღის მთავარი ტენდენცია სასიკეთოა — ის ცხოვრების სხვადასხვა სფეროში ცვლილებებს უკავშირდება. გაჩნდება საინტერესო იდეები, გაიჩენთ მოკავშირეებსა და თანამოაზრეებს, თუმცა დღეს რადაც სრულიად ახალი გსურთ და მიზნის მისაღწევად შრომა მოგიწევთ, რაც ნამდვილად არ გაშინებთ.

ᲗᲔᲕᲖᲘ — დღეს ყველა ის რჩევა გაითვალისწინეთ, რასაც გარშემომყოფებისგან მიიღებთ. აუცილებელია, გამოიჩინოთ დაინტერესება და აქტიურობა — რაც მეტ კითხვას დასვამთ, მით მეტ სწორ პასუხს მიიღებთ. შეეცადეთ, დღევანდელი საქმეები ბოლომდე მიიყვანოთ, დღის მეორე ნახევარში კი შეგიძლიათ დრო სასიამოვნო გარემოში დასვენებას დაუთმოთ.

ᲐᲥᲘᲜᲓᲘᲡ ᲞᲠᲝᲒᲝᲜᲝᲖᲘ

	ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ	ᲗᲔᲚᲐᲕᲘ
ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ	+10 / +9	+9 / +8
ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲘ	+12 / +10	-5 / -5
ᲑᲐᲗᲣᲛᲘ	+12 / +10	-2 / -5
ᲡᲝᲮᲣᲛᲘ	+11 / +9	+1 / 0

ᲗᲔᲚᲐᲕᲘ: ᲓᲦᲔᲗᲐ ᲓᲐᲛᲔᲡᲐᲜᲘ, ᲒᲣᲚᲘᲡᲬᲧᲠᲘ, ᲑᲐᲙᲣᲠᲘᲐᲜᲘ, ᲛᲔᲡᲢᲘᲐ

შენდემა ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის „ყოველთა დედოფლის – პანტანასას“ სახელობის დედათა მონასტერი „ყოველთა დედოფლის საკანე“

„ყოველთა დედოფალი პანტანასას“ ღვთისმშობელი ცნობილია, როგორც ონკოლოგიურ ავადმყოფთა შემწე. სამწუხაროდ, საქართველოში გაიზარდა ამ სენით დაავადებულ ავადმყოფთა რაოდენობა. მრევლისა და ონკოლოგიურ დაავადებათა რესპუბლიკური ცენტრის ექიმებისა და პაციენტების თხოვნით, ათონის წმ. მთაზე, ვატობედის მონასტერში, სადაც დაბრძანებულია ხატის ორიგინალი, შეიქმნა მისი ასლი, რომელიც 2003 წელს ჩამობრძანდა ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესიაში. კვირაში 2-ჯერ: ოთხშაბათს და პარასკევს, დღის 2 საათზე, აღევლინება ჯანმრთელობის პარაკლისი და უსასყიდლოდ გაიცემა საკურნებელი ზეთი ღვთისმშობლის კანდელიდან. ხატთან დღემდე აღესრულება სასწაულები. მრავალი ადამიანი განიკურნა, მრავალთა ავადმყოფობამ პროგრესირება შეწყვიტა.

გთხოვთ, თქვენი წვლილი შეიტანოთ მონასტრის მშენებლობაში და დარეკოთ: დერეკეთ: ჯეოსელის აბონენტებმა — 700311; მაგთის აბონენტებმა — 200351; ბილაინის აბონენტებმა — 700311

ზარის ღირებულება 1 ლარი

ავჭალის წმ. ქეთევან წამებულის ეკლესია. სს „საქართველოს ბანკი“ ცენტრ. ფილ. ბანკის კოდი 220101502 ეროვნულ ვალუტაში ა/ა 000700205. გიორგი რაზმაძე (წინამძღვარი). სს „კორ სტანდარტ ბანკი“ კოდი: 220101945 ეროვნულ ვალუტაში ა/ნ 1123598

უფალმა შეგიწიროთ. პანტანასას ღვთისმშობელმა დაგლოცოთ!

ერის ნათელი მომავალი ეკლესია-მონასტრების მშენებლობაშია, მიიღეთ მონაწილეობა წმიდა ანდრია პირველწოდებულის მონასტრის მშენებლობაში. უფალი შეგეწევათ. ბედნიერი ადამიანი - მორწმუნე ადამიანია.

რომ გწამდეს - უნდა დაიჯერო, რომ გჯეროდეს - უნდა გინდოდეს, მადლი რომ მოიპოვო - უნდა გსურდეს. ქართველნო ერთად ღვთისაკენ.

ღმერთმა დაგლოცოთ და გაგაძლიეროთ

Appraisal.llc

შპს „აპპრაისალი“ გთავაზობთ,

უძრავი და მოძრავი ქონების შეფასებას

ალექსანდრე ფურცელაძე
მისამართი: ნუცუბიძის №16ა
ტელ.: (5)99 22 98 33
ელ-ფოსტა: a.purtseladze@gmail.com

იპოვეთ თქვენი www.versia.ge

ᲕᲔᲠᲡᲘᲐ

UDC(უაკ)070.48:32(479.22)3-387

დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი
მაია ფურცელაძე (599) 62-88-77
პასუხისმგებელი რედაქტორი: ნინო ლურსმანაშვილი
მედიაჯგუფი: მაია მიშელაძე, ნინო კომახიძე, ნინო ხარშილაძე, რუსუდან შელია, ნელი თორდია, დავით დევიძე, ნათია ვასაძე.
სტილისტი: თამარ არათანაშვილი, ნინო ებანოიძე
დიზაინერი – ნათია მზექალაშვილი, გიორგი ლომსაძე

ISSN 1987-8699

მისამართი: ქ.თბილისი, სანკტ-პეტერბურგის ქ. 7.
ტელ: 590 740999; 2942399
e-mail:dosie@caucasus.net;
dosieversia@caucasus.net
versiaprinti@yahoo.com